

# ახალი საუნჯე

თქსტავის და  
კონტექსტავის  
ჟურნალი

№4 (58)

აპრილი, 2018 წელი

ფასი 2 ლარი

14.05.2018 - 19.05.2018

ჩაღრმობ პერსონაჟები  
სიზნ ვინჯოვლი  
პერსონაჟები  
ილუმინაციები  
პანორამა კრიტიკა  
სემინარები  
მედიამ კონსერვატივი

თბილისის საერთაშორისო  
ლიტერატურული  
ფესტივალი  
THE 4th TBILISI INTERNATIONAL FESTIVAL OF LITERATURE

## კომენია

ზვიად რატიანი  
ბელა ჩაპურიშვილი  
გიორგი ლომსაძე

## პროზა

ზურა ჯიჟარიანი

## კრიტიკა

ლევან ბრეგვაძე

## ახალი თარგმანები

ვლადიმერ სოროკინი  
ოლგა ტოკარჩუკი  
სტანისლავ ივანოვიჩი  
ბენედიქტ ლედეგერი

№4 (58) აპრილი, 2018 წელი

## ახალი საუნჯე

**ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი**

**პროექტის ავტორი:** ვაჟა წონკოლაური

**მთავარი რედაქტორი:** შოთა იათაშვილი

**რედაქტორი-სტილისტი:** ლელა კოდალაშვილი

**დიზაინი და დაკაბადონება:** ნიკა ხვედელიძე

**სარედაქციო კოლეგია:** დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: პაატა შამუგია, დავით ჩიხლაძე, მათა ლიპარტელიანი, მანანა კობაიძე, ირაკლი მენტეშაშვილი, გიორგი ლობჯანიძე, ზვიად რატიანი, ამბროსი გრიშკაშვილი, რაჟდენ ჩიხორია, ოქტაი ქაბუშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, გიორგი ლომსაძე, ზურა ჯიშკარიანი, ლევან ბრეგაძე, ლელა კოდალაშვილი, კატია ვოლტერსი, ქეთი ქანთარია, ლულუ დადიანი

**გამომცემლობა «საუნჯე»**

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

# 1. თბილისის მე-4 საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

# პროგრამა

## 14 მაისი, ორშაბათი

18:00 ფესტივალის ოფიციალური გახსნა (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

18:30 იტალიელი პოეტების საღამო: მილო დე ანჯელისი, ფრანჩესკო იანონე, დომენიკო ბრანკალე კლაუდიო პოცცანი; წარადგენენ გიორგი ლობჯანიძე, ნიკა ჯორჯანელი და შოთა იათაშვილი. ენა: იტალიური-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

20:00 შეხვედრა არნე სვინგენტან (ნორვეგია). მოდერატორი ლუკა გრიგოლია. ენა: ინგლისური- ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

21:00 პოეზიის ღამე. ჯაბი & ღვინო: ყველა მოწვეული პოეტის გამოსვლა. / ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა: „რეაქტიული კლუბი“ (მწერალთა სახლის ეზო)



## 15 მაისი, სამშაბათი

12:00 უკრაინისტიკის ინსტიტუტის შეხვედრა ჰალინა კრუკთან (უკრაინა). (თსუ. მე-5 კორპუსი, ოთახი 316.)

15:00 არნე სვინგენის და ვასო გულეურის შეხვედრა ახალგაზრდა მკითხველთან.

(მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

18:30 პოეზიის საღამო: მურად კოჭნეკალა (აზერბაიჯანი).  
მოდერატორი ოქტაი ქაზუმოვი. ენა: აზერბაიჯანული-  
ქართული. (კავკასიური სახლი)

8:30 ლალი ციპი მიხაელის (ისრაელი) პოეტური კრებულის  
„50 ლექსი“ პრეზენტაცია („ნ. დუმბაძის გამომც.“).  
მოდერატორი ქეთევან დუმბაძე. ენა: ინგლისური-  
ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

19:00 პოეზიის საღამო: მარინე პეტროსიანი (სომხეთი);  
მოდერატორი ასია დარბინიანი. ენა: ინგლისური-სომხური-  
ქართული. (მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა)

9:00 შეხვედრა ვიქტორ ეროფეევთან (რუსეთი).  
მოდერატორები ბელა წიფურია და დათო ტურაშვილი. ენა:  
რუსული-ქართული. (ილიაუნი).

19:30 პოეზიის საღამო: ტონუს ოსტერჰოფი  
(ნიდერლანდები); მოდერატორი ზვიად რატიანი. ენა:  
ინგლისური-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო  
დარბაზი)

20:30 პოეზიის საღამო: ჩარლზ ბერნსტაინი (აშშ).  
მოდერატორი პაატა შამუგია. ენა: ინგლისური- ქართული.  
(მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

21:30 ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა:  
„ქრონოფაგები“- ანომალიური პოეზია. (მწერალთა სახლის  
ეზო)

## **16 მაისი, ოთხშაბათი**

17:00 იოლანდა კასტანიოს (ესპანეთი) შეხვედრა ესპანური  
კათედრის სტუდენტებთან. ენა: ესპანური. (თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, მე-5 კორპუსი, აუდიტორია  
313)

18:30. პოეზიის საღამო: ნაბილ აბუ ზურკათეინი (ეგვიპტე).  
მოდერატორი გიორგი ლობჯანიძე. ენა: არაბული-ქართული  
(კავკასიური სახლი)

18:30 პოეზიის საღამო: ჰალინა კრუკი (უკრაინა) / ანდრეი  
ხადანოვიჩი (ბელარუსი). მოდერატორი შოთა იათაშვილი.  
ენა: რუსული-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო  
დარბაზი)

19:00 დისკუსია: ენა ვირუსია. მონაწილეები: ჩარლზ  
ბერნსტაინი, ტონუს ოსტერჰოფი, ბარბარა პოგაჩნიკი,  
იულია ფიედორჩუკი, ზვიად რატიანი. მოდერატორი პაატა  
შამუგია. ენა: ინგლისური-ქართული. (მწერალთა სახლის  
აღმოსავლური ოთახი)

19:30 პოეზიის საღამო: რონ ვინკლერი (გერმანია) / ჰელმუტ  
ა. ნიდერლე (ავსტრია). მოდერატორი თამარ კოტრიკაძე.  
ენა: გერმანული-ქართული. (მწერალთა სახლის  
ბიბლიოთეკა)

20:30 შეხვედრა ვიქტორ ეროფეევთან (რუსეთი) და მისი  
რომანის „კარგი სტალინი“ პრეზენტაცია (გამომცემლობა  
„ინტელექტი“). მოდერატორი ლევან ბერძენიშვილი. ენა:  
რუსული-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

21:30 ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა:  
„ბებერი პოეტების ორდენი“. (მწერალთა სახლის ეზო)

## **17 მაისი, ხუთშაბათი**

17:00 პშემისლავ პილარსკის (პოლონეთი) პიესის „მამა  
თავს იხრჩობს ტყეში“ კითხვა. ენა: ქართული. (სამეფო  
უბნის თეატრი)

18:00 შეხვედრა ჰელმუტ ნიდერლესთან (ავსტრია).  
მოდერატორი მანანა პაიჭაძე. ენა: გერმანული.

(ავსტრიული ბიბლიოთეკა, ილიაუნი, S-507)

18:30 პოეზიის საღამო: იოლანდა კასტანიო (ესპანეთი) / ნილსონ მუნისი (ბრაზილია). მოდერატორი გურანდა ფაჩულია. ენა: ინგლისური-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

19:00 დისკუსია: ლიტერატურა პოსტკოლონიურ სივრცეში. მონაწილეები: ვიქტორ ეროფეევი, მიჰალ ჰავრანი, მარინე პეტროსიანი, ანდრეი ხადანოვიჩი, ზურაბ ქარუმიძე. მოდერატორი ლევან ბერძენიშვილი. ენა: რუსული-ქართული (მწერალთა სახლის აღმოსავლური დარბაზი)

19:30 პოეზიის საღამო: ბარბარა პოგაჩნიკი (სლოვენია). მოდერატორი დალილა გოგია. ენა: ინგლისური-ქართული. (მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა)

20:30 პოლონელი პოეტების საღამო: იულია ფიედორჩუკი, ბარბარა კლიცკა. მოდერატორი ზვიად რატიანი. ენა: ინგლისური-ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

21:30 ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა: „ლაბორატორია“. ენა: ქართული. (მწერალთა სახლის ეზო)

## **18 მაისი, პარასკევი**

18:30 პოეზიის საღამო: ზურაბ რთველიაშვილი (შვედეთი / საქართველო), პერ ჰანსონი (შვედეთი). მოდერატორი დავით გაბუნია. ენა: შვედური/ინგლისური/ქართული. (მწერალთა სახლის სააქტო დარბაზი)

19:00 სემიონ ხანინის (ლატვია) საღამო და პოეტური კრებულის „მაგრამ არა მათ“ (გამომცემლობა „სიესტა“) პრეზენტაცია. მოდერატორი დავით ჩიხლაძე. ენა: რუსული-ქართული. (კავკასიური სახლი)

19:30 შეხვედრა მიჰალ ჰავრანთან (სლოვაკეთი).  
მოდერატორი პაატა შამუგია. ენა: ინგლისური-ქართული.  
(მწერალთა სახლის ბიბლიოთეკა)

20:30 ქართული პოეტური გაერთიანებების რეტროსპექტივა:  
„ვარდისფერი ავტობუსი“ (მწერალთა სახლის ეზო)

21:30 ფესტივალის დახურვა: ღვინის და პოეზიის საღამო In  
Vino Veritas ყველა მოწვეული ავტორის მონაწილეობით.  
(მწერალთა სახლის ეზო)

## **19 მაისი, შაბათი**

ლიტერატურული შეხვედრა ფესტივალის ყველა სტუმრის  
მონაწილეობით (თელავის ისტორიული მუზეუმი)



## ჩარლზ ბერნსტაინი (აშშ)



დაიბ  
ადა  
1950  
წლის  
4  
აპრი  
ლს  
ნიუ  
იორკ  
ში.  
ენობ  
რივი  
პოეზ  
იის  
სკოლ  
ის  
ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. მისი პირველი წიგნი “თავშესაფრები“ 1975 წელს გამოიცა.

რედაქტორობდა სხვადასხვა ანთოლოგიებსა და კრებულებს პოეტიკის პრობლემების შესახებ. 1978-1981 წლებში პოეტ ბრიუს ენდრიუსთან ერთად რედაქტორობდა ჟურნალს “L=A=N=G=U=A=G=E“. ქალაქ ბაფალოში დააარსა ნიუ იორკის უნივერსიტეტის ელექტრონული პოეზიის ცენტრი. არის ოპერებისა და მიუზიკლების ლიბრეტოების ავტორი.

ენობრივი პოეზია პოეტური პოსტმოდერნიზმის სახეობაა და მნიშვნელოვნად არის დავალებული თავისი

წინამორბედი მოდერნისტი ავტორებისგან, ისეთებისგან, როგორც არიან გერტრუდა სტაინი ან ლუის ზუკოვსკი. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მისი სახელწოდება უცვლელად დადგენილი არ არის და ზოგჯერ სხვა სახელებითაც მოიხსენიება. არც ისაა ზუსტად განსაზღვრული, არის თუ არა ეს სახელწოდება რომელიმე მიმდინარეობის, სტილის ან კონკრეტული პოეტური წრის აღმნიშვნელი. რაც შეეხება მის ესთეტიკურ განსაზღვრებას, ეს ყველაზე ლაკონურად ბრიუს ენდრიუსის მარტივი პერიფრაზებით შეიძლება გამოიხატოს, რომ ენობრივი პოეზია არ შედის უშუალო კავშირში ენაში არსებულ საგნებთან და ერთადერთ საგანს, რასაც ის ეხება, თვით ენა წარმოადგენს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიუ-იორკის ენობრივი პოეზიის წრის დაარსებამდე რამდენიმე წლით ადრე ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე, კალიფორნიაში, ასეთივე მოძრაობა ჩაისახა და განვითარდა, რასაც 1971 წელს პოეტების, რობერტ გრენიესა და ბარეტ უოტენის მიერ დაარსებულმა ჟურნალმა „This“ შეუქმნა საფუძველი. ამ სკოლის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელია ლინ ჰეჯინიანი.

როგორც ჩარლზ ბერნსტაინის, ასევე, ზოგადად, ენობრივი პოეზია უპირისპირდება ექსპრესიულ ლირიკულ მგრძნობელობას. ლიტერატურული ენის გვერდით და ხშირად მისი სრული ჩანაცვლებითაც იყენებს ყოფით სალაპარაკო ენას. მისთვის მნიშვნელოვანია ავტორის თანმყოფობა ტექსტში, მკითხველთან თანაშემოქმედება და აღმნიშვნელის განთავისუფლება მის ენობრივ, მატერიალურ მხარეზე ხაზგასმის გზით.

## ჩემი/ჩემი/ჩემი

*დაითვალეთ საგნები, რომელთაც “საკუთრებად”  
მიიჩნევთ. სწორედ ეს მანძილი გამოვებით  
გასხივოსნებამდე.*

სვამი სატჩიდანანდა  
(ჯენის)

ჩემი ბალიში

ჩემი მაისური

ჩემი სახლი

ჩემი ვახშამი

ჩემი კბილი

ჩემი ფული

ჩემი ფრანი

ჩემი სამსახური

ჩემი ბუბლიკი

ჩემი პალიტრა

ჩემი საბანი

ჩემი ხელი

ჩემი ნახატი

ჩემი ავტოკალამი

ჩემი საწერი მაგიდა

ჩემი ოთახი

ჩემი ჯერი

ჩემი წიგნი

ჩემი უიმედობა

ჩემი საფულე

ჩემი ამონაბეჭდი

ჩემი წინდა

ჩემი თითი

ჩემი შტამპი  
ჩემი შესავალი  
ჩემი ბარგი  
ჩემი გეგმა  
ჩემი შეცდომა  
ჩემი მაიმუნი  
ჩემი მეგობარი  
ჩემი პენისი  
ჩემი რისხვა  
ჩემი მოლოდინი  
ჩემი ფანქარი  
ჩემი ტკივილი  
ჩემი აფიშა  
ჩემი შიში  
ჩემი საბარგო იარლიყი  
ჩემი თვალები  
ჩემი სანჯიმარი  
ჩემი სარეცხი  
ჩემი აზრი  
ჩემი ცხიმი  
ჩემი უძილობა  
ჩემი სიყვარული  
ჩემი კალათა  
ჩემი ლანჩი  
ჩემი თამაში  
ჩემი ყუთი  
ჩემი უჯრა  
ჩემი ჭიქა  
ჩემი ლტოლვა  
ჩემი ლაქა  
ჩემი დაბნეულობა  
ჩემი ტრუსები

ჩემი დოკუმენტები  
ჩემი სურვილი  
ჩემი სასონარკვეთა  
ჩემი ნაშლა  
ჩემი პლანტაცია  
ჩემი კანფეთი  
ჩემი ჩაფიქრებულობა  
ჩემი მოთმინება  
ჩემი უზომობა  
ჩემი გამბედაობა  
ჩემი ტირილი  
ჩემი ქუდი  
ჩემი ჯიბე  
ჩემი ჭუჭყი  
ჩემი სხეული  
ჩემი სექსი  
ჩემი შარფი  
ჩემი სოლიდარობა  
ჩემი იმედი  
ჩემი მართლწერა  
ჩემი ღიმილი  
ჩემი მზერა  
ჩემი უმწეობა  
ჩემი საბნისპირი  
ჩემი პასუხი  
ჩემი მტერი  
ჩემი ჩანაწერები  
ჩემი წერილი  
ჩემი სიარულის მანერა  
ჩემი ბრძოლა  
ჩემი სული  
ჩემი გაჭრა

ჩემი ეკალი  
ჩემი დალუპვა  
ჩემი ოცნება  
ჩემი თეფში  
ჩემი ორმო  
ჩემი ფუტუროობა  
ჩემი სიბრმავე  
ჩემი ჩაჭიდება  
ჩემი პროექცია  
ჩემი მასწავლებელი  
ჩემი საშინაო დავალება  
ჩემი სახლის სამუშაო  
ჩემი პასუხისმგებლობა  
ჩემი ბრალი  
ჩემი რელაქსაცია  
ჩემი ნავი  
ჩემი ეკიპაჟი  
ჩემი არაქისის კარაქი  
ჩემი წისქვილი  
ჩემი კაცი  
ჩემი უიმედობა  
ჩემი სულელი  
ჩემი ტკბილი  
ჩემი ტერორი  
ჩემი პროგრამა  
ჩემი გადანყვეტილება  
ჩემი შენიღბვა  
ჩემი უბედურება  
ჩემი ციცხვი  
ჩემი სუპი  
ჩემი დედა  
ჩემი აუზი

ჩემი პლისე  
ჩემი ჩედერი  
ჩემი მფლობელობა  
ჩემი მტრობა  
ჩემი ფიქრი  
ჩემი ენციკლოპედია  
ჩემი საკუთრება  
ჩემი ფორმულა  
ჩემი არასანდოობა  
ჩემი ნება-სურვილი  
ჩემი ნდომა  
ჩემი ცთომილება  
ჩემი გამორიცხვა  
ჩემი დამცინაობა  
ჩემი სამყარო  
ჩემი ფანტაზია  
ჩემი რისხვა  
ჩემი სიგლახაკე  
ჩემი შეუსრულებლობა  
ჩემი ქამარი  
ჩემი ჰეროიკა  
ჩემი ნაგავი  
ჩემი შური  
ჩემი სინანული  
ჩემი ძალა  
ჩემი ხედვა  
ჩემი გადაწყვეტილება  
ჩემი უარი  
ჩემი ვალდებულება  
ჩემი სიგიჟე  
ჩემი მრავალსიტყვაობა  
ჩემი პურიტანიზმი

ჩემი ანდროგინია  
ჩემი დაუმორჩილებლობა  
ჩემი დაჟინებულობა  
ჩემი ცოხნა  
ჩემი ალგზნება  
ჩემი მისტიფიკაცია  
ჩემი დაბინდვა  
ჩემი ეაკულაცია  
ჩემი პროსტრაცია  
ჩემი როსკიპობა  
ჩემი სიგარეტი  
ჩემი რწმენა  
ჩემი დაურწმუნებლობა  
ჩემი კატა  
ჩემი შელწევა  
ჩემი განმჭვრეტელობა  
ჩემი მოძველება  
ჩემი საძილე ტომარა  
ჩემი ცდუნება  
ჩემი ერთგულება  
ჩემი ბურთი  
ჩემი სასამართლო  
ჩემი თირკმელი  
ჩემი სამართებელი  
ჩემი გზა  
ჩემი ქსოვილი  
ჩემი არაადეკვატურობა  
ჩემი საკუთარი  
ჩემი ჩამწერი  
ჩემი სიმღერა  
ჩემი მოხერხებულობა  
ჩემი აღქმა



ჩემი ნება  
ჩემი კანოე  
ჩემი ბილიარდის ბურთი  
ჩემი შინაარსი  
ჩემი კასეტა  
ჩემი ხმა  
ჩემი მხედველობა  
ჩემი ცოდნა  
ჩემი ჯამები  
ჩემი ნვერი  
ჩემი ბავშვი  
ჩემი ლეთარგია  
ჩემი ნერვი  
ჩემი ურწმუნობა  
ჩემი ბანანი  
ჩემი მელანი  
ჩემი მაცივარი  
ჩემი მანქანა  
ჩემი ხურდა  
ჩემი მოსწავლე  
ჩემი თმა  
ჩემი ენა  
ჩემი სინაზე  
ჩემი ვარსკვლავი  
ჩემი უნარი  
ჩემი პერსონა  
ჩემი პოპულარობა  
ჩემი მუავე კიტრი  
ჩემი პინტო  
ჩემი ფანჯარა  
ჩემი გახსენება  
ჩემი კმაყოფა

ჩემი ქვეყანა  
ჩემი სიმყიფე  
ჩემი სტუმრობა  
ჩემი დღეგრძელობა  
ჩემი ეჭვიანობა  
ჩემი შუესაბამობა  
ჩემი სარკაზმი  
ჩემი გულწრფელობა  
ჩემი სანოლი  
ჩემი სანოლის მაგიდა  
ჩემი მაგიდის გადასაფარებელი  
ჩემი ბარ-მიცვა  
ჩემი სიცილი  
ჩემი სიძულვილი  
ჩემი გულისტკივილი  
ჩემი სენდვიჩი  
ჩემი ტელეფონის ზარი  
ჩემი დანაკარგი  
ჩემი მახვილგონივრულობა  
ჩემი ხიბლი  
ჩემი ხუმრობა  
ჩემი გაუქმება  
ჩემი პრაქტიკა  
ჩემი ფორტეპიანოს გაკვეთილი  
ჩემი განრისხება  
ჩემი თითი  
ჩემი სვირინგი  
ჩემი გვრიტი  
ჩემი ბუზსაკლავი  
ჩემი ჟილეტი  
ჩემი ბლოკნოტი  
ჩემი საფულე

ჩემი ალბომი  
ჩემი ზიზლი  
ჩემი ჩაის ფინჯანი  
ჩემი გემოვნება  
ჩემი ჩანთა  
ჩემი ხელჩანთა  
ჩემი ველოსიპედი  
ჩემი ჩხიკვი  
ჩემი რულონი  
ჩემი ძვირფასი  
ჩემი რძე  
ჩემი კარადა  
ჩემი შარვალი  
ჩემი აჭიმები  
ჩემი დაუინტერესებლობა  
ჩემი ანალიზი  
ჩემი ენა  
ჩემი იღბალი  
ჩემი ბუნდოვანება  
ჩემი პიტნა  
ჩემი ზღვარი  
ჩემი იმპორტი  
ჩემი დასკვნა  
ჩემი აფექტაცია  
ჩემი მიჩვევა  
ჩემი თავხედობა  
ჩემი სიმართოვე  
ჩემი მახსოვრობა  
ჩემი ბოთლი  
ჩემი ისტორია  
ჩემი უნარიანობა  
ჩემი სახცოვრისი

ჩემი დანიშნულება  
ჩემი მსგავსება  
ჩემი უბედურება  
ჩემი სოლიპსიზმი  
ჩემი გამორჩენა  
ჩემი რეგრესი  
ჩემი ოპერა  
ჩემი პენიცილინი  
ჩემი უკმაყოფილება  
ჩემი მომავალი  
ჩემი გაგება  
ჩემი გარგარი  
ჩემი დღესასწაული  
ჩემი ქოლგა  
ჩემი ფავორიტი  
ჩემი განწყობა  
ჩემი მხარე  
ჩემი ადგილი  
ჩემი ნაყოფი  
ჩემი კონტური  
ჩემი ცა  
ჩემი ცისარტყელა  
ჩემი ღმერთი  
ჩემი ნილაბი  
ჩემი ანარეკლი  
ჩემი კურთხევა  
ჩემი შუქი  
ჩემი დრო  
ჩემი ეპოქსიდი  
ჩემი დოლი  
ჩემი ჩაქუჩი  
ჩემი საპოხი

ჩემი ქვიშა  
ჩემი ისტორია  
ჩემი ზედა  
ჩემი წარსული  
ჩემი ნიშანი  
ჩემი სიღრმე  
ჩემი ბალი  
ჩემი სიჩუმე  
ჩემი მეტყველება  
შემი ეგოიზმი  
ჩემი შიმშილი  
ჩემი შემწეობა  
ჩემი წერილი  
ჩემი მასაჟი  
ჩემი განკიცხვა  
ჩემი ეპოქა  
ჩემი სივრცე  
ჩემი მინა  
ჩემი ბრწყინვა  
ჩემი გარყვნილება  
ჩემი სიღარიბე  
ჩემი ცოდვები  
ჩემი აღტყინება  
ჩემი ნაკლებობა  
ჩემი ბრწყინვალება  
ჩემი ნეტარება  
ჩემი ქმნილება  
ჩემი მაღლი  
ჩემი ობიექტი  
ჩემი თანხა  
ჩემი შეურაცხყოფა  
ჩემი სიბნელე

ჩემი იდეა  
ჩემი გრაფიკი  
ჩემი გარშემოწერილობა  
ჩემი გრავიტაცია  
ჩემი პოლარულობა  
ჩემი მანძილი  
ჩემი ქუთუთო  
ჩემი ნარგავი  
ჩემი დაშორება  
ჩემი იდენტიფიკაციის  
დოკუმენტი  
ჩემი ხელოვნება  
ჩემი სიკვდილი  
ჩემი სტენდი  
ჩემი მომზადება  
ჩემი გული  
ჩემი სიცოცხლე  
ჩემი შთაბეჭდილება  
ჩემი საფლავი  
ჩემი მაღლიერება  
ჩემი ძვლის ტვინი  
ჩემი ზეცა  
ჩემი გარეგნობა  
ჩემი ზეითუნის ზეთი  
ჩემი ფქვილი  
ჩემი პიროვნება  
ჩემი ფაფა  
ჩემი გონება  
ჩემი ფუნქცია  
ჩემი სიშიშვლე  
ჩემი ილუმინაცია  
ჩემი თავისუფლება

ჩემი ქველმოქმედება  
ჩემი ვარდი  
ჩემი უფერულობა  
ჩემი პომპი  
ჩემი პიჟამა  
ჩემი შეცოდება  
ჩემი პოზირება  
ჩემი ლოცვა  
ჩემი ალიონი  
ჩემი ოკეანე  
ჩემი მოქცევა  
ჩემი ილღია  
ჩემი სპექტაკლი  
ჩემი დრეიფი  
ჩემი ნიადაგი  
ჩემი სხეული  
ჩემი ანგელოზები  
ჩემი თაყვანისცემა  
ჩემი ცვარი  
ჩემი ჰობის ცხენი  
ჩემი კლიენტი  
ჩემი პური  
ჩემი რწმენა  
ჩემი ტყუილები  
ჩემი ზრუნვა  
ჩემი მოუსვენრობა  
ჩემი მზესუმზირა  
ჩემი დაღლილობა  
ჩემი ასაკი  
ჩემი არსებობა  
ჩემი არსი  
ჩემი ზურგის ტკივილი

ჩემი ტორტი  
ჩემი მაღლობები  
ჩემი გახევება  
ჩემი შთაგონება  
ჩემი სიმბოლო  
ჩემი გუბურა  
ჩემი “ბრილო“  
ჩემი სიელმე  
ჩემი ფუნტი  
ჩემი ქვა  
ჩემი კრიტიკა  
ჩემი აპლომბი  
ჩემი პორტრეტი  
ჩემი თვალთახედვა  
ჩემი სარწეველა  
ჩემი დები  
ჩემი მოთხოვნები  
ჩემი მარმელადი  
ჩემი სიტყვა

*(კრებულიდან “თავშესაფრები“, 1975)*  
*ინგლისურიდან თარგმნა*  
*დავით ჩიხლაძემ*



## გმადლობ, რომ მმადლობ

ეს სრულიად  
ხელმისაწვდომი ლექსია.  
ამ ლექსში არაფერია  
რაც რამენაირად  
რთულად გასაგები იქნებოდა.  
ყველა სიტყვა  
მარტივი და მნიშვნელოვანია.  
აქ არაა ახალი კონცეფტები  
თეორიები  
იდეები რომ დაგაბნიოს.  
ამ ლექსს არ აქვს  
ინტელექტუალური პრეტენზიები.  
ის წმინდად ემოციურია.  
სრულად აღწერს  
ავტორის შეგრძნებებს:  
ჩემს შეგრძნებებს,  
პიროვნების,  
ახლა შენ რომ გესაუბრება.  
ეს ყველაფერი კომუნიკაციაზეა.  
გულწრფელობაზე.  
ეს ლექსი გაღიარებს და გაფასებს  
შენ როგორც მკითხველს.  
ის ზეიმობს  
ადამიანური წარმოსახვის გამარჯვებას  
უფსრულებსა და უბედურებებს შორის  
ეს ლექსი შეიცავს 90 ხაზს,  
269 სიტყვას და  
იმაზე მეტ მარცვალს, ვიდრე მე მაქვს დრო მის  
სათვლელად,

ყოველი სიტყვა,  
ხაზი და მარცვალნი  
შერჩეულია, რათა აწარმოოს  
მხოლოდ განზრახული მნიშვნელობა  
და არაფერი მეტი.  
ის უარყოფს  
სიბნელეს და მისტიკას.  
არაფერია დაფარული.  
ასობით მკითხველი  
წაიკითხავს ამ ლექსს  
ერთნაირი მანერით  
და ამოიღებს იქიდან ერთსა და იმავე  
გზავნილს.  
ეს  
ლექსი, როგორც ყველა  
კარგი ლექსი, გვიყვება  
უშუალოდ ამბავს  
რომელიც მკითხველს  
თავსატებს არ უტოვებს. მაშინ როცა  
სიმძაფრის, ბრაზის,  
შურის, ქსენოფობიის  
და რასისტული ქარაგმების გამოხატვისას  
მისი საბოლოო განწყობა  
მტკიცებითია.  
ის პოულობს  
სიხარულს ცხოვრების  
თუნდაც იმ ავ მომენტებში  
რომელსაც შენთან ერთად იზიარებს.  
ეს ლექსი წარმოადგენს  
პოეზიისადმი იმედს  
რომელიც აუდიტორიას  
ზურგს არასოდეს შეაქცევს

რომელიც არ ფიქრობს, რომ  
მკითხველზე უკეთესია  
ეს ჩაფიქრებულია  
ლექსის პოპულარულ ფორმად  
როგორცაა ფრანის ფრენა  
და მფრინავი თევზი  
ეს ლექსი არ მიეკუთვნება  
რომელიმე სკოლას  
არ აქვს დოგმა.  
არ მისდევს მოდას.  
ის ამბობს მხოლოდ იმას,  
რასაც ამბობს.  
ის  
რეალურია.

## მე და ჩემი ფარაონი...

[ფაქსიმილე]

გაიღვიძა

სრულად დამუხტულმა. შენ

შეგიძლია

წყალი მიუტანო ცხენს,

მაგრამ ვერ გააჭენებ. ყველა პოეზია კონცეფტუალურია

მაგრამ ზოგიერთი უფრო კონცეფტუალურია

ვიდრე სხვები.

გარემოების სირთულეს მივყავართ

პოეტური ლიცენციისკენ. პოეზიას

არა აქვს ნიშა

და ეს

არაა

მისი ნიშა-

ნი.

ბედნიერი რომ გახდე

უნდა გახდე

მსუქანი. უმკაცრესი თვეა აპრილი

პოეზიისთვის.

არც მაისია უკეთესი,

ხომ ასეა.

რატომ უნდა დაწერო პროზაში

ის, რაც ლექსშიც იოლად მოთავსდება.

ეს ლექსი

არის ყავარჯენი

რომელიც გაფიქრებინებს, რომ ეს ლექსი არის ყავარ-

ზე გადებული კუდი.

ყველა ლექსს აქვს 13 სხვადასხვა ჩარჩო, მოწყობილობა,

მოტივები,  
სტილები, ფორმები, ან კონცეპტები.

**პოეზია ასაჭურისებს პროზას.**

სხეული: არ შემიძლია მასში ყოფნა,  
მასში არყოფნაც შემიძლია

ა-

რ.

მე მინდა ვიყო გაგებული,  
მაგრამ არა შენ მიერ.

გასული კვირის ამინდი იყო დაშაქრული  
როგორც მრავალი ცოლი, ან დანტონის თოვლიანი  
სვეტები.

ცაში საცობი არაა.

სიახლოვე აშენებს შინაარსს.

გუშინდელი ამინდი

არის ისეთივე ღატაკი,

როგორც ხვალინდელი სიზმარი.

ტექსტის

სიღრმისგან თავის არიდებას

აბაზანაში ჩაყვინთვამდე მივყავართ,

თუნდაც ფსკერზე ბავშვი ვერ აღმოვაჩინოთ.

მე არ ვისურვებდი პოეტურ ტრადიციას

რომელიც ნევრად მიმიღებდა.

საჭიროა ბორბლის ხელახლა გამოგონება,

რადგან ისევ გავიჭედეთ.

მე თითქმის ახალი ხელოვნებისკენ ვარ (ნაზად

გამოყენებული ფორმები) –

უფრო იოლია ჩაატო უბის წიგნაკში

და ტვინ-

ში(ნ)

(დიდი ხელჩანთები არ მიიღება)

ერთადერთი ჭეშმარიტი

ინოვაცია ღმერთს ეკუთვნის  
სხვები ნაღდი ფულით იხდიან.

*ეს არის ტყუილი და ეს სიმართლეა.*

უკეთესია, სიმართლე იყოს ჩრდილში, ვიდრე ტყუილი მზის  
სინათლეზე.

მადლენს[1] ის მაღლი აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდა  
(ადრინდელი გააფუჭეს)

...

მართოდყოფნა და შეგრძნება

...

**ოპერატორები მორიგეობენ. დარეკე ახლავე.**

მშრალი, როგორც ბუბტი, მოსალოდნელი, როგორც  
მკვდარი

ღამით.

რეკლამის გარეშე პოეზია, ისეთი, როგორიც ვიცით,  
ვეღარ გადა-  
რჩება.

პოეზია აღარ უნდა ემსახუროს ხელოვნებას იმაზე მეტად,  
ვიდრე რელიგია, იდეოლოგია ან მორალიზმი.

პოეზია უნდა ემსახუროს არაფერს,  
ან იმასაც არა.

თუ შეძლებ გნოსტიკოსების ამოცნობას,  
ისინი ალბათ

არ არიან საკმაოდ გნოსტიკოსები,  
მე რომ მკითხოთ.

მე მწამს ჩემი ურწმუნობის, მისი მიზეზის.

ლექსში რაც წმინდაა, არსად ჩანს და  
ყველგან იგრძნობა.

ტრანსგრესია მეტია

ვიდრე

რიტუალი

მაგრამ მეტად

არასაკმარისია.  
ის მეტია ლიტურგიაში  
ვიდრე დოქტრინაში  
ლურჯ მთვარეში  
ჩემი მიზანი ჩამრჩა სხვის ტანსაცმელში.

შენ არ ხარ ნიჩაბი ოკეანეში, ჩრდილი სიბნელეში, ტაეპი  
ლექსში, ლობსტერი ბადეში, ქვაბი ქურაზე, ბორბალი  
სატვირთოზე,

ასო კლავიატურაზე, ცელი მინდორში, ბერკეტი მუშა  
მდგომარეობაში,  
ღრუბელი ცაზე, ხილი ხეზე, ვირთხა ლაბორატორიაში.  
დედანი ასლის ცუდი ანარეკლია.

ორიგინალი იმის ექოა, რაც უნდა ყოფილიყო.  
დრო არაა არც ლინეარული, არც ცირკულარული, ის  
ყლებობაა.

სილამაზე არის დაკარგული დროის მოგონება.

მოგონება

არის

დაკარგულ

დროზე

რეფლექსია.

ამერიკული შემოქმედება იტანჯება

მისი არაშემოქმედებითობით.

მე არ მწამს რწმენის, იმედის იმედისათვის,

რწმენისა რწმენისათვის, ეჭვიც მაეჭვებს.

ისინი ამბობენ, ღმერთი დეტალებშია.

რადგან

სხვა ყველაფერი ეშმაკმა აითვისა.

ღმერთი არის სუსტი და წარმოსახვითი – მბჟუტავი

შესაძლებლობა.

ყველგანმყოფი და ყოვლისშემძლე ღმერთის დოგმა

აშთობს იმედს და  
უარყოფს წმინდას, როგორც კი ზურგს აქცევს სამყაროს.  
ღმერთს არა აქვს დოქტრინა, მორალურობა,  
პასუხისმგებლობა.  
შესცოდო უფლის წინაშე, ნიშნავს, მისი სახელით  
გაამართლო  
ნებისმიერი ქმედება ან აკრძალვა, მკვლელობა ან  
წმინდანობა.  
მე მაქვს ავთენტიკურობა, შენ გაქვს დოგმა... ვადიდებდეთ  
უფალს.

წარმოვთქვათ კიდევ ერთხელ:  
ეს ჭეშმარიტებაა, მარამ მე არ მწამს მისი  
მე მწამს მისი, მაგრამ ეს ასე არაა.

„ჩემი ლოგიკა მოთავსებულია მდუღარე ქვაბში“.

[ვიტგენშტაინი]

ბებერი ძროხა სჯობს

მკვდარ ცხენს. ალცჰაიმერი:

რა ბრძანეთ? ანუ მე არ ვარ

ხარი ჩინურ მაღაზიაში, არამედ ჩინეთი ვარ  
bulls’

shop-ში<sup>[2]</sup>.

ზოგჯერ პენისი უბრალოდ

ს-

ი-

მ-

ბოლოა.

თავიანთ დარდში ჩაძირულები, ებრაელები მიდიან და  
მოდიან

ლაპარაკობენ ბერგენ-ბელსენზე

(მე ვიხილე დრო, მაგრამ მას არ დაუბრუნებია მზერა)



ჩემი გული წყლის სათლია  
წყლიდან ამოაქვთ  
შვიდჯერ სავსე  
რვაჯერ ცარიელი.  
ზენონი და ჰერაკლიტე – მამაჩემის რძის წვეთები.  
მე ვფიქრობ ლექსთან ერთად  
და არა  
მისი

ბ-

ა-

ვ-

ლ-

ი-

თ.

შებრუნების ფრაზები / ჩემი მაღაზია ნავაჭრში.

ნეგატიური

შესაძლებლობა: ცხადია.

მაგრამ ასევე პოზიტიური შეუძლებლობა.

მე ყოველთვის

მესმის ექოები და რევერსები

როდესაც ვუსმენ ენას. ეს არის

ჩემი ცნობიერების ველი.

როცა ვწყვეტთ ქმედებას – ან ვაწარმოებთ,

ვაიძულებთ – აზრით, მაშინ გვაქვს შანსი ვიპოვოთ ის.

პროფესიონალი პოეტი არაფერს ყრის გარდა კვერცხის  
ნაჭუჭისა

და ყავის მარცვლებისა.

ვფიქრობ, კარგი იდეაა იყო არაორიგინალური, მაგრამ  
ორიგინალური

გზით.

პოეტები არიან წარმოსახვის  
რაკეტები: ჩხვლეთენ საკუთარ თავს  
როცა ზიანდებიან  
იმის ნაცვლად, რომ მიწას დაუბრუნდნენ.

*ნეტავ, ისევ პიჟამაში ვიყო გამონყობილი.*  
უირონიო ცხოვრება არ ღირს.

როცა ამბობენ ამ ხუმრობას: სამი ებრაელი ოთხი აზრი,  
ის, რასაც ისინი არ ამბობენ, ეს ჩლუნგები, არის ის, რომ  
მათაც იგივე აზრი აქვთ, მესამე კი...

მიზუზუნებს რაღაცას ყურში და ეს სულაც არაა ლამაზი.  
აბსენტი გულს  
აუცხოებს.

“ნაშრომის ბოლოში “ობიექტი” მიემართება ციფრულ  
ფაილს”.

გუშინ არის ორი ნაბიჯი ხვალიდან  
და ყველა ახალი წელი არის შეუძლებლობათა ჯამი.

ხალიფა ჩრდილოური ფოკლორიდან, პირდაპირ ეთერში  
ხართ.

გამო-  
ეცალე  
გამო-  
ხურულ კარს.

ზედმეტია, ამიტომაც არ გვყოფნის.

უნაკლობა, როგორც გემი სასაკლაოზე, მე ვარ  
უმანკო, როგორც ბუქსირის ჯაჭვი,  
ამის გარდა, სხვა აბსოლუტი არ არსებობს.  
ეს იყო ჭეშმარიტი დახრილობა გასროლის წინ.

“წმინდა ნიშნავს ყოფნით გაჯერებას”.  
[ბერსენბრუგე]<sup>[3]</sup>

ასეთი მურტალია. ასეთი მართალია.

***ინგლისურიდან თარგმნა ჰაატა შამუგიამ***

## კითხვარი

წესები: მოიმარჯვეთ ავტოკალამი და ყოველი წყვილი წინადადების ჯგუფში შემოხაზეთ ერთი რომელიმე ასო, “ა“ ან “ბ“, რაც უკეთ გამოხატავს თქვენს ხედვას. გააკეთეთ ასეთი არჩევანი ყოველი წყვილი წინადადების ჯგუფისათვის. არცერთი პუნქტი არ გამოტოვოთ.

1. ა) სხეული და მატერიალური სამყაროს საგნები ნებისმიერი ცოდნის ერთადერთ გასაღებს წარმოადგენს, რისი დაუფლებაც კი ჩვენ ძალგვიძს.

ბ) ცოდნის მიღება მხოლოდ გონებისა და ფსიქიკის საშუალებით თუ არის შესაძლებელი.
2. ა) ჩემი ცხოვრება, მეტწილად, დამოკიდებულია იღბალსა და შემთხვევაზე.

ბ) მე თავად განვაგებ ჩემი ცხოვრების ძირითად მიმართულებას.
3. ა) ბუნება ნეიტრალურია ადამიანის საჭიროებების მიმართ.

ბ) ბუნებას გარკვეული მიზანი გააჩნია, მაშინაც კი, როდესაც ეს ჩვენთვის დაუდგენელია.
4. ა) მე დამაკმაყოფილებელ დონეზე შემიძლია შევიმეცნო სამყარო.

ბ) სამყარო, ძირითადად, მიუწვდომელია.
5. ა) სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა.

ბ) სიყვარული მოჩვენებითია, ხოლო მისი სიამოვნებანი – წარმავალი.

6. ა) პოლიტიკურსა და სოციალურ ქმედებას შუედლია სამყაროს

მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბ) პოლიტიკური და სოციალური ქმედება სრულიად უსარგებლოა.

7. ა) მე ვერ შევძლებ სრულად გამოვხატო ჩემი ყველაზე ღრმა გრძნობები.

ბ) მე ისეთი გრძნობები არ გამაჩნია, რომელთა სრულად გამოხატვასაც ვერ შევძლებდი.

8. ა) კეთილშობილება დაჯილდოებას არ უცდის, ის თავისთავადვე წარმოადგენს საზღაურს.

ბ) კეთილშობილება არანაირ კავშირში არ არის საზღაურთან.

9. ა) ჩვენ შეგვიძლია გამოვიცნოთ, არის თუ არა რომელიმე პიროვნება სანდო.

ბ) ადამიანები სრულიად მოულოდნელი მხრივ გამოავლენენ ხოლმე თავს.

10. ა) უკეთეს ვარიანტში, სოფელში ცხოვრება უფრო სასურველია.

ბ) უკეთეს ვარიანტში, ქალაქში ცხოვრება უფრო სასურველია.

11. ა) ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა ყველაზე

დიდ სოციალურ ბოროტებას წარმოადგენს.

ბ) ტოტალიტარიზმი ყველაზე დიდ სოციალურ ბოროტებას წარმოადგენს.

12. ა) საბოლოო ჯამში, ტექნოლოგია ადამიანებისთვის სიკეთის მომტანი აღმოჩნდა.

ბ) საბოლოო ჯამში, ტექნოლოგია ადამიანებისთვის ზიანის მომტანი აღმოჩნდა.

13. ა) შრომა უმაღლესი ადამიანური სრულყოფის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს.

ბ) სოციალური სრულყოფისკენ მიმართულ ნებისმიერი მოძრაობის მიზანს შრომისგან გათავისუფლება უნდა წარმოადგენდეს.

14. ა) ხელოვნება თავის არსში პოლიტიკურია, იმ მნიშვნელობით, რომ მას შეუძლია შეცვალოს სინამდვილის ჩვენეული აღქმა.

ბ) ხელოვნება თავის არსში არ არის პოლიტიკური, რადგან მას მხოლოდ აღქმის შეცვლა შეუძლია და არა მოვლენების.

*(კრებულიდან “გოგონასებური კაცი“, 2006)*  
**ინგლისურიდან თარგმნა დავით ჩიხლაძემ**

## **ყველა ვისკი სამოთხეში**

არც ყველა ვისკის გამო სამოთხეში  
არც ყველა ბუზის გამო ვერმონტში  
არც ყველა ცრემლის გამო სარდაფში  
არც მარსზე მილიონჯერ გამგზავრების გამო

არც მაშინ თუ ბრილიანტს მიყიდი  
არც მაშინ თუ მარგალიტებში ჩამსვამ  
არც მაშინ თუ შენს ნეკა თითის ბეჭედს მომცემ  
არც მაშინ თუ შენს კულულებს დამითმობ

არც ყველა ცეცხლის გამო ჯოჯოხეთში  
არც ყველა ლურჯის გამო ზეცაში  
არც საკუთარი იმპერიის გამო  
და არც სულიერი სიმშვიდის გამო

არ შემიძლია არაფრის გამო გადაყვარება  
შენი და სანამ გული მიძგერს, ასე იქნება  
და თუნდაც მერე, ჩემს სიტყვებში და სიმღერებში  
კუბოს კარამდე შეგიყვარებ ისევ თავიდან.

***ინგლისურიდან თარგმნა ჰაატა შამუგიამ***

## რონ ვინკლერი (გერმანია)



მწერალი და მთარგმნელი. დაიბადა იენაში 1973 წელს. ამჟამ

ად ცხოვრობს ბერლინში. სწავლობდა გერმანულ ენასა და ისტორიას. სწავლის პარალელურად დააარსა პოეტური ჟურნალი „intendenzen“, რომელსაც ათი წლის განმავლობაში უძღვებოდა. იყო სარეზიდენციო პროგრამების მონაწილე არგენტინაში, იტალიაში, შვედეთში, ირლანდიაში და უკრაინაში. მისი ლექსები 25-ზე მეტ ენაზეა ნათარგმნი. „ტერიტორიების საფოსტო ბარათები“ რონ ვინკლერის ბოლო პოეტური კრებულია. პოეზიის გარდა ვინკლერი წერს მოკლე მოთხრობებს (ფლეშ-ფიქციებს). არის შვიდი პოეტური ანთოლოგიის რედაქტორი და ინგლისურიდან თარგმნილი აქვს არაერთი პოეტური კრებული. მისი რჩეული ლექსები გამოცემულია დიდ ბრიტანეთში, უკრაინაში და მექსიკაში.



## ბერლინი

შენ იწევი ბალახში.

შენ იწევი ქუჩის ბალახში.

ანუ ბალახში, რომელიც თითქოს რბილი ჩანდა, რადგან იყო უხეში.

ბალახში, რომლის ღეროებიც დაუჯერებლად ეხებოდნენ მის სიმწვანეს.

შენ იწევი ბალახში, რომელიც იყო ერთიანზე გაჩერებული ქაუნთდაუნი.

ხედავდი, როგორ ეშვებოდნენ ტურისტები, ბალახის ექსპერტები.

ნივთებიდან იწმენდნენ ბალახს,

ვირუსივით შემოტანილ ბალახს.

შენ მშვიდად იწევი მათ ბალახში,

ერთმანეთს რომ ეხებოდნენ, თითქოს ცეკვავდნენ.

ბალახში, რომლის ზედაპირზეც პოლიცია ქარის ნაკადს აწესრიგებდა.

შენ იწევი თბილ ბალახში, მის არშიაზე

ბავშვები თბილი საჭმლის რიგში იდგნენ

თუმც არ ციოდა.

შენ ყურით ეკვროდი ბალახს, ყური

გადმოსცემდა ბალახს.

მრავალფეროვან მოსაწყენ ბალახს.

შენ იწევი ბალახში,

რადგან განუხებდა კითხვა

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი თუ იქნებოდა

მისი ბეტონით განკურნება.

შენ იწევი ბალახში, ზუსტად ისე, როგორც უნდა იწვე

ბალახში.

ყველა ღერში ნიადაგი იყო შთანთქმული.

ყველა ღერში ქალაქი იყო შთანთქმული, ხმაური იყო  
შთანთქმული,  
ხრეშის (რომელსაც მეეზოვე  
კანფექტივით ანაწილებდა  
ირგვლივ ბალახზე) ხმაური,  
წოლის დროს რომ წარმოიქმნება, და ბალახში გადადის.  
ყველაზე ჩუმი ხმაურის  
ხმაური.

შენ იწევი ბალახში, როგორც მწერებზე მოთვალთვალე.  
როგორც ფხიზელი დაღლილობისას. როგორც ყოველთვის.  
შენ იწევი ბალახში – ბალახის ნაირსახეობა – მოგლეჯილ  
სარეველასა და  
ახლადშეკეთებულ ღეროებს შორის.  
აღმაცერად შესცქეროდი კონებად შეკრულ  
ახალ ათასწლეულს.

მეცამეტე ქალაქის მეშვიდე უკანა ეზოს ბალახში.  
შენ იწევი მგლებისა და ფუტკრების ბალახში.  
შენ იწევი ბალახში, მას შემდეგ, რაც მანამდე  
შენში იყო ბალახი.  
შენ იწევი ბალახში.  
მე შენ გვერდით ვინევი ბალახში.

## ღამეები ყოვლისმომცველ მედიუმში

*ჯეფრი მაკდენიელს*

როცა ვერ ვიძინებთ, ჩვენ ვითვლით მაშველებს,  
იმ სასწრაფო დახმარების მანქანას რომ ჩაუქროლებენ,  
რომელშიც ჩვენ ვართ.

როცა ვერ ვიძინებთ, ჩვენ ვანათებთ, თითქოს  
სიბნელე იყოს სინათლე.

როცა ვერ ვიძინებთ, ვითვლით იმათ,  
ვინც ვერ იძინებს.

როცა ვერ ვიძინებთ, ვდგებით, რათა  
ამ მდგომარეობას შევძინოთ კულტურული ელფერი –  
მსგავსი ჩაცვნილთვალება ჰაიდეგერიზმისა.

როცა ვერ ვიძინებთ, ვუთვალთვალებთ, როგორ  
კითხულობს

ჩვენი მთქნარებაატეხილი სხეულების  
მთქნარებამორეული ადგილობრივი პოლიცია  
მთქნარებამდე საინტერესო წესდებებსა და  
ბრძანებულებებს.

როცა ვერ ვიძინებთ, გამოთქმით ვკითხულობთ  
დაბეპირებული ორი-სამი ლექსის  
ორ-სამ-ოთხ სტრიქონს.

როცა ვერ ვიძინებთ, ჩვენ ვართ პედლებიანი პატარა ნავი  
პოტიომკინი.

## „მოგვიანებით კი პარაბოლაგაშლები სუნთქვასთან ახლოს“

*ემილი დიკინსონს*

ქვემოთ ბაღია. საგანგებოდ გაკრეჭილი  
ტყე. ზემოთ – მზის უსასრულო π.

და სილამაზე, როგორც რაღაც, მოკრძალებული.  
ანუ ღრუბლები. *მაშასადამე, ღრუბლები.*

შუაში – ეს ჯოჯოხეთური ხილია. ეს  
*ჯოჯოხეთური* ხილი.

გრიბლი<sup>[4]</sup> კურდღლებიც იქ არ იყვნენ?  
*იქაც ხომ იყვნენ, არა? ღობესთან?*

და ჯუნგლის მსგავსი კუბიკები  
მიწისაკენ მომკივანი ფრინველებივით?

ამ საოცრად უსახლკარო განწყობაში  
ვიღაც მოდის და ხმის დასახშობ ღილაკს აჭერს

თავის Heckler & Koch<sup>[5]</sup>-ზე. ეს მე არა ვარ.  
ეს სრულიად სხვა ძალით მართული დაჯგუფება –

ა.

## ბილიკი 22

მედიუმს რცხვენია. კოლოები მეტანებიან.

დღეს (რაც უკვე გუშინაა) დილას

ყაყაჩოს უსასრულო ყვავილში ვიცეკვე. ქერა გავხდი.

თითქმის მოუხელთებელი ვიყავი. კოლოებიც ასე იყვნენ.

მშენებლებსაც აქვთ თავინთი ფონენდოსკოპი, რადგან

ახლოქმედებაც<sup>[6]</sup>

შემზარავია. მათმა გზებმა გადაგვკვეთეს? არ ვიცი, მაგრამ

დღეს თოვლი მხოლოდ 3.14 მ რადიუსზე მოვიდა,

სამაგიეროდ,

პირდაპირ გადაჭრა ქალაქი. რომელიც, ალბათ, მხოლოდ

სამრეწველო ზონაა

ბევრი საცხოვრებელი ფართით. ეს სასიამოვნოა, ჩემი

სიმშვიდის გულისცემა

ა-ბ-ბ-ა -ს ემთხვევა. და ეს ყოველივე შეცდომით

განმარტებული მზის ქვეშ.

## ბილიკი 26

მდინარეს ზღვამდე ავუყევით.

თავდაცვის მიზნით.

ფაკირის მხარე, ცნობილი სათხილამურო ზონა,  
არ ენთო. დღისითაც არა.

ზემოთ ბევრი ჩანს რუჯის ჯაჭვში ჩაბმული. ხალათები  
ატარებენ წარწერას KOHLHAAS<sup>[7]</sup>.

შესაძლოა, ამონმებენ, ქიმია თუ ისევ მოქმედებს.

კარგი ხალხია. გაუფილტრავი ბენზინი უყვართ,

პრაქტიკულია

მათი ელექტროშოკური იარაღი. გუშინიდან მოყოლებული

გარეგარეგარეუბნის ერთ სისხლისფერ შენობაში

ვცხოვრობთ,

შანპანურს ვსვამთ,

თრომბოზის პროფილაქტიკის მიზნით. მე მწვრთნელის

ლიცენზია ავიღე

თევზებისთვის. მოსალამოებისთანავე

პარკებიდან კოლოსხელა ფანტომები გამოდიან. ისინი

ბევრს არაფერს აკეთებენ,

მაგრამ ცოცხლობენ.

ისინი – მაშინ, როცა ჩვენ მიწყობილ ძილებს ვისიზმრებთ –  
ანათებენ, დროის სიღრმიდან.

## ბილიკი 30

### ბიორნ კულიკს

საკონტეინერო გემი ყოველდღე სხვადასხვა ქვეყანა იყო. ნავსაბელთან ვიდექით, მზის თვალსაწიერში „კი“

მოვხაზეთ და ველოდით, რა იქნებოდა. და მოხდა. ზღვის მოქცევამ, უცაბედად მოვარდნილმა, რალაც თეთრი გამორიყა.

სტრადივარები უფრო სწრაფად იწვებოდნენ, ვიდრე ველოდით.

თოლიებსაც არ მოჰქონდათ სათანადო გარემოცვა.

ადვილი ჩანდა, თუმც უდაოდ იღბალს ითხოვდა.

უთავბოლო გუგუნი იდგა. შორეულ წყალს ვსვამდით და საკუთარ თავს ვუბრუნდებოდით. მოზარდები ავტოსტოპით

მოგზაურობდნენ. ავტოსადგომზე,

ესტაკადასთან. დამტვრეული გერმანულით

გადმოსცემდნენ.

რა სურდათ. როგორ. არ მინდა იმავე კლინიკაში მოვხვდე,

სადაც ჩემი

თანამოძმენი.

## კორდობა

### ლარა კრესპოს

ქალაქს ძილი შემოვარტყი, ფორთოხლები შევწამლე,  
ვნახე არგონავტელები, თან ჰქონდათ წმინდანებისა და  
ჰაერგამწმენდი ფლაკონების დიდი  
ასორტიმენტი, ყინულებით  
ჯიბებამოვსებულმა მივატოვე  
ღრუბლების  
ზედახორა და რძეში burro<sup>[8]</sup> ჩავაპირქვავე, ძროხებს  
ჩერნოვიცი<sup>[9]</sup> გამოვუცხადე,  
ცოხნიდნენ და ცოხნიდნენ მის დაშიფრულ  
პამპასებს<sup>[10]</sup>, ღიმილი კი მე გადმომილოცეს,  
ჩემი რეიტინგი გაიზარდა,  
ჭრიჭინების ჯიხურს ვგავდი  
აქაური ნაცნობებისთვის: ჯვაროსანი ასტრონომები,  
საპნის ბუშტების აქტივისტები,  
ჩემს გულებს რომ სივრცეებში აფეთქებდნენ,  
მხოლოდ საფოსტო მარკის დაკვრა  
გაჭირდა, არც ფოსტა ჩანდა სადმე, სამაგიეროდ  
ყველგან ჟანგით დახაზული ქუჩები,  
ჰორიზონტამდე გაჭიმული, და თუმცა ჩვენ  
სიტკბო-ნახევარსფეროზე დავცხოვრდით,  
ქალები, თავზე ათი ბიფოკალური სათვალისგან შეკრული  
დიადემებით, ისხდნენ წინ, აბრეშუმის აკაციებად  
ამოზრდილ ავტობუსებში,  
კითხულობდნენ პოლიეთილენის პარკებგადაკრულ  
გაზეთებს,  
და პრუსტსაყუდელებში ცივად სწირავდნენ მადლენებს<sup>[11]</sup>.  
მერე კი მათი ღმერთის



ფოტოზეც მოვხვდი,  
რაზეც ძროხური ღიმილები შემომაგებეს,  
მითხრეს, რომ ჩემმა ვარცხნილობამ  
კურთხეულ მყო უკუნისამდე,  
ამასობაში კი სინათლემ  
გამჭვირვალობის სხვადასხვა ფორმა  
შეითვისა, გადავისროლე სიზმრის ღუზა –  
ქლორდისპანსერის, პოლიციის წყვილჩლიქოსნების  
და ჯერ სახელდაუდებელ სამფლობელოში –  
და აგავებს გადავავლე თოვლის რძისფერი  
მტვერი – პანია ფრთებიანი,  
(ძლივს დაფრინავდნენ)  
და მეკიოსკეს გადავძახე  
დაღლილობიდან:  
თქვენ წინ ჯერ ბევრი რასტაფარი<sup>[12]</sup> გაქვთ,  
ოღესმე.

***გერმანულიდან თარგმნა მაია ლიპარტელიანმა***

## პერ ჰანსონი (შვედეთი)



დაიბ  
ადა  
1970  
წელს  
,  
ჩრდი  
ლოე  
თ  
შვედ  
ეთში,  
ქალა  
ქ  
ვენეს  
ში.  
გამო  
ცემუ  
ლი  
აქვს  
ექვსი  
პოეტ  
ური  
კრებ

ული: „ეოხმახი“ (1998), „საოჯახო სკივრი“ (2001), „საზვავე  
ალმები“ (2005), „ელექტროხერხის ხსოვნა“ (2009)  
„ვაგროვებთ ცივილიზაციის კენკრას (2012)“ და „კაიაკი“  
(2016). მისი ლექსები შესულია მრავალ ანთოლოგიასა და  
ლიტერატურულ გამოცემაში შვედეთში და საზღვარგარეთ,  
თარგმნილია ინგლისურ, ესპანურ, ფრანგულ, სკოვაკურ,  
ბოსნიურ, სერბიულ, მალაიურ, გერმანულ, სლოვენურ და

ესტონურ ენებზე. არის შვედეთის მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი და პოეტური ჟურნალი „Grass“-ის ერთ-ერთი რედაქტორი. ამჟამად ცხოვრობს სტოკჰოლმის გარეუბანში, მართავს საჯარო კითხვის საღამოებს თავის ვერანდაზე და ასწავლის შემოქმედებით წერას გოტლანდის სახალხო უნივერსიტეტში.

\*

ქსოვილშემოხვეული გდია კაიაკი  
მურყნების ქვეშ, მოხსენი  
დაკლიტული თოკები და მჭიდროდ ჩატენე  
ბრეზენტი მურყნის ტოტებს შუა  
მოაშორე მიწა ყვავილების მტვერი  
ობობას ქსელი და მბრწყინავი  
გამომშრალი ზამთრის სხეულები  
ჩაჯექი კაიაკში  
დღეს ნიჩბებს მოვუსვამ  
ხმელეთის ახლოს და ყოველი მოძრაობა  
წვეთი, ლელის ღერი, მორევი  
ჩიტები ჭრელი სამოსლით  
ფრთებით, თავებით და ყელით  
მღერიან  
მათი გაქცევა  
ირეკლება და გვშორდება  
უძველესი სიჩუმე, როგორი შვებაა  
რომ ქარი მზეში არ შეგაცურებს  
ნიჩბიდან წვეთავს  
წყალი, რომელიც ჩამოდის ნიჩბიდან  
ტბას უერთდება.

\*

მზე გაიდლაბნა  
შუაგულ დღეში, დღემ თავსხმა შუქი  
დაუშვა ტბაზე

თუ ვინმე მხედავს

ნაპირიდან ან მაღლობებზე

შეფენილი ბალებიდან

ალბათ იტყვიან რომ

მენავე ვარ

ნიჩბებს ვუსვამ

მარტივი ვარ როგორც ნიშანი

ზუსტად ეს მინდა

მინდა რომ ვიქცე ჩემს საქმედ

ვიყო რასაც ვაკეთებ და ვაკეთო

პირიქით

სიმართლეები, მივცურავ

მათგან

\*

წაგრძელებული ჩრდილი

ქანაობს

წიბოებს შორის

შიგნით კაიაკში

ჩრდილს არა აქვს

გაქცევის სქემა

აქ ელოდება

თანაგრძნობას

ვზივარ იმ ჩრდილში

ფეხშიშველი

ფეხსაცმელები ნაპირზე დარჩა

სისხლი ჩადგა დაღურჯებულში  
სიმღერა ყურებში

ბოლო კაცი ხარ ამ ქვეყანაზე  
დასაწყისისკენ მიემგზავრები

\*

მენტები მენტები

სხეულის ბრუნვა და მხრების მოძრაობა

ნიჩბის ტარი და ნიჩბის ტარი და  
ეძებე სიმძიმის ცენტრი და

უპოვე ჰორიზონტს წელი და

მონოტონური და სწორია რიტმი

მკლავების ხედების

ორიოდე სიტყვა

ტვინში მოირკალა

და აჰა ამწვანდა

აი ამწვანდა

ჩვენი ბალახი და ჩვენი წყალი და

ამ ყურეს გადაღმა

მარადისობის ლელი

\*

აქ ამ ცის ქვეშ

ტალახიც ცოცხლდება

არაფერი უნდა

სიცოცხლის გარდა

ქვაზე ვზივარ, წელზე კაიაკის სამაგრით  
სიტყვები სიფხიზლეს მინარჩუნებენ

სამაგრის ბადურა ჯიბეში ტელეფონი რეკავს  
არ ვპასუხობ

სალამო ნათელია, ღრუბლები მიცურავენ

ტალახი ცოცხალია

თითქმის თეთრია ლელი

\*

თვალი ჰკიდე

იხვს, ყვინთიას,

ცალი თვალით

გახედე ყანჩას

ლელიანი ქანაობს

გაღმა ნაპირზე

შენ ხარ პირველი ვინც გაჩნდა ქვეყანაზე

დასასრულისკენ მიემგზავრები

რა გინდა რომ იყო

მდინარე თუ მანქანა

გინდა რომ ამ მდინარის სქემას

მისდიო

თუ გინდა რომ მდინარის ნაკადი

გირტყამდეს წვივებზე

ლამი, ნალექი

მკვდარი შეშა

ისევ არსებობს

ადამიანი ხარ, მრავალ სამყაროს

მიეკუთვნები

მზე გაზის ბეჭზე

მუხლებად მდინარის წყალი გაქვს  
ხედავ ხოჭოს  
როგორ წრიალებს  
შენი ჩრდილის  
მუცელში

არც ისე გვიანია  
ჯერ კიდევ შეიძლება ამოიღე  
შავი ქვა მდინარის ფსკერიდან  
დააცალე გაშრობა  
გაფერმკრთალება შენს ხელში

*კრებულიდან „კაიაკი“ (2016)*

## შუქ-ჩრდილების ზოლები ოთახში

მთელი ზაფხულის მზის თბილი სინათლე  
მოაწვა შტორებს და შემოიღვარა  
ზოლებად  
გადაშლილია რვეული  
ცდილობს ნაცრისფერ მტვრიან მარადისობაში  
მზით განათებული ფურცლის ვიწრო მინდვრებზე  
დარჩეს და წეროს მაგრამ ვერ გამოჰყავს  
სწორი და მოქნილი ასოები  
კალამს ველარ იჭერს ხელები  
დანა-ჩანგლად  
გადაჰქცევია  
ველარ გებულობს სულ აღარ იცის  
ამ მოუხერხებელი ვერცხლის დანა-ჩანგლით  
დაჭერი დაანაწილე  
კაფე და კაფე  
ქალაქი სინათლის თხელ ნაკუნებად

*(კრებულიდან „ქობმახი“, 1998)*



## წიწკანამ ხაზი გაავლო ჰაერში მამას მხარს ზემოთ

ბუზი მაღვიძებს  
მილიტინებს  
ჩემი ზურგი განა უსასრულოა  
მამა ჩეხავს  
შეშას ეზოს სინათლეში  
მოფრინავს წიწკანა  
მამას მხარსზემოთ  
შეშის საჩეხ კუნძზე დევს  
დრო დაბრუნებადი  
შეშაში შეხვეული  
მამა ცულს ასწევს და  
ღრუბელი ირეკლება  
შეშის ნაჭრები იქცევა  
პლასტმასის საყვირებად  
ანგელოზების მკვეთრი ხმები  
გასცემენ დილის ბრძანებას

ჩავდივარ სარდაფში  
რალაცაა ამოსატანი  
იქ სიგრილეში  
თუმცა ვერაფერს ვხედავ  
მაინც ვაგნებ  
ახლა ვხედავ  
სიბნელეს  
სიბნელეში ვარ  
ფირფიცრის თარო პეიზაჟია  
ზედ ბორცვებია ნესტისგან  
ჭარხალი, ობი  
თრთვილივით

მურაბის ქილები მინის სახურავებით  
რეზინის რგოლები მავთულის სალტეები, მოცვი  
მოცვის მურაბა მოცვი მოცვის მურაბა  
ხელში ვიღებ ქილას, ვგრძნობ  
მის სიმძიმეს  
ქილა თბილია  
ძველზე ზემოდან დაკრული ახალი ეტიკეტი  
ისე მუქია ვერ წაიკითხავ  
ისე მკაფიოა  
არ იქნება  
გამოგრჩეს  
წელი, ასოები  
შეუძლებლად დაუჯერებლად  
თბილები არიან  
თუმცა თვეებია რაც აქ დგანან  
შვრია შვრიის ღერღილის ფაფა  
ფირფიცრის თარო  
მინდორია მინდორში ხალხია  
ზოგს პლედის აქვს შემოხვეული ზოგს ქურთუკი  
გზას ადგანან  
ბავშვები მოჰყავთ  
ზოგი ურიკას მოაგორებს ზედ უწყვიათ ბარები, ფოცხები  
ჩაქურჩები, სატეხეები  
ბავშვებს და-ძმები მოჰყავთ  
ზოგს ქსოვილის პარკები უჭირავს  
ელექტრონული ნარჩენებით.  
მიკროსქემის ფირფიტა ბრჭყვიალებს, სპილენძის  
მავთულები  
ვიღაც უკან რჩება  
და მხარში უდგებიან  
ვიღაც ეცემა და  
მაინც ექაჩებიან

მთვარე გუგუნებს  
ვაკუმივით  
სპილენძის სადენი ბრჭყვიალებს

უცებ რეკავს ქსოვილის პარკში რეკავს  
რეკავს ნარჩენებში  
თითქოს რიგი დგას და არავინ პასუხობს  
ეს ხალხი  
რა უნდათ ჩემგან  
რა არის  
რასაც ვერ ვიგებ  
დღე თენდება  
როგორც ვაკუმი  
ისინი დაბლა ცვივიან ზედიზედ  
ვისაც არავინ წამოაყენებს  
ძაღლები  
შეჭამენ  
როცა ჩამრთველს ვაწვები  
წყდება მოძრაობა  
მურაბა მურაბად იქცევა და ქილები  
ქილებად  
დიდები პატარები, ხუფებით, სალტეებით  
როცა შუქს ვაქრობ  
მურაბა შავდება  
ალარც ბრწყინვა  
მინისა  
ალარც ძახილი მიშველეთო  
ურიკები, ტანსაცმელი, ნივთები  
უჩინარდებიან  
საკუთარ წონას ეზიდები  
ვებიდებით ერთმანეთის  
შვრიას

შვრიის ღერღილის ფაფას შვრიას  
შვრიის ღერღილის ფაფას  
ისინიც აი აქეთ მოდიან  
ისევ ვანთებ სინათლეს  
ვანთებ და ვაქრობ და ვანთებ  
და ვაქრობ

ცოტა იქით სათესლე კარტოფილი გაღივებულა  
შავ ყუთებში  
მაღლა აღმართული ღივები  
თითქოს ერთი ფარანია  
კარტოფილი ფიქრობს  
ცდილობს ლაპარაკს  
კარტოფილი ამბობს  
დაუჯერებლად შეუძლებლად  
ყველაფერი ორგანულია ყველაფერი ხელოვნურია  
ყველა ნივთი  
და მასალა და ადამიანის ფიქრები  
ჭკვიანური და იდიოტური  
მიეღინება  
ზედაპირებზე, არაფერია  
მხოლოდ შიგნით  
აი აქ მოდიან  
უნდა დავიმალო

როცა კიბეზე ავდივარ  
როგორც იქნა დღის სინათლეში  
ქილა ჩემს ხელში  
უკვე ცივია  
მამა ისევ იქ დგას და ცული უჭირავს აღმართული  
ზეცა ცულში  
საყვირები  
უკვე საყვირები აღარ არიან

შეშა, ღრუბელი  
და ანგელოზების ხმები  
უკვე ისე კაშკაშაა  
რომ აღარ ისმის  
წიწკანა მახსოვს

*(კრებულიდან „ვაგროვებთ ცივილიზაციის კენკრას“, 2012)*

**შვედურიდან თარგმნა მანანა კობაიძემ**

## იოლანდა კასტანო (ესპანეთი)



დაიბ  
ადა  
გალი  
სიურ  
ქალა  
ქ  
სანტ  
იაგო  
დე  
კომპ  
ოსტე  
ლაში  
1977  
წელს  
.  
პოეტ  
ი,  
ესპან

ური ფილოლოგიის დოქტორი და აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციალისტი. მრავალი მულტიკულტურული პროექტის ავტორი. 2009 წლიდან მოყოლებული აქტიური წევრი და ხელმძღვანელია პროექტებისა, სადაც ნეჩართული არიან გალისიელი და სხვადასხვა ქვეყნის პოეტები. გამოცემული აქვს ექვსი პოეტური კრებული, მათი ბილინგვური (გალისიურ-ესპანური) ვერსიები ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში, საბავშვო პოეზიის ხუთი წიგნი, ნათარგმნი აქვს რამდენიმე წიგნი. მიღებული აქვს ესპანური კრიტიკის პრიზი (1999), პრიზი „სპირალი“ (2007), პრიზი „კრიტიკული თვალი“ (2009), პრიზი

ნოვაკაიშაგალისიას ფონდისაგან. „2015 წლის ავტორი“  
გალისიურ წიგნის მაღაზიებში, პოეზიის ეროვნული პრიზის  
ფინალისტი და სხვა. წლების განმავლობაში მუშაობდა  
ტელევიზიაში („გალისიური აუდიოვიზუალური აკადემიის“  
2005 წლის საუკეთესო ტელენამყვანის პრიზი). მრავალი  
საერთაშორისო პოეტური ფესტივალის მონაწილე.  
თარგმნილია 25-ზე მეტ ენაზე.

## ტოლსტოის ბაღის ვაშლები

მე,

რომელმაც ნერეტვას ნაპირები მანქანით შემოვიარე,  
რომელმაც კოპენჰაგენის ნამიან ქუჩებში ველოსიპედით  
ვიყიადე.

მე, რომელმაც საკუთარი ხელებით მოვზომე ნატყვიარები  
სარაევოში,

რომელმაც გადავლახე, საჭესთან მჯდომმა, სლოვენის  
საზღვარი

და გადავუფრინე პატარა თვითმფრინავით ბეტანსოს  
მდინარეს.

მე, რომელიც ხომალდს გავყევი ირლანდიის ნაპირებამდე,  
და ომეტეპეტის კუნძულამდე, ნიკარაგუის დიდ ტბაში;

მე, რომელიც არასდროს დავივიწყებ ერთ მაღაზიას  
ბუდაპეშტში,

არც ბამბის მინდვრებს თესაღიის პროვინციაში,

და არც იმ ღამეს სასტუმროში, ნიცაში, 17 წლის რომ ვიყავი.

ჩემი მეხსიერება ტერფებს დაისველებს იურმალას  
სანაპიროზე, ლატვიაში

და სიქსთ ავენიუზე თავს შეიგრძნობს, როგორც სახლში.

მე,

რომელიც შეიძლება მოვმკვდარიყავი ტაქსით

მგზავრობისას ლიმაში,

რომელმაც გადავსერე პაკრუიის მბზინვარე მინდვრების  
სიყვითლე

და გადავჭერი იგივე ქუჩა ატლანტაში რომელიც მარგარეტ  
მიჩელმა.

ჩემი ნაფეხურები ელაფონისის ვარდისფერ ქვიშას

დაემჩნნენ,

გადაკვეთეს ბრუკლინის კუთხე, კარლოსის ხიდი, ლე ვილი.



მე, რომელმაც უდაბნო გადავლახე, რათა მივსულიყავი ეს-  
სუვერიაში,  
რომელიც მთებიდან ბაგირით ჩამოვსრიალდი მომბაჩოში,  
რომელსაც არ დამავინწყდება ქუჩაში გატარებული ღამე  
ამსტერდამის ცის ქვეშ,  
არც ოსტროგის მონასტერი, არც მეტეორას სალი კლდეები.  
მე, რომელიც სახელს გავყვიროდი გენტის მოედანზე,  
რომელმაც ჩავყვინთე ბოსფორის ზღვაში დანაპირებით  
შემოსილმა,  
რომელმაც სამუდამოდ დავკარგე თავი აუშვიცის იმ  
საღამოს შემდეგ.

მე,  
რომელმაც დასავლეთისკენ ვატარე მანქანა პოდგორიცას  
სიახლოვემდე,  
რომელმაც თოვლის სკუტერით მოვიარე ყინულოვანი  
ვატნაიაკული,  
მე, რომელიც არასდროს არ ყოფილა ისეთი მარტო,  
როგორც რუ სან დენიში,  
რომელიც არასდროს იგემებს ისეთ ყურძენს, როგორიც  
კორინტობზეა.

მე, რომელმაც ერთ დღეს  
ტოლსტოის ბაღის ვაშლები დავკრიფე,  
მინდა რომ დავბრუნდე სახლში:

ა კორუნიას  
ჩემს საყვარელ  
თავშესაფარში  
რომელიც შენ ხარ.

## ქალაქი ქვა მაკრატელი

როცა დახუჭული თვალებით იყურებიან,  
რგოლები უბრალო თამაშად გვეჩვენება  
(ლექსების წიგნი უფრო მეტად გადაიშლება  
და იქცევა ბანქოს დასტად).

შუქის ანთება თავხედობა არ არის  
და არც უშუქობაში წერაა სიბეჩავე.

ხელიდან არ უნდა გაგეცეს სამყაროს ღუზა  
და არც იმასთან მოჭიდება, რაც სიტყვებს აკავებს.  
ნუ გეშინია, მას ფეხები წასხიპო,  
რომ უფრო დიდ სიმაღლეს მისწვდე.

აქ ჩვენ  
ენას ვქმნით.

ვწერთ რეალურად,  
რადგან ერთხელ ნანახი ათჯერ გაგონილს სჯობს.

## მეტროფობია

პეიზაჟის მიღმა, ბნელ ლაქად, ღრუბლებიდან იღვრება წვიმა.

ამ რუკაზე ბარდის მიერ მოხაზულ გზებს დაინახავთ.

მკლავს წასვლის ჟინი. ჩემი მანქანა ჯარისკაცია.

არ გესმის მისი აღჭურვილობის და თხელზე თხელი ჯავშნის სტვენა?

სოფლის გზები კვადრატებად ჩამოქსელილ რვეულებს ჰგვანან.

მინდა მთები გადავიარო, მოგზაურივით, მხრებზე ლექსებმოკიდებულმა.

ჩემი მანქანა ვერცხლისფერი ტყვიაა,

დენტის ნაცვლად აქვს რითმა.

მე ვეუბნები: წამო, წავიდეთ!

ერთად მოვივლით

მინდვრებს და ქუჩებს,

მოხელეთა უბნებსა, დენის მშობელ ქარის წისქვილებს.

მინდება, რომ შევებრძოლო მე ამ გიგანტებს.

ჩემს მანქანას და მე ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის.

იბუპროფენის<sup>[13]</sup> თეთრი ყლორტები.

ჩემი მანქანა ჯარისკაცია

და ვეუბნები:

მონფორტედელემოსს<sup>[14]</sup>

ლექსები უნდა ვუკითხოთ-მეთქი!

ის თავის ძრავას გადაიყვანს ჩემს სიხშირეზე.

ხმაურობს

და მირაკუნობს,

თუმცა სტანჯავს

მეტროფობია.

## პოეზია დამცრობილთა ენაა

მე დავინწყებდი მისი სიბლანტით და სიმჟავით, მისი PH<sup>[15]</sup>-ით.

უხილავის ხოცვა-ჟლეტვასა  
და ხილულის საკონცენტრაციო ბანაკს შორის  
იგი ქალური ნაბიჯით დადის.  
დაამუშავე სტილი და დასასრული,  
ეპოსი სტუმართმოყვარე.

პოეზიაში  
ენა თავისი თავის მიმართ  
ყრუ არის.  
სამეგობრო წრის არეს მასში სიტყვები ზრდიან.

საჭიროა ანბანის ნძრევა,  
რომ წამოყვინთონ  
ერთი შეხედვით ურთიერთდაუკავშირებელმა რაღაცეებმა.

მეტყველების სიჩქარის კოლოფი,  
სხვა კანონთა ჟესტები.  
ქარვაში ჩავარდნილი ღიმილი მწერისა.

აქ არაბულის ცოდნაზე არ არის!  
შენ, უბრალოდ,  
არ გესმის  
პოეზია.

## სეფისკვერი (სამყარო არამეგობრულია)

სამყარო უმიმღებო სასტუმროა,  
მჭევრმეტყველების ნიჭი კი საერთო-სახალხო სიკეთე არ  
არის.

ასე არ განაწილებულა პური და თევზი:  
აქეთ ხორცი,  
იქით კი ფხები მხოლოდ და მხოლოდ.

თქვენ კარგავთ თავს და ქუდები განვიმთ.  
მდიდრებს ფული ეყოლებათ, ღარიბებს - შვილი.

მე ერთი პური მეგულება,  
რომელსაც დავაქუცმაცებდი,  
პატარ-პატარად დავტეხავდი, რომ დიდხანს გაეძლო.  
ეგებ, ერთი მცირე ნამცეცი ვინმე მშიერის ხახაში მოხვდეს,  
და ეგება ამოევსო,  
ეგებ, გაეძლო.

ვით ტიტანიკის ზეობის ჟამს მაშველი ნავი.  
როგორც სავარცხლის ტყე იმისათვის, ვინც მელოტია.

რიტორიკული Urbi et Orbi:  
არ არის და არც მოელიან!  
აქ წვერს გრეხენ,  
და შენ კიდევ ყბები არა გაქვს!

ზოგ სასას სამი წამი შეხვდა ბედნიერების.  
ღმერთი კი ამ პურს იმას მისცემს,  
ვისაც ნაკლები კბილი ექნება.

## მოისმინე და გაიმეორე: un paxaro, unha barba

მთელი ცა წელში წელში მოხრილა. წყურვილი მწვავე.

უცხო ენაზე მეტყველება

ჰგავს ნათხოვარი სამოსის ჩაცმას.

ჰელგა უამრავ სიტყვას ურევს ერთმანეთში

(ნეტავ როგორი ადამიანი იქნებოდი უცხო ენაზე?)

შენ მახვედრებ იმას, რომ ზოგჯერ

ეს აპარატი ჩემი,

ეს სიმი ვოკალური,

ასაწყობია.

მეტყველების შუქ-ჩრდილების დერეფანში,

პროსოდია

ჩემს კაბაში

მომეკვებება.

ენასთან ჩემს პრობლემებზე რაღაცას გეტყვი.

არის ისეთი რამეები,

რომ ვერ წარმოვთქვამ.

მაგალითად, ისე, როცა დამჯდარს გიყურებ

და სკამს ვხედავ მხოლოდ და მხოლოდ.

ceci n'est pas une chaise.<sup>[16]</sup>

ნახევარსფეროს აჭიატებს ბნელი კამერა.

ფრთიანი ფრაზა: დიახ, ლექსი ეგზორციზმია!

მანიშნებელთა ცვლა. მცირედი იუმორი

და შეიძლება, გაქცევაც სცადო.

ასეთია ფონეტიკა და ენთალპია.

თუმც მართალი ხარ:

ჩემი ვოკალი დასახვეწია.

(თუ შენს კბილებს არ დავაკვირდი,  
ვერაფერს ვერ ვიგებ, რას ამბობ!)

დაპატარავდა ცა. ხოლო ჰელგა დგას და იღიმის.

და მეც ვსწავლობ განსხვავებას ნვერს და ჩიტს შორის.

გაფრენაზე მეტად, იმის ცოდნაა თურმე საჭირო,  
ხელში როგორ მოიხელთო,  
როგორ გეჭიროს.

ესპანურიდან თარგმნეს  
ირაკლი მენტეშაშვილმა და გიორგი ლობჯანიძემ

## ბარბარა კლიცკა (პოლონეთი)



დაიბ  
ადა  
პლო  
ცკში  
1981  
წელს  
.  
პირვ  
ელი  
პოეტ  
ური  
კრებ  
ული  
2000  
წელს

მშობლიურ ქალაქში გამოსცა. ამჟამად ცხოვრობს ვარშავაში. მუშაობდა რედაქტორად ყოველკვარტლური ებრაული ლიტერატურული გამოცემისთვის „Cwiszn“. ასევე იყო ბენდ „Pochwalone“-ის წევრი და ალბომ „Czarny war“-ში შემავალი სიმღერების თანაავტორი. მისი მეორე პოეტური კრებული „იგივე იგივე“ (2012) პირველის გამოსვლიდან მხოლოდ 12 წლის შემდეგ გამოიცა. კრებულმა 2013 წელს ვროცლავის „სილესიუსის“ პოეზიის პრემიის ნომინაცია დაიმსახურა კატეგორიაში „წლის წიგნი“. პოეტი ვროცლავის „Biuro Literackie“-ის მიწვევით მონაწილეობდა მისი თაობისთვის გარდამტეხი მნიშვნელობის მქონე პროექტში „Odsiecz“ (შვება). 2015 წელს ბარბარამ მორიგი პოეტური კრებული „კარგი“ გამოსცა, რომელმაც მას 2016



წლის „სილესიუსის“ პოეზიის პრემია და ძალიან  
პრესტიჟული „გდინიის ლიტერატურული ჯილდო“ მოუტანა.

## აღდგომა

საგაბაფხულო რეცეპტივით დასაწყისი. ხანგრძლივ მოგზაურობაში მივდიოდი ჩქაროსნული ავტომობილით. ყველგან იყო მოღრუბლული, დავაფასე მანქანის ლუკი. წეროებს გვერდი ავუარეთ, და მე ვუთხარი:

ნახე, წეროები. მან კი მითხრა: შენ ბავშვივით გიხარია. შე სულელო, ვუპასუხე, მე ბავშვივით მიხარია, რადგან მელაპარაკები, როგორც ქალს აპრილში, დამიმეგობრდი, მინდა ამან გამაბრწყინოს. რის შემდეგაც

ადგილობრივი მოწმეები მოვიწვიე, ელექტრონული წერილები, წვეულებები. ყველაფერი ჭარბი დოზებით, რადგან ჩემთვის არაფერი იყო საკმარისი. ეგ არაფერი, რადგან კალენდარული აღდგომა მოდის

და მეც სამყაროს ხაჭოს ნამცხვრით ვუმასპინძლდები.

დაე, ყველამ შემიყვაროს, რადგან თვითონ არ გამოგდის.

## სიუ რაიდერი მოედნიდან

*სიუ რაიდერი – უბედურებას ადრევე გადაეყარა, როცა დედასთან ერთად დადიოდა ჰოსპიტალებში მძიმე ავადმყოფებთან [www.dom-seniora.ovh.org](http://www.dom-seniora.ovh.org)*

სალამი სიუ რაიდერს მოედნიდან, რომელსაც არ დაჰყურებენ ჩემი ფანჯრები. სალამი, რადგან დღეს არ მინდა სახლში დაბრუნება. შენ თოვლში ხარ, მე კი უცხო სამზარეულოში, ჩემო ძვირფასო სიუ რაიდერ, ველურ დასავლეთში.

ბევრიც არ დარჩა შუადღემდე, როცა გხვდები, როცა ვხვდებით, სიუ რაიდერ, სიგარეტს მოვიტან. ფანჯრის რაფას ლაქს ვაცლი ფრჩხილით, მერე პირიქით გავაკეთებ – გიყვარს მანიკური?

მიყვარს, მაგრამ რა საჭიროა, როცა ამდენი სერიოზული საქმე არსებობს, რისი კეთებაც აჯობებდა ფრჩხილის დაფაზე ძონისფერი ფუნჯის ცაცუნს, როცა ფრთხილად უნდა ვიყოთ, შედეგების გვეშინოდეს, როცა ჩვენ გველის, ჩემო ძვირფასო, უჩუმარი ღრუბელი მიწაში.

უნდა გამოიმუშავო მოედანი ავტობუსის გაჩერებასთან, ჩემო ძვირფასო სიუ რაიდერ, და მაშინაც ვერ იქნები დარწმუნებული, რადგან იქვეა სამკუთხედი ტუალეტები, ვიღაც იპოვის შენ საზიზღარ სურათებს გუგლში.

მოგესალმები, სიუ რაიდერ, უბატონო გოგონა-კოვბოი. ჩვენ აღარ ვართ უკვე არსად – დედების უბის წიგნაკებში, ჩვენს საწოლებში, ერთი ღამის ძმებისა და მრავალი ღამის მტრების ნერვებში.

ჩვენ აღარ ვართ უკვე არსად, ამიტომ აღარც მოიხედო,  
ჩემო მწუხარე სიუ რაიდერ.

არსად ხარ, სადაც მოიძებნები.

## ქონება

ეს სალამო შენი იყო, მარტობიჭო. შენი თვალები ვიწროვდება სალამობით. ხელის გამოწვდას რახანია გადამაჩვიეს, და როცა სახლში შემთხვევითი ტაქსით ვბრუნდები, ვფიქრობ კოცნაზე, ვფიქრობ ბაქანზე, სადაც ერთმანეთს დავემშვიდობებით, თუკი მოხდება სასწაული და ჯერ შევხვდებით.

არ ვაჭარბებ – მე ვგრძნობ ღვთის ნებას ასეთ ნათელ ღამეებში. მაგრამ ჩემ სახლში გვალვია და დამჭკნარი გვიმრები, და აქ არავინ არ მაკითხავს. აქ რაღა თვალი დაგიხუჭავს, რაღა გაქონილ თათებს მიაჩერდე, რაღა უმაღლეს სართულს დაეტოლო, რაღა გაქროვანდე. შენ შეგეძლო ჩემში შესვლა, როგორც ჭაობში.

მარტობიჭო, აი, მთელი ჩემი ლიმფა, აქვე, სკვერში, ანწლების უკან;

სუდარაა, წამოხდილი ბაგეებიდან.

## ნდობის ტერიტორია

თავისქალაში სიზმარია შვიდ ლურსმანზე. მე ვყოყმანობ – რადგან არცერთი შესაძლებლობა მზად არაა აზრისათვის. მამაჩემი მეუბნება: დაუფიქრდი, და არ იყვირო. მე მამაჩემს ვეუბნები: იყვირე და არ დაუფიქრდე. ვცხოვრობ ჯალათთან, რომელიც მკვებავს.

ახლა შეხედე – საცეკვაოდ წამოვკრიფე შვიდი ლურსმანი; შვიდი ბიჭი ალბატროსიდან და კიდევ ერთი მკვდარი გოგო. მე ვცხოვრობდი წარბის ზემოთ, ძუძუსთავს ზემოთ, ვცხოვრობდი სიბრძნის მდინარის ზემოთ, ვიდრე ველად გაძევების დრო დამიდგებოდა.

ხოლო ველად ცხენებს კაზმავენ. ჰეი, ველად კაზმავენ ცხენებს. დღეგრძელი იყოს უნაყოფო ქვიშები და მოუსვენრობა! დაე, მარცვლები ოკეანის ფსკერზე დაეცეს, დაე, წყალმცენარეებით დაიფარონ გუბეები, შავი ლემნებით! აქ მიწა მხოლოდ დასაფლავად თუ იყენებენ.

## ხელსაყრელი

ფერის ნაგლეჯი წყდება თვალიდან – ეშაფოტზე,  
ეშაფოტზე. რადგან როდესაც კატა ბრჭყალებით მოძვრება  
საწოლში, როცა ბარტყები დასახრჩობად ცვივიან არხში,  
ხვლიკი ახალი კუდით იღვიძებს, ნათელია, რომ ამაში  
არაფერი არ არის კარგი. აიხვიე თვალები

ჩრდილით, მისი ნაფშვენებით, წადი ქალაქში, სამყაროში –  
მიმოიხედე. ყავა ისმება ბარჟებზე და მდინარეებზე, ხოლო  
მდელოები მოუცავს რიტუალს. ვერ გამოიჭერ საკუთარ  
თავს – ვერაფერი ვერ გამოგრჩება. დააკვირდი –  
ყველაფერი ჩავლილია, რამდენი წვიმა,

წიგნი, საათი, ნებივრობა აბაზანაში, რამდენი ყელში  
ხელის ნაჭერა. ახლა სდიე უცხოელებს შენს ქალაქში,  
თვალი ადევნე ახალგაზრდას ძალიან გრძელი  
წამწამებით, როცა ის ცდილობს ვინმეს ხელი მიაწვდინოს,  
მაგრამ ვერ წვდება – და არაფრით იმსახურებს შენს  
თანაგრძნობას.

ხელსაყრელი ჭა ატარო.

სურვილისამებრ მოიხმარო.

მოიშორო ოცნებისამებრ.

## მართვის მოწმობა

საკვირველია ეს თარიღები და საკვირველია ტყე,  
საკვირველია ჭიანჭველების სარკოფაგები მასში. ამბობ:  
არასდროს არავინ მომკვდარა. ვამბობ: რამდენიც გინდა  
ფანტო კუნელის ფურცლები, არაფერი გამოგივა, ჯობია,  
ჩავსხდეთ მანქანაში

და ტორპედოზე თავები ჩამოვდოთ.



## პირობა

მიმღერე და შემარყიე. ორი სიმი – კორსეტი და კითხვის ნიშანი. ღამე განყოფილებაში, როცა – უნდა ვაღიარო – ერთადერთი ძაფი იყავი, სიფრიფანა კანის ფენა, რომელზედაც ფუფხი ეკიდა.

თითქოს ფეხები წამრთმეოდა: ორი გული, ორი მძაფრი სიხარული, როცა ჩემგან გამოზრდილი მიღების ბოლოს, სინჯარებში, ვმთლიანდებოდი. მორფიუმო – მე ხომ შენით ვერ ვინეტარე.

მე ვგულისხმობ აღიარებას. ვაღიარებ – გამუდმებით ცვლიდა ნიშნებს ის სავარძელი. ვწვებოდი, თუმცა ისეც ვიწექი, და შენც გვერდით მიწვებოდი, როგორც მარხილში. და ამიხსენი:

რალა ბედნიერებაა, თუკი გულისხმობს

ზურგში დანას და დამშრალ მდინარეს?

## ამოვსება

ჩვენ წაგვიღებს დროებს შორის.

სიზმარში ტყავი და ბანკეტი – ზურგში სიმი ხმას არ ძრავდა, ასფალტი ჯერ არ გამშრალიყო, ნამცხვარი თითებს ეწებებოდა, ხოლო ნიკაპს – შაქარყინული. მოშიშვლებული გქონდა მკერდი და მიღებაზე ენა გებმოდა.

შენ ცეკვავდი, შუადღეებს ოჯახს უთმობდი. ეს მიძღვნაა და არა ცეკვა – ვინც ეს არ იცის, კვდება ან წვალობს. ვერხვის ისრები თქვენს გულებში, ონკანის ქვეშ თქვენი თავები, ნიკაპები მუხლისთავებზე. რა მოხდებოდა

თუ შეძლებდი მეტის დანახვას, უფრო მკაფიო თუ იქნებოდა? ხოლო შემდეგ – შეტოპვა და პარკში შესვლა, მოღრუბლული შუადღეები, სხვის თარგებზე მშვიდობის ქარგვა, მაგალითები და ფილტვების ამოვსება სიცარიელით. სწორედ ამიტომ

უფრო მჭირდოდ ამოავსე დროებს შორის საძრომები, რომ არ წაგიღოს.

და თუ წაგიღო, ჩაიძირე.

***პოლონურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა***

***პნკარედი ამბროსი გრიშიკაშვილის და რაჟდენ ჩიხორიასი***

## სემიონ ხანინი (ლატვია)



ნამდ  
ვილი  
სახე  
ლი  
და  
გვარ  
ი:  
ალექ  
სანდ  
რ  
ბაპო  
ლი.  
დაიბ  
ადა  
1970  
წელს

რუსულენოვანი პოეტი, გამოცემული აქვს წიგნები “ახლახან“ (2003), “ცურვით“ (2013) და “მაგრამ არა მათ“ (2017), თარგმნის ლატვიურ და ამერიკულ პოეზიას რუსულ ენაზე, არის რუსი და ლატვიელი პოეტების არაერთი კრებულის რედაქტორი. შედგენილი აქვს ლატვიურ-რუსული პოეზიის ანთოლოგია (2011). ხანინის წიგნები თარგმნილია ლატვიურ, ჩეხურ, უკრაინულ, სერბიულ და იტალიურ ენებზე. არის მულტიმედიური პოეზიის პროექტის, “ორბიტას“ ერთ-ერთი მთავარი წევრი. პოეტებისა და მხატვრების ეს შემოქმედებითი ჯგუფი საკუთარი ნამუშევრებით ქმნის დიალოგს სხვადასხვა

კულტურებსა და ჟანრებს შორის (ლიტერატურის, მუსიკის, ვიდეოსა და ფოტოგრაფიის ჩათვლით).

**\* \* \* (მე მივქროდი ველოსიპედით...)**

მე მივქროდი ველოსიპედით, რომელიც მერე მომპარეს,  
მეგობარ გოგონასთან ერთად, რომელსაც ერთ წელიწადში  
დავშორდი

ქუჩაზე, რომელიც მთლიანად გადააკეთეს  
კაფესაკენ – ის შემდეგ უბრალოდ დახურეს  
ჩვენ ვლაქლაქებდით უდარდელად, ხან ენის, ხან კი  
ფეხების მეშვეობით

ამ კაფეს ადგილას ეხლა პიცერიაა გახსნილი  
ხანდახან შევივლი ხოლმე

შევუკვეთავ პიცას ოთხნაირი ყველით  
მოაქვთ და ნაჭრებად გაყოფილი პიცის ხაზები  
მაგონებენ ველოსიპედის ბორბლის სპიცების სხივებს  
აი, ასე, სპიცები – პიცები

მაგრამ ახლა, როდესაც ველოსიპედით მივქრივარ  
ჩემს საყვარელ მეგობარ გოგონასთან ერთად  
ყველასთვის კარგად ნაცნობი ქუჩით  
ჩვენი საყვარელი კაფესაკენ

რას ვიფიქრებდი, რომ პედლებზე ფეხის ყოველი  
დანოლით

მეც ვუბიძგებდი ამ სამყაროს ენტროპიისა და ქაოსისაკენ  
თუმცა პიცა თავისთავად არცთუ ურიგო აღმოჩნდა

### \* \* \* (პალმის პლასტმასის...)

პალმის პლასტმასის  
ძეგლი სრული სიმაღლის  
და კაქტუსის ბიუსტი

დახლს უკან  
ბარმენის ქანდაკება შეიკერით ხელში

პოსტამენტზე ტაბურეტის ჩონჩხი

დანესებულებამ სულ ახლახანს  
ამოყვინთა ფსკერიდან

რა თქმა უნდა არც პომპეი  
არც სანატორიუმი და არც ბაია<sup>[17]</sup>  
არც სასახლე თუნდაც კულტურის “ვეფ“-ის<sup>[18]</sup>

მაგრამ მაინც ნაშთი  
ოფიციალტი ქალების საიდუმლო ცივილიზაციის

აქედან მოდიან თოჯინა-საფრთხოებლები და  
მუმიები გახვრეტილი ჭიპებით

ხუთი თუ ექვსი გალურჯებული არქეოლოგი  
ანარმოებს გათხრებს

ხელში ჭიქებისა და სირჩების ნამტვრევები უჭირავთ  
ზღვის ნალექით სავსე

მიაქციეთ ყურადღება  
შესანიშნავად შენახული  
საფერფლე ძველი კულტის ნაკვალევით

წერილობითი წყაროები  
პაპირუსზე ჩამოწერილი ანგარიში და მენიუ

ოფიციალური ხელისუფლება  
მუნიციპალიტეტი  
განიხილავს წინადადებას  
მთელი კომპლექსი დაკონსერვდეს  
როგორც ყავისა და ალკოჰოლის  
მსხვერპლთა მემორიალი  
როგორც ინექციისადმი მიძღვნილი მონუმენტი  
როგორც სტელა ნარკოტიკული უკმარისობის

### **\* \* \* (გაიჭედა კარებს შორის...)**

გაიჭედა კარებს შორის,  
დარჩება იქვე რამდენიმე დღეს.  
რა ხდება, ნუთუ დასჯილია?  
ვერავინ შეძლო გავლა,  
და უკვე მასაც აღარ შეუძლია,  
ორ კედელს შორის, კარებს შუა.  
ორ ტრამვაის შორის გარბოდა,  
ერთს მიუსწრო, მეორეში მოთავსდა –  
ეხლა ყველა მიმართულებით ივლიან ახალი  
მატარებლები.  
კონდუქტორები გაიქცნენ სასაფლაოდან, ციხიდან,  
სხედან ლიფტებში, ფორმით, ქუდებით,  
კომბოსტოს ღვეზელის ფორმებით.



**\* \* \* (მთელი ღამე მეძებდნენ. სადარბაზოებში...)**

მთელი ღამე მეძებდნენ. სადარბაზოებში  
ქუჩებში გაჰყვიროდნენ ჩემს სახელს  
პოლიციას ურეკავდნენ და საავადმყოფოსაც  
მე კი შეიძლება სადმე უგონოდ ვეგდე  
რომელიმე საროსკიპოში ან ბარში...  
ყველაფერი ფუჭი გამოდგა. მაგრამ თუ ძებნაში  
გატარებული  
უძილო ღამეების შემდეგ ამ დახუთულ საძინებელსაც  
მოაგნეს  
მაშინ მართლა დავიღუპე

**\* \* \* (მთვარეულივით სახურავებზე დნება თოვლი...)**

მთვარეულივით სახურავებზე დნება თოვლი  
ჩამოცურდება, როგორც ქალების ბავშვური ხმა  
მოსწყდება ადგილს და მთვრალი ბაგირზე მოსიარულის  
არეული ბამბის ფეხებით, გახსნილი თასმასავით რომ  
გაბლანდვია ფეხებში თოკი, წაიბორძიკებს აიქნევს  
დამჭკნარი  
ვარდების ხელებს ზემოთ და ბეწვის ქუდივით დაუვარდება  
თავისი თავი დამძიმებული, ცარიელი, ყინულად ქცეული

**\* \* \* (და გეშინია, და ელოდები, როდის დადგება...)**

და გეშინია, და ელოდები, როდის დადგება  
ის დღე, როდესაც საბოლოოდ გაიგებ,  
რომ დედამინა ეყრდნობა არა სპილოებსა და ვეშაპებს,  
არამედ პატარა მოუსვენარ ბაბუნებს

შენ გაიგებ, რომ ბაბილონი  
მდებარეობს ვერმანის პარკში  
სადაც ქალწულები მუყაოს შემალლებებზე განოლილან  
მდიდრული პარიკებით გამოსახავენ ლომებს

და გახსნილი უფსკრულები მიიხურავენ კარს  
და პირველივე ტროლეიბუსთან ჩამოეშვება შტანგები  
ხელის ჩაუჭიდებლად, უკანა მიმართულებით წავლენ  
დიასახლისნი მატვეევის ბაზრიდან

და გამოეფინებიან რებერვისტები საბავშვო მოედნებზე  
მოფამფალებული ფეხებით რებინის რბილ ზედაპირზე  
რათა საბოლოოდ გამოარჩიონ წითელი საქანელა  
მწვანე ბორცვისგან, ყვითელი ცხენისგან

და აღივსება ლარნაკები ოპერის ფასადზე  
ჯერ კიდევ თბილი სამხრეთის ხილით  
და თახვები განჭვრეტენ თავიანთ კუდებში  
მარის ლიეპას ატმასნილ ფეხს

და დაუგავას წყალი გახდება ფირუზისფერი  
რათა დამოძღვროს თავისი მრავალი შენაკადი  
და საფრანგეთის საელჩოზე მობრუნდებიან თავები  
რომ დაინახონ, როგორ გამოდის შავი ბოლი ოპერის  
მილიდან

და ალპინისტი ეკლების გავლით მიაღწევს ტროსების  
მწვერვალს

და უკანასკნელი ტაქსი ჩომსკის ბარს დატოვებს  
და ბერნარი მაშინ პალტოს ჩაიცვამს და დაიხურავს ქუდს  
და ლაჩპლეშას ქუჩა გახდება სწორი და გლუვი

და მეუდაბნოე დაიკარგება ბერგას ბაზარში  
ფილაქნებზე ბორბლებიანი ჩემოდნის რახუნით  
და ჩასცხებენ ჩირაღდნებს ამ ტეტიებს  
გოგონები სპლენდიდ-პალასის შესასვლელთან


და თავმოყრილი არენდატორები ბევრ ზედმეტ რამეს  
უჩურჩულებენ ყურში მოტყუებულ მეანაბრებს  
თუ როგორ მოსჩქეფს ბნელი არხებიდან შადრევნები  
თუ როგორ ბრუნდებიან თბილი ქვეყნებიდან გარუჯულები

და სიმპატიზანტები წარიშლიან სახიდან ღიმილს  
მიიჩნევენ რა ვაგზლად რიგით სუპერმარკეტს  
და გადაივლის მატარებლით გაყინულ მდინარეს  
და მეორე ნომრით გადაივლის ისევ

და აღმოვლენ ვარსკვლავები თავისუფლების ხელთაგან  
და საქანელიდან ჩამოიღვრება წვიმა სოკოთა  
მე და შენ დავწვებით გაზონზე გინკგოს ქვეშ  
და შევეცდებით ვინვეთ სრულიად გაუნძრევლად

***რუსულიდან თარგმნა დავით ჩიხლაძემ***

## მურად კოხნეკალა (აზერბაიჯანი)



ნამდ  
ვილი  
სახე  
ლი  
და  
გვარ  
ი:  
მურა  
დ  
მაჰმუ  
დოვი  
.  
დაიბ  
ადა  
1959  
წელს  
. 1990  
წელს  
დაამ  
თავრ  
ა  
მაქსი

მ გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტი. არის ავტორი პროზაული და პოეტური კრებულებისა: „ვაშლის ამბავი“ (2002), „ღრუბლების შემკეთებელი“ (2004), „მაიმუნის ტომი“ (2014), „ჩემი ოცნებები“ (2015). მისი დაფუძნებულია პირველი ავანგარდული ლიტერატურული ორგანიზაცია აზერბაიჯანში „აზერბაიჯანელი მწერლების ღუმელი“. მისი ტექსტები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ქართულ,

უზბეკურ, თურქულ, შვედურ და გერმანულ ენებზე. 1990 წლიდან წერს პუბლიცისტურ სტატიებს აზერბაიჯანული პრესისთვის. ცხოვრობს ბაქოში.

## ფილმი

ჩემი ცხოვრებისეული ფილმი...  
თვითონ ვთამაშობ, დიახაც, მთავარ როლში ვარ!  
უდუბლიოროდ, უკასკადიოროდ.

მე თავად ვასრულებ  
ყველაზე სახიფათო ტრიუკებსაც.

უგრძობად მითამაშია მუდამ  
ჰაეროვანი უღვაში შემინარჩუნებია  
მხოლოდ და მხოლოდ

ნგრევა-ხოცვის სცენები!  
წყევლა-ლოცვის სცენები!  
შეყრა-კოცნის სცენები!  
ღალატ-სიკვდილის სცენები!  
მწველი სირცხვილის სცენები!

ბილეთები შეიძინეთ ჩემს სალაროებში

## რვა წლის შემდეგ

რვა წლის შემდეგ

პატიმრობიდან დაბრუნებული

კაცი...

სანამ ჭიშკარს გადააღაჭებდა

თუთის ხემ ეზოდანვე

იცნო იგი.

ფიცრულა კარზე

ჟანგმოდებულმა სახელურმა

იცნო იგი.

სარეცხის გასაფენმა მავთულმა

იცნო იგი –

ბავშვის ტანსაცმელს ტანი მოეყარა მავთულზე...

წყალი წვეთავდა ტანისამოსიდან

და იმ კაცის ხეშეში

ღანვებიდან.

მომუშტული ხელი პირთან მიიტანა –

შიგ ჩაახველა,

კვამლი ამოუშვა.



## შეთავაზება

კარგი,  
მე თანახმა ვარ, მოდი, შევრიგდეთ!  
მე დავაშავე,  
მძიმის მოსახვევში სიგარეტი მომიწევია.  
წერტილი გილბაში არ მომითავსებია და  
არაკაცივით არ გამისროლია.  
კითხვის ნიშანი ნამგალივით არ მომიღერებია.  
ძახილის ნიშანი სახრესავით არ მომიმართავს.  
მიბავშვია,  
ახლა სიცოცხლის შუაგზაზე ვარ,  
ჩემი ბრალის ვაღიარებ.  
თქვენ მართალს უბნობთ,  
მაშ, ნულარ მომკლავთ, მოდით, შევრიგდეთ!  
ერთი პირობით:  
სისხლის საფასური მე ჩამაბარეთ!  
გამოაკელით გაზის ფული, შუქის ფული,  
გამოქვითეთ გადასახადები  
და ყოველგვარი სახადები.  
რაც კი დარჩება, მე ჩამითვალეთ,  
სამყოფია  
დროზე დასაოჯახებლად, ბეჭდის საყიდლად,  
სახლის ასაშენებლად.  
საკმარისია ბავშვების გასაზრდელად.  
მაშინ სამშობლოს ჯოჯოხეთს აღარ დავუძახებ...  
ის კი არადა,  
სიგარეტზეც სამყოფია და არაყზეც.  
ჩემი სისხლის საფასური მე ჩამითვალეთ,  
და როდის მოვკვდები, ეგ კი მე ვიცი...

## მეტრო

ესკალატორით რომ ჩადიხართ  
დადექით მარჯვენა მხარეს  
პატარა ბავშვებს ხელი ჩასჭიდეთ  
იცით კი საით მიდიხართ?  
გახსოვთ კი რისთვის მიდიხართ?  
გაგონდებათ კია, რომ არსად მუშაობთ  
ესკალატორით ჩასვლისას?!

ლამპიონებს ნუ შეეხებით  
გაზეთის ფული გიდევთ ჯიბეში  
ესკალატორით ჩასვლისას?

პარტიები არ დაუშვებენ  
რომ ხალხი გაერთიანდეს ესკალატორზე ჩასვლისას...

თქვენ ცხვირწინ შაბათობის გამართვას მორჩით  
გოგონებს თვალს ნუ ჩაუკრავთ ბლენძვით და მორჭმით  
მერე რა, რომ აქ რითმა დაისვა...

ესკალატორით ასვლისას სადგურ  
„სანაპიროზე“ გამოდით შეძლებისდაგვარად.  
გულში მიტინგი არც კი გაივლოთ  
პოლიციელები შეიტყობენ.

ესკალატორზე დადექით მარჯვნივ.  
სალამოს ზეთი და კარტოფილი უნდა იყიდოთ  
უფულობის ხელებით  
ესკალატორით ასვლისას.  
ეგება, ერთი კილო ხორციც,  
უფულობის თანამონაწილეობით,  
ესკალატორზე ასვლისას...

და ბოლოს, ნუ იფიქრებთ მძიმე თემებზე  
არც ისე მდგრადია ესკალატორის რეზინის სარტყელი.

აზერბაიჯანულიდან თარგმნა ოქტაი ქაზუმოვა

*ზვიად რატიანი*

***ლექსები წიგნისთვის „კოცონი მდინარესთან“***

## 2. პოეზია

# ზვიად რატიანი

ლექსები წიგნისთვის „კოცონი მდინარესთან“

## ძველი სიმღერა მთავარზე

ჩიტი მარტოა და ჭიკჭიკებს, როგორც ბავშვობა.  
ვდგავართ და ვუსმენთ ყურადღებით.  
ორივემ ვიცით, რომ ამაღამ უნდა დავშორდეთ.  
მაგრამ ჯერ მხოლოდ შუადღეა.

ჯერ შუადღეა. ხიდზე ვდგავართ. მშვიდად მიმოდის  
ზურგსუკან ხალხი. ვერც გვამჩნევენ. ორიოდ მეტრში  
მიმჭდარა ქალი მოხატული ვიოლინოთი  
და უკრავს გერშვინს.

შენ თქვი, რომ გერშვინს. ჩიტიც მღერის შორი ნაძვიდან.  
ჩვენ ჩავუყევით შავ მდინარეს, ყვითელ კატარლებს.  
ყველაზე მშვიდ ხეს შევეფარეთ, რადგან განვიმდა.  
არც ჰგავს გადამლებს.

არ ჰგავდა, მაგრამ გადაიღო. ხე კი მშვიდია  
და დაღარული. ხე მშვიდია. და დაღარული.  
ორივემ ვიცით, ღამლამობით როგორც მიდიან.  
მაგრამ ჯერ მხოლოდ საღამოა.

ჯერ საღამოა. ჯერ თუ უკვე. უკვე ღამეა  
და თუ ერთმანეთს ველარ ვშველით, ჩვენს თავს  
ვუშველოთ.  
აი, ვაგონი ამოძრავდა. უკვე სხვა მე ვარ –  
სულ სხვა, უშენო.

## მისალოცი ბარათი

ნუ გეშინია, აღარ ვსვამ კითხვებს.

არც მაშინ, როცა შედიხარ ყინულში  
და მის მთუთქავ ზედაპირზე მენებება ხელისგული,  
არ ვკითხულობ, თუ როგორი ვჩანვარ შიგნიდან:  
ისევ უცხო თუ საძულველიც?  
თუ ჯერ კიდევ მხოლოდ საბრალო?

და არც მაშინ, როცა თითქმის ძველებურად გითბება  
მკერდი  
და ყინულის კრისტალები გილღვება თვალებში,  
არ ვკითხულობ, რა დაგემართა:  
გაგახსენდა, რომ გიყვარვარ  
თუ დაგავიწყდა, რომ უკვე აღარ.

ნულარაფრის გეშინია.  
მთავარია, აღარ ვსვამ კითხვებს.

## სიკვდილის ბილეთი

1

მის ანგელოზურ თვალში  
დაბზრიალდა სინათლის წვეთი  
და მასთან ერთად – ჩემი სახეც,  
თვალში არეკლილი.

განაჩენის მომლოდინე ჩემი სახე.

2

და ბრუნვა ასწრაფდა, ასწრაფდა, ასწრაფდა –  
მწვანე მორევში გაითქვიფა ჩემი სახეც, სინათლის წვეთიც  
და თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავდა.

და თითქოს მთელი გავლილი ცხოვრებაც,  
დაბადებიდან ამ წუთამდე და პირიქით,  
თავბრუდამხვევი სისწრაფით ბრუნავდა.

3

და როცა შენელდა, შენელდა, შენელდა,  
როცა ისევ დაკონტურდა ჩემი სახე,  
დანერტილდა სინათლის წვეთი,

ვიდრე ბრუნვა შეწყდებოდა  
(ვიდრე დახრიდა ანგელოზურ ქუთუთოებს),  
ვხედავდი, როგორ ჩერდებოდა ანარეკლი –  
ამჯერად უკვე თავდაყირა დაკიდებული.

4

და თითქოს მთელი დარჩენილი ცხოვრება გავიდა,  
ვიდრე ანგელოზური ბაგე



გამოსცრიდა ფარატინა სიტყვას –  
განაჩენს:

5

სასჯელის ზომა – უმაღლესი.  
აღსრულების წესი – გემოვნებით.  
თარიღის ველი – ცარიელი.

რამხელა ნდობაა!

## LOVE WARS

1

“ომი

ესეც ომია. ომი. ომი. როგორ უნდა შეიწოვო ამხელა იმედი,  
როცა იცი და გეშინია, რომ ვერასდროს მოინელებ,  
რათა წარსულის უნიტაბში ჩაანთხიო გამთხლევებული  
და შემდეგ გაანიავო ანმყო.

ომია ესეც. როგორ უნდა შეიწოვო ამოდენა სიყვარული,  
როცა იცი და გეშინია, რამაც უნდა დაიკავოს მისი ადგილი.  
ნეტა მხოლოდ სიძულვილმა.  
ნეტა მხოლოდ შურისძიებამ.

ომია. ომი. როგორ უნდა გაიწვიო უკან ლაშქარი,  
რომლის რჩეული მებრძოლები შეაკალი მოგონილი  
ქალაქის ალყას  
და ბოლოს, როცა შეარღვიეს მისი კარიბჭე,  
არავინ დახვდათ სულიერი  
და არაფერი გასაძარცვი.

ამ მშვიდობის გეშინოდეს.  
ბრუნდებიან დაქსაქსული შენაერთები  
ერთ დროს მძლავრი, ერთ დროს მწყობრი ლეგიონების:  
შურისძიებით გაბერილი გულები – აბჯრებში.  
მუზარადებში – სიძულვილით სავსე თვალები.

2

...და მშვიდობა”

აქ ხე იდგა  
და სტვენდა ჩიტი.

ხე ჩაინაცრა.

იმედია, ჩიტი გაფრინდა.

ახლა კვამლია. ნანგრევები.

იმედია, ვერავინ გამჩნევს.

თითქოს ყელში გაგეჩხირა ორივე თვალი,  
ხუთივე გრძნობა, ერთივე წარსული.

თითქოს გულმა მოუშვა წვერი.

ბულდოზერი [ბრჭყალებში]

ცოდოა ჩიტი, რომელიც მიყვარს.

ჩემი გული – მისი სახლია,

ჩემი მკერდი – სახლისწინა პატარა ეზო

ხმელი ხეებით და გალავნით. წლები გავიდა

და ვერაფრით ავამღერე. ცოდოა ჩიტი –

კედლიდან კედელს ეხეთქება,

ვერც გაფრინდა, ვერც აჭიკჭიკდა.

და მოვიყვანე ბულდოზერი, ხარჯი გავწიე.

მან მოანგრია გალავანი, მოთხარა ეზო

და ჩამოლენა უფანჯრებო სახლის კედლები –

ჩიტი გაფრინდა.

მე ახლა ვწევარ

ჩემივე გულის ნანგრევებში

და მონუსხული ვუსმენ ჭიკჭიკს –

მით უფრო მკაფიოს,

რაც უფრო შორიდან.

**ბელა ჩეკურიშვილი**

## აკვარელის პეიზაჟი

აკვარელის პატარა პეიზაჟი,  
ვენახებით კახეთის ველზე,  
გერმანელმა მხატვარმა რომ დაგვიტოვა,  
მე კი ზაფხულის ფოტოებთან ერთად კედელზე ჩამოვკიდე,  
საწერი მაგიდის საპირისპირო კედელზე,  
იმ დღეს, შენთან რომ დავრჩი,  
რაკი ვამბობდით,  
ასე უკეთ გამოჩნდება, მერე, კომპიუტერის კამერაში,  
სახლიდან რომ დაგირეკავ,  
თან ვფიქრობდი,  
იქნებ ეს პეიზაჟი სულაც პატარა საფეხური გახდეს,  
ჩემი რეალობიდან შენთან გადმოსვლაში რომ  
დამეხმარება,  
შორს წასულს, ბევრი დღის შემდეგ,  
როცა მოგონებები გაფერმკრთალებას იწყებენ  
და გვჭირდება, რომ სადმე შევდგეთ  
დროში უკან გადასახედად,  
როგორც კარის წინ დებენ ხოლმე ქვას ანდა ფიცარს,  
ზარის ღილაკს რომ უკეთ მისწვდნენ  
ანდა, სულაც ზედ რომ ჩამოსხდნენ,  
გაბნეულ ნივთებს შორის მიკარგული გასაღების  
მოსაძებნად,  
სანამ ჩანთას მოიჩხრიკავდნენ.  
სწორედ ის აკვარელის პეიზაჟი  
გამახსენდა ახლა,  
იტალიის ამ პატარა სოფელში,  
როცა ქმარს დაცვარული ყურძენი შემოვუტანე  
და მან ხალისიანად გაიქნია ხელი აივნისკენ:

ნახე, როგორ ჰგავს აქაურობა თქვენს ვენახებს კახეთის  
ველზე.

## უსიტყვო ფოტოები

ის ყოველდღიური ამბები და წვრილმანი სიხარულები,  
შენთან რომ ვგზავნი,  
რასაც საფოსტო თეთრი მტრედი  
ან მარკიანი კონვერტი კი არა,  
მხოლოდ კლავიშზე თითის შეხება  
და რამდენიმე წამი სჭირდება,  
რომ გიამბო, რა შემემთხვა, ან რას განვიცდი  
ახლა, ამ შორეული ქალაქის კაფედან  
და თან რძიანი ყავის განწყობაც რომ გადმოვაცოლო,  
უსიტყვო ფოტოებად ვკიდებ  
ჩემი და შენი ვირტუალური სამყაროს ფანჯრებში,  
ყველა სიტყვას რომ ყლაპავენ და აქვავებენ.  
და ეს ძლივს ამოთქმული ემოცია,  
გამოგზავნის მერეც ყელზე რომ მადგას,  
თითქოს არის და კიდევ არ არის,  
სწორედ ისე,  
ზაფხულის დღეს, სათამაშოდ ებოში გასულს,  
უცებ წვიმა რომ დამატყდებოდა  
და ბებიები მარწმუნებდნენ, მზე პირს იბანსო.

## უცხო

შენი აივნიდან დაინახავ,  
როგორ აგდებს  
ყვავი კაკალს  
ხის კენწეროდან,  
ის ჯერ ისევ ნედლია, მკვრივი  
ღობესთან ეცემა, მაგრამ არ ტყდება,  
და ახლა უკვე გზაზე მიაგორებს,  
დროდადრო ურტყამს,  
ხტუნვით მიაგორებს,  
დაინახავ შენი აივნიდან,  
თუკი ოთახიდან გარეთ გამოხვალ,  
ყვავის ბახალა დაეშვა ხიდან და ჭიშკარზე ზის,  
ზის და ყოყმანობს,  
გზა დამითმოს  
და მოხტუნავე კაკალს გაჰყვეს თუ  
ჯერ დაელოდოს შენს გამოჩენას:  
მაინც უცხო ვარ.



## შეთანხმება

*მიერულა სულსა ჩემსა მოწყინებითა;  
დამამტკიცე მე სიტყვითა შენითა. (ფსალმუნი 118, 28.)*

ჩვენ შორის ყველაფერი წარმოსახულია,  
გამოგონილი, შეთხზული,  
ეს ჩვენი შეთანხმებაა,  
შენ შემომთავაზე და მე დაგთანხმდი,  
როგორც ამინდი მთავაზობს მზეს  
ანდა ქარიშხალს,  
მე კი მხოლოდ კაბას ვუხამებ.  
დაგთანხმდი, რადგან დამარწმუნე,  
ასე უფრო იოლია ჩემამდე მოსვლა, უფრო სწრაფი,  
მოხერხებული,  
რადგან ერთმანეთს გვაშორებს სივრცე, დრო და მანძილი.  
ჰო, შენ თქვი ასე: რომ ეს სივრცეა, დრო და მანძილი,  
მე არც ერთი გამომიცდია, არ მიგრძვნია,  
და მხოლოდ ის შემიძლია, რომ დაგიჯერო,  
სხვა გზა არ მაქვს, უნდა გერწმუნო,  
რომ სადღაც, დროს და სივრცის მიღმა დარჩენილს,  
მხოლოდ სიტყვაა, რაც შენამდე მომალწევინებს,  
შენს ამბავს მეტყვის, რას აკეთებ, რა გიხარია,  
აღერგია ხომ არ განუხებს, ან შვებულებას როგორ ატარებ.

ვფიქრობდი, აი, ეს სიტყვები ფრინველებია,  
მოფრინავენ და ბრუნდებიან – ჩემთან და შენთან,  
ფრინველებს კი, ზოგჯერ ფრთებით მცენარეთა თესლიც  
გადააქვთ,  
ზოგჯერ მწერებსაც დაატარებენ  
იქნებ გადმოჰყვით შენი სამყაროს რაღაც მცირედი  
ნაწილი მაინც,

იქნებ გაირღვეს სივრცისა და დროის კარიბჭე,  
იქნებ სიტყვამ ონტონაციაც გადმოიყოლოს.

ჩვენ შორის მხოლოდ სიტყვებია,  
უხმო, უფორმო, უსახო და უკომენტარო  
მე ვლაპარაკობ, შენ კი მისმენ,  
აქამდე მხოლოდ ასე იყო, აქამდე მხოლოდ მე გიყვებოდი,  
ფერებს ვატანდი, სურნელს, ეჭვებსაც, ერთხელ ჟანგის  
გემოც გადმომყვა,  
მაგრამ ცალმხრივი დინებით ხომ წყლებიც შრებიან,  
იქნებ რაღაც მაინც მანიშნო,  
თორემ დადნა სული ჩემი ნალვლიანობით,  
ნალვლის სიმწარე შეეპარა და გაიცრიცა,  
ჩიტის კი არა, ლამის წვეთის ძალაც დაკარგოს,  
მომწერე რამე,  
რამდენიმე უბრალო სიტყვა მომაშველე,  
რომ შევძლო და ისევ ვიდინო,  
თუნდაც ხმად დავრჩე,  
მაგრამ დავრჩე და ისევე გელაპარაკო.

## პერფორმანსი

ისინი, ჩემი წინაპრები,  
როცა უჭირდათ, ან უმძიმდათ,  
საქმეში, ფიქრში,  
სალოცავებს სთხოვდნენ შეწევნას,  
მაგიერში კი, დახმარების სანაცვლოდ და სადიდებელად  
ცხოველის თბილ სისხლს ჰპირდებოდნენ,  
სჯეროდათ,  
მხოლოდ სამსხვერპლო სულებს რომ შეეძლოთ,  
ღმერთებამდე აეტანათ მათი ამბავი.  
შუამავლად ეს სისხლი იდგა –  
გამოჭრილი ყელიდან დაძრული,  
წითელი სისხლი,  
ჯადოსნურად რომ ღებავდა ხატის წინ მიწას  
და მახვეწარ-მადიდებელს მათრობელა სურნელში ხვევდა.

„ოღონდ მიშველე,  
ცხვარს მოგიყვან,  
ცოცხლად შეგწირავ,  
ფეხით ამოვალ ხატობაზე,  
ოღონდ მიშველე” –  
ვიმეორებდი მთელი ზაფხული,  
და მჯეროდა, შორს წასულიც ხმას მივანვდენდი,  
უცხო მიწაზეც ცეცხლის ბურთად გაიელვებდა  
და აზვირთებულ შიშის ტალღას,  
დახრჩობით რომ მემუქრებოდა,  
სადღაც, უკან გადატყორცნიდა.

„ცხვარს მოგიყვან,  
ცოცხლად შეგწირავ,  
ფეხით ამოვალ ხატობაზე,

რომ არ დამტოვე,  
ოქროს ღილად რომ გეგულები” –  
ვიმეორებდი სამშობლოში დაბრუნებული  
და სიხარულით ვუყვებოდი ნაცნობ-მეგობრებს,  
როგორ მიშველა მამა-პაპათა სალოცავმა იქ, შორეულ,  
უცხო მხარეში,  
დამიფარა, გადამარჩინა.

„ეს როგორ, ცხვარი უნდა დავკლათ? –  
შეიცხადეს ჩემი ოჯახის მამაკაცებმა,  
არ გეცოდება?  
ვიყიდოთ და მინდვრად გაუშვი“;  
„აჩუქე ვინმეს, რამდენია გაჭირვებული“;  
„მოდით, სანთელი დაანთეთ და ამით გაჩერდით,  
წავიდა ის დრო“;  
„ჩვენ მაგ საქმეში ნუ გაგვრევ და, რაც გინდა, ქენი!“ –  
გაისმოდა სახლში თუ გარეთ,  
როცა ვამბობდი, ხატი მიწყენს, დაპირებულს თუ არ  
შევწირავ.

„ჰოდა, შემწირე – იხუმრა ჩემმა გერმანელმა  
თანამეწყვილემ, –  
ჩავატაროთ პერფორმანსი საღებავეებით,  
ეგ რიტუალიც ხომ ძველისძველი პერფორმანსია,  
ადამიანთა ფანტაზიის და წარმოსახვის“.  
ისე დავტოვეთ საქართველო,  
ხატში ერთხელაც არ ავსულვართ არც ცხვრით, არც  
სანთლით,  
პერფორმანსს კი ამ ლექსით ვიწყებ,  
ესეც ხომ ძველი რიტუალია,  
მარცვალ-მარცვალ რომ იკინძება  
და სიტყვებით ითამაშება.

**გიორგი ლომსაძე**

## გამოსვლათა

ტელევიზორთან გძინავს  
და არხები ძილში იწყებს შიშინს,  
სიზმრებში იწყება ფორმების ცვლა,  
სადღაც აცხადებენ, –  
მზად იყავით გადატვირთვისთვის,  
სულ ნუ მოდუნდებით,  
დაიტოვეთ ოდნავი შიში.  
დარჩით კავშირზე,  
იყოლიეთ ოჯახები,  
დაამატეთ თქვენ-თქვენს სქემებს  
კონტაქტის სითხე,  
ავატარების გაცვლა არავინ სცადოს! –  
მაგრამ სიზმრებში ავატარები არ არსებობს  
და ყველაფერი არის ზედმეტად ახლოს.

**\* \* \* (შენ ემზადები სამუდამო გაღვიძებისთვის...)**

შენ ემზადები სამუდამო გაღვიძებისთვის,  
დახუჭე თვალი, ნუ გამოგვხედავ,  
აქ აღარაფერია სილამაზისთვის,  
დიდი ხანია უკვე აღარ თოვს  
და ჩვენს დანგრეულ ეზოს  
აღარაფერი დაუფარავს თავის სისაწყლეს.  
არ გამოგვხედო,  
ჩვენც მალე მოვემზადებით  
თვალების დახუჭვისთვის ნუთებს შორის,  
როცა ქარი ასფალტზე მტვერს  
გაუგებრად მოაქარაგმებს  
და შეციებული ქუჩის ძაღლები  
ზამთრის ღამეს ერთმანეთს დაუყეფავენ.

## დისტანცია

მონვევის წერილები მონიშნე წაუკითხავად,  
ჩაყარე ნაგავში, დაივიწყე სალამოს შეხვედრები.  
მთავარ ქუჩებზე გასვლისას იგრძნობ,  
როგორ ეკვრის მკლავები გვერდებს,  
იმდენი გამომვლელი დაგეჯახა, ხვდები,  
უნდა იყო ისეთი ვინრო, რომ ნემსის ყუნწში  
და ყველა მსგავსი შინაარსის მეტაფორაში,  
უბრალოდ და დაუბრკოლებლად უნდა გაეტიო.  
შემოვლითი გზები გამოიგონე,  
დიდი გადასასვლელები ადვილად ფარე,  
მთავარია, აღარავინ შეგეხებოდეს.



## ისტერია

სხვების ხმაური კარგავს შენს ხმას,  
მოსმენა არ გიფიქრია, ირევთან  
აპოკალიპტური ციებით შეპყრობილი,  
ეგოცენტრული ყვირილით მწერალი  
მამხილებელი ურწმუნოები,  
ჩაცინების გარეშე რომ ვერაფერს ამბობენ.  
სიცილით აქრობენ თავის მორცხვობას,  
გზა გაუნათეთ თეორიების ქარავნებისთვის.  
მნიშვნელობას უკარგავენ სიტყვებს  
და ჭიბეში იწყობენ სხვების ნაფიქრს,  
დამე არ სძინავთ უპირატესობისთვის,  
რომელიც დიდი ხანია არ არსებობს.

## განსაკუთრებულობა

ჩვენი ოთახები პატარავდება  
და აღარ გვიწევს ერთმანეთის ძებნა.  
ერთნაირია კედლები და ხელმისაწვდომი,  
აღარაფერს დარჩა განსაკუთრებულობა,  
ყველაფერი უნივერსალურია.  
უსიტყვოდ ვხვდებით, შევიცვლით ადგილს,  
და დავსახლდებით, სადაც იარსებებს მიღმა,  
ხანდახან მივეფარებით ერთმანეთის თვალს  
მიუწვდომლობის წარმოსადგენად.

## უძრავი ეკოსი

დაცლილი დერეფანი საღებავით შეალამაზებს  
ძველ შეცდომებს და გააზრებამდე მიწერილ,  
შემთხვევით გადმოყრილ ბავშვების აზრებს.  
ყოველი წლის ბოლოს წაართმევენ ამ სიტყვებს  
არსებობის უფლებას და გადაღებავენ.

ხუთნუთიანი განუსაზღვრელი მოძრაობები  
აშინებენ შერყეულ კედლებს, ამიტომ ღამით  
მეზობლებს ესმით, თავს როგორ ირჩენს  
და ისუნთქავს ცის მტვერს მთავარი კარი.  
სანამ დილით დაიწყება დიდი შემოსვლა,  
ძველი კედლები აგროვებენ ყრუ ტკივილებს.

## გათბი

იარე სახლში, სამსახურის თბილ ოთახებში,  
გაგვექეცი დიდი ხნით წასულებს  
და ყურებზე იდებ ხელებს,  
მაინც გაგაგებინებთ, როგორია გაყინვა,  
როცა სახლებში არაა ცეცხლი და გულები  
იცვლიან ადგილებს გახურებისთვის.  
მოისმენ ოდებს ზამთრის ღამისთვის  
ვაქებდეთ სიზმრებს,  
ზამთრის ღამისგან შეშინებულს  
არასდროს რომ არ გვინახავს  
და ისტორიებს, ბალიშისქვეშეთიდან  
როცა ვათბობდით შუალამეს  
და გათენებულზე ისევ გაყინული გვხვდებოდა.  
ისმინე გაციებული ხმები, განამდი,  
როცა გძინავს და ჩვენზე არ ფიქრობ.

## მომავალი

დარჩები მარტო, აშინებენ საწოლისქვეშეთიდან,  
ეხუტება რბილ სათამაშოებს, კლასელებს ითვლის  
(ცხვრების მაგივრად), ადის ოცამდე, კმაყოფილია,  
ეძინება და ხედავს ბავშვების საერთო სიზმარს,  
ყველასთვის ერთნაირია შორიდან მომავლის ხილვები.  
ჯერ კიდევ გაბოროტებამდე ზედ ემჩნევათ,  
როგორი ფოტოები ედებათ პროფილზე,  
რა სახეს მიიღებენ ნებისმიერ დღესასწაულზე,  
რას ჩაიცვამენ ქორწილში ან სამსახურის პირველ დღეს,  
რას მოსთხოვენ ოჯახის წევრებს და ერთმანეთს.  
ვერავინ იპოვის დღეებს, როცა სხვებთან თამაშის შერცხვა,  
ალარ იმჩნევდა ამინდის შეცვლებს, რომელიღაც  
გათენებაა  
დასაწყისი, მომავალს რომ ეძახდი და დიდი ხნის წინ  
გამოგეცალა.

### 3. პრობა

# ბურთა ჯიშკარნიანი

## იაგუარის ნახტომი (სავარჯიშო)

01.

თუკი გული იწყებს ბზარვას, როგორც მინა ყინვაში, უფსკრულები ყვავილებივით იზრდებიან გულიდან, ფესვებს უშვებენ ფილტვებში, სასქესო ორგანოებში, ფეთქდებიან – იფურჩქნებიან ტვინში ბირთვული განთიადებივით. აბსოლუტური დეფრაგმენტაცია, სველი კოცნები წელს ქვემოთ, იარაღები ირმის ნახტომის მიმართულებით, მორბეს ანბანივით აკრეფილი კომუნიკაცია.

ყველა ბზარიდან ჟონავს ქაოსი, და ვერცერთი იზოლენტა, ვერცერთი ელიავას მუშა ვერ ამოქოლავს ამ ბზარებს. მაგრამ თუ ცალი თვალით მაინც ჩაიხედები ამ ბზარში, ნახავ რომ ეს წყვდიადი უჩინარი მარგალიტებითაა სავსე.

ყველაზე საინტერესოა, როცა ადამიანი თვითონ ხდება ბზარი და უფსკრული უკვე მისგან ამოდის, როგორც ბოლი ცეცხლმოკიდებული სახლიდან. ამის შემდეგ ის უკვე არ ეკუთვნის თავის თავს. საკუთარი თავი – ილუზორული მდგომარეობაა, აკვანი არტახებით, კომფორტის ზონა, სადაც თითქოს გივლიან, ზრუნავენ შენზე. ტელეფონის ზარი, ვილაც გირეკავს, გკითხულობს, გამხნევენს, განუგეშებს, მაგრამ რაში გჭირდება ნუგეში, თუ იცი, რომ “ნუგეშინია” არის მთავარი გაკვეთილი, რაც უნდა ისწავლო. სიცოცხლე და სილამაზე შიშის საზღვრების მერე იწყება. ექო, რომელიც გესმის, გიზიდავს და ვერ შიფრავ, სამყაროს გულისფეთქვაა, რომელიც იქ ისმის, შიშის მერე, მარტოობის მერე, სექსის და სიკვდილების მერე.



ვინაიდან ნათქვამია “ვერაჟინ განუგეშებს საოცრების უბეში”. მას შემდეგ, რაც ამ სიტყვებს მიიღებ, და არამართო მიიღებ, როცა იგრძნობ ამ ზამთრის ყველაზე გრძელ ღამესავით უსასრულო მარტოობას, “მე” უკანა პლანზე გადადის და საკრალური წყვილია შენს სხეულს ეუფლება, როგორც გეიმერი ავატარს. შენი დახუჭული თვალები მისი ემანაციებია, შენი ცეკვა – მისი დავინწყებული ენაა, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს გაშიფრვას.

პროგრესი, ხელოვნება, ურთიერთობები ყოველთვის იყო ქაოსის დიზაინის მცდელობა, მაგრამ იაგუარი, რომელიც ყველაზე ადრე გაჩნდა, არსად წასულა და ისევ იქ არის, ჩვენი ავატარების უკან და ელოდება საკუთარ დროს. სამყაროსავით ძველი ინსტინქტებით აღჭურვილმა მტაცებელმა იცის, როდის იჯდეს ჩუმად ჯუნგლებში, 16-სართულიანი კორპუსების ხელა ხეების უკან და როდის გაააკეთოს ნახტომი.

ყველაფერი, რაც ხდება, მომხდარა და მოხდება – ეს ნახტომია..

## 02.

*მზის შიგნეულობა გადმოიყარა ჭრილობიდან  
ელექტრონების ციმციმი მთვარის სასაფლაოებზე  
ამოვარდნილ ქარს მიაქვს ცნობიერება, ვერ დააკავებ  
დამარხეს მდინარე – ტირილით, მოთქმებით, სიმღერებით*

ჯერ ერთი, თუ ხელისგულიდან ამოდის მარადიული ცეცხლი, ეს მოგონებაა, მეხსიერებაში არეკლილი მომავალი – როგორც საეკლესიო სანთელივით დანთებული ნეირონი. ყველა მარკეტში შეგიძლია შეიძინო ნეირონების პაჩკა: ორი აბი და პახმელიაზე/ატხადნიაკზე დაკარგული ნეირონების 50% ისევ აღსდგება. მცირედი

პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ ახალი ნეირონები უჩვეულო კავშირებს ამყარებენ ერთმანეთთან, რის შედეგადაც მეორე დილას შეიძლება სულ სხვა პიროვნებად გაიღვიძოთ, თუმცა ბრიტანელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს არც ისე დიდი ტრაგედიაა. ეს უკვე ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ანტენები ცაში, კაბელები ცაში.

თვითმფრინავი როცა მოდის ქალაქში – იქ ეკონომიკა მონიტორინგით ანთია. როგორც იტყვიან: “თუ გინდა უსმინო – უსმინე ნიჟარას და ყველაფერს გაიგებ”.

მეტიც, შესაძლოა ამ ხარვეზებში სამყარო ასწრებს გამორთვას და ისევ დაბრუნებას. ჩვენ არ ვიცით, არც არავინ იცის – მთვარის ფილოსოფოსები პირველი ადამიანები იყვნენ, ვინც ფიქრი გრავიტაციის უარყოფის ხარჯზე დაიწყო და ისინი კი ამტკიცებენ, რომ სამყარო ასწრებს სიკვდილს და დაბადებას ყოველ ჯერზე, როცა თვალებს ვახამხამებთ, მაგრამ ეს ასე რომ იყოს, ეს გამუდმებული ფლუქტუაცია სერიოზულ გავლენას მოახდენდა დროის სხეულზე. როგორც ტანსაცმელი იწლება, რომელსაც ხშირად რეცხავენ ხელით, ჩვენ ვიცხოვრებდით განელილ დროში: გუშინ ნათქვამი სიტყვები წლებში გაიწლებოდნენ, დღისით ცის ერთ ნახევარს დაიკავებდა გუშინდელი ცა, მეორე ნახევარს კი ხვალინდელი ცა, მომხდარი მოვლენები ისევ მოხდებოდა და არმომხდარი იქნებოდა ისეთი, თითქოს მოხდა.

– ხო, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ისედაც ასეა?

– როგორც ჩანს, მთვარის ფილოსოფოსები სწორს ამბობენ – უპასუხა ბუმ ბუს და თვალი დაახამხამა. საერთოდ ბუები ცდილობენ, იშვიათად დაახამხამონ თვალები, რომ სამყარომ რაც შეიძლება დიდი ხანი იცოცხლოს.

ჯერჯერობით სამყაროს არსებობის რეკორდია რამდენიმე წუთი და რამდენიმე წამი.

– გინდა, სამყარო 2 წუთი არ დაშათდაუნდეს?

შემოგვიერთდი ტირში და მოხსენი ბუ-ების რეკორდი!

მიეცით სამყაროს შანსი – არ იხამხამოთ!

ასე ჟღერს ყველაზე ცნობილი სათამაშო ტირების ევოლუციური რეკლამა.

გული დასაცემენტებელია, მაგრამ როგორც მიწისძვრამდგრადი შენობა.

თუ საფუძველმა არ იქანავა, ისე არ გამოვა.

მკვდარი დღეების რეანიმირება გაცრეცილ სანოლზე.

რით აცოცხლებენ მკვდარ დღეებს? სექსით?

ნარკოტიკებით? იქნებ გადატენილი იარაღით?

უკვე არ მახსოვს, უკვე არ მჯერა. აკეთე/სანამ ლუპი.

Do/While Loop.

მე მინდა მჯეროდეს გათენების, სადაც გუშინდელი დღეები არ მოგყვებიან მეხსიერებაში, როგორც ცუდი სიზმარი გაცრეცილი პერსონაჟებით. თითქოს ყოველი ძილის დროს ტვინი ლეპტოპს არესტარტებს და ცე დისკი მთლიანად იშლება. გათენების, სადაც მოგონებებს არ აქვთ ადგილი: გაქვს ცარიელი ტვინი და ცარიელი გული, რომელიც ზუსტად იმიტომ, რომ ცარიელია – მზადაა თავისთავში მთელი სამყაროს საოცრებები დაიტოს: სუბტროპიკული კლიმატი და დეციმეტრული ანტენები, ლიანდაგები და შავი ხვრელი, Uzi და “ქებათა ქება სოლომონისა”.

უკეთესი იქნებოდა, საერთოდ უგულო იყო. მაშინ ეს მოვლენები არ დაგროვდებოდა შენში, როგორც სანაგვე

ყუთში. ისინი უბრალოდ გაივლიდნენ შენში და ასე გახდებოდი უნივერსალური გამტარი, ელექტროობის ოცნება – ალბათ ესაა არსებობის ყველაზე სწორი ფორმა: როცა ყველაფერს გრძნობ, მაგრამ არაფერს აგროვებ. არც ეგო, არც პირადი ისტორია, არც სტენკა სახლში – მხოლოდ შეგრძნებების და ხილვების კასკადი, რომელიც მიედინება.

**03.**

სიცოცხლის ფესტივალზე არ არსებობს მომხმარებელი, რომელსაც საფრთხე არ ემუქრება. რამდენი დამატებითი მფარველი ანგელოზიც არ უნდა დაიქირავოთ ბოდიგარდად, დასასრული ყოველთვის ფატალური და ბანალურია. თუნდაც მათ ჰქონდეთ ბეტონის სისხლი, თუნდაც ორიენტირებულნი იყვნენ მორჩილებაზე თვეებში, ყველა ვარაუდი ადის ზედა უსასრულობამდე, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის, თავს ზევით უკიდევანო ცაა.

ეს კარგად იციან იმათ, ვინც გეტოებში შეუამხანაგდნენ ერთმანეთს და გრძნობენ ერთმანეთის ლიმიტს, განსაკუთრებით, ვისი დაბადებაც სამომხმარებლო სფეროში პასუხისმგებლობების აწევას დაემთხვა. დაუდგით მათ ბიუსტები რეალობის კომუნიკაციისთვის! მათ იცოდნენ მულტფილმის ყვავილებთან ტაქტილური კომუნიკაციის დამყარება.

განა ამაზე ლამაზი რა შეიძლება განიცადო?

**ვეშაპების სირენები სტეპებში ღამის – დრაფტ ნაწყვეტი ნოველიდან**

გაზაფხულში გაჩერებული ორთქლმავლის ვაგონზე, ლოტოსის პოზაში ჩამჯდარი პავლიკ მოროზოვი ჩვეულებისამებრ უსასრულო სიცარიელის მედიტაციას

ასრულებდა, როცა მოულოდნელმა ტყვიამ მისი წითლად მბჟუტავი ნიმი გახვრიტა. ელექტრონული ნაპერწკლები მიკრო ფოიერვერკივით გაიფანტა პავლიკას თავზე. მეტეორების წვიმის ქვეშ.

მემანქანემ იმ წამსვე დააჭირა ბოლო შემორჩენილი თითი განგაშის ღილაკს, სირენებმა ვეშაპების ძახილი გაუშვეს სტეპების სიოში. მეომრები აჩოჩქოლდნენ მატარებლებში, მათგან ზოგს სიზმარში მოუსწრო ტყვიების ნაკადმა, რომელიც პავლიკასგან მარჯვნივ, ჩრდილოეთის ნათების მხრიდან მოექანებოდა და სამუდამოდ დატოვა ისინი საკუთარ სიზმრებში.

– რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო, გათიშე ლამლამობით შენი ნიმი! – დაუყვირა პავლეს ვაგონიდან ტრუსებისა და ლამის ხედვის სათვალის ამარა გადმომხტარმა ლევ დავიდოვიჩმა, უბებით ხელში. დაღამებასთან ერთად ის გამუდმებით ატარებდა ლამის ხედვის სათვალეებს, ძილშიც და სექსის დროსაც კი არ იხსნიდა მათ სახიდან, ხოლო ხელიდან არ უშვებდა უზის, მაშინ როცა დღისით რეიბანებს და გრძელ ჯოინტებს ანიჭებდა უპირატესობას.

ვაგონის ცივ ბორბლებს ამოფარებულმა, ზუმი გაასწორა და სიბნელის სკანირება დაიწყო.

– ვინ არიან? – ვიყვირე მე, სანამ აკანკალებული ხელებით ვცდილობდი კალაშნიკოვისთვის აბოიმა მომერგო.

– წყეული რეინკპოლი! – მითხრა ბელადმა და ორი ვაგონის იქით აკოპებში ჩამჯდარ წითელგვარდიელებს გადასძახა – ანგელოზები გამოუშვით!

და ვინმემ ჩამოიყვანეთ ბოლო-ბოლო პავლიკა ვაგონის თავიდან!

ჩემ პირდაპირ – პრაქტიკული წვერი, განუმეორებლობის ეკონომიკა, მზერის კოლონიზაცია გრძნობებით. ჩემგან მარცხნივ – გათითოვაცებული და პერმანენტული ნახევრადკრიმინალები ცნობიერების ლაქებით ხელის მტევანზე ან თავის ქალაზე, როგორც გორბაჩოვი – იმპერიის უკანასკნელი მმართველი.

მთავრობა ჟანგისფერია, მითოლოგია ავეჯია, სარეკლამო კრეატივის ქრონომეტრაჟი ექოა ჟანგბადად ქცეული მონარქების სასქესო სურვილების...

23-ე ვაგონიდან არაადამიანური ღრიალით ამოფრინდა ჩვენი მატარებლის ყველაზე ელიტური ქვედანაყოფი – დაქირავებული ანგელოზები. ქაოსის მამაპაპათაგან დატოვებული პალეოლითური ქარხნები უკვე ვერ აწარმოებენ მსგავს მგელ-ანგელოზებს სინათლის ხასიათით, რომელთა საწოლებს ახსოვდათ ანგელოზების სითბო, გაოფლილი ფრთების სუნი, რაღაცით ქათმებისას რომ წააგავს და სულში შორეული სოფლების სიმშვიდეს გიღვრის... სამკილოვატიანი ბრძოლის ყიჟინა სტერეოეფექტით, იარაღის სიმძიმის შეგრძნება გააფთრებულ ხელში. მათ სახეებს არ ჰქონდათ კეფა და მიტოვებულ გზაჯვარედინებზე ისინი ყოველთვის ოთხივე მხარეს იხედებოდნენ.

ჩვენ და ანგელოზებს არ გვეშინოდა სიკვდილის, იმიტომ რომ დასაკარგი არაფერი გვექონდა. სიკვდილის იმათ ეშინიათ, ვინც ჯერ კიდევ რამეს ებღაუჭება, მაგრამ თავის მხრივ, არც რეინკარნაციულ პოლიციას ეშინია სიკვდილის. ყოველი სპეცმუშაკისთვის, მათ შტაბ-ბინაში, პოლუსის ყინულების ქვეშ – 20-მდე სარეზერვო სხეულია გადანახული. ამ ბრძოლაში დაღუპვის შემთხვევაში მათი ცნობიერება ეგრევე გადაიტყორცნება ხოლმე ახალ

სარებერვო სხეულში და ისინი ისევ მზად არიან დაიძრან და გვეძებონ. მათი შემოსევები არასოდეს დამთავრდება, იქამდე, სანამ რეალობის ყველა ქარხანა არ დაეცემა, ან იქამდე, სანამ ჩვენ არ დავეცემით. ასეთი ქარხანა კი მხოლოდ ხუთი დარჩა და ერთ-ერთი მათგანი, ლევ დავიდოვიჩის ბრძანებით, გუშინ ღამე, ჯერარნახული ბირთვული ბომბით განადგურდა.

ანგელოზები ტყვიაგაუმტარი ფრთებით იგერიებენ ტყვიებს, გვაფარებენ თავიანთ კალთებს, აქედან კი გაცილებით ადვილია დამიზნება.

ორმოცნუთიანი ორმხრივი სროლის შედეგად, ჩვენ ყველა აგენტი დავხოცეთ. მაგრამ ისინი მალე დაბრუნდებიან. დროა მატარებელი შემდეგი მისიისკენ დაიძრას.

სიცარიელის ჭვრეტაში ჩაძირული ბავშვი გაუნძრევლად იჯდა ვაგონის თავზე, მისი ნიმი იაფფასიანი სასტუმროს დაბიანებული ნეონივით ბჟუტავდა, როგორც დაღლილი მზე რომელიმე შორი გალაქტიკის, სადაც ვერასდროს ვერ მივალწევთ ვერც ადამიანები და ანგელოზები, ვერც ჩვენს მიერ შექმნილი კოსმოსური ბონდები. ტყვიები თითქოს ერიდებოდნენ მას, როგორც მდინარე, რომელიც გარს ევლება ამოშვერილ ლოდს და ისე აგრძელებს თავის გზას. ხდება ხოლმე, საკუთარი გამოცდილებით ვიცი, სიკვდილი მაშინ მოდის, როცა ნადირობს შენზე, მაგრამ საკმარისია შენ დაიწყო მასზე ნადირობა, ის არა და არ მოდის, მუდამ ხელიდან გისხლტება ოქროს თევზივით.

სიცარიელემ ყველა კოდის ნაშლა მოასწრო ერთის გარდა, ტაბლეტზე პავლიკას ტვინში მიმდინარე პროცესები უძველესი პროგრამული ენის კოდით იყო შენარჩუნებული.

“public class მედიტაცია {

```
public static void Main ()
```

```
{ int ვარსკვლავიანი ცა=ჩამქრალი ჰოლოგრამების  
სურნელს გაზაფხულის წვიმების მერე=თავისუფალი ღრმა  
ჩასუნთქვა;
```

```
Do
```

```
{
```

```
მეტიდაცია.დიდაფეთქებაზე(x);
```

```
x++;
```

```
} while (x < განთიადი);
```

```
}
```

```
}”
```

– ნიშნის დაზიანებამ უსასრულო ციკლში ჩააგდო. ისეთი არაფერი, სქემებს გამოვცვლით, კოდს დავარედაქტირებთ და ერთ საათში ჩიტვიტით იქნება – მოახსენეს პროგრამისტებმა გაოფლილ ლევ დავიდოვიჩს, სანამ ანგელოზების ერთი ნაწილი სკალპებს აძრობდა დაღუპული რეინკპოლის თანამშრომლებს, სხვები კი დასაკეც ელექტროჯვრებს შლიდნენ, რომ მათი გვამები ზედ დაეჭედათ. ვეშაპების ხმა შეწყდა, სადღაც შორიდან მას ყმუილით უპასუხეს მგლებმა – ყველას აქვს თავისი სიგნალიზაცია.

ჯვარცმული ავატარების მიერ წარმოქმნილ ხეივანში ლევ დავიდოვიჩი სიკვდილის მედიტაციას მიეცა. ამ ბოლო დროს ის სულ უფრო ხშირად აკეთებდა ამ პრაქტიკას, რაც გაურკვევლობას იწვევდა ჩვენს რიგებში.

– რატომ მედიტირებს ბელადი მტრების გვამებზე? – ისმოდა ჩურჩულით.



– როგორ მოვკლათ ისინი, ვინც არ კვდება? – გავიგე, ჩემს უკან როგორ ჰკითხა დაღლილმა წითელარმიელმა მეორეს. ისინი ხელჩაკიდებულები იდგნენ, ბავშვებივით, ოკეანის პირას.

ორთქლმავალი წითელი გარიჟრაჟის მოტივებზე დაიძრა და როგორც ყოველთვის, მის უკან გვამების დიდი ხროვა მოიტოვა. ჩვენ კონტრრევოლუციონერების ძვლებზე დავდივართ, ეს არის ჩვენი რელსები.

### **One Shot**

როცა ის დაიბადა, იყო ღამე, რომელიდაც უსახელო კომეტამ ისევ ააცილა დედამიწას, სადღაც იუტას თუ კენტუკის შტატში კი ამერიკელი პასტორი და მისი მრევლი უშედეგოდ ელოდნენ პასტორის მიერ წინა კვირას დაანონსებულ აპოკალიფსს. მეტი იმ დღეს არაფერი საინტერესო არ მომხდარა. ეს უკანასკნელი ფაქტიც შოთამ იქიდან იცოდა, რომ აპოკალიფსის არდადგომის გამო იმ პასტორმა თავი მოიკლა და ვიკიპედიის ცრუმესიების სიაში მოხვდა. მეტი არაფერი. თითქოს სამყარომ, სადაც დღე არ გადის გენოციდების და ქიმიური გაჟონვების გარეშე – პირი შეკრა, არაფერი მისცა შოთას ისეთი, რასთანაც დაბადებას დააკავშირებდა. არადა ადამიანებს უყვართ საკუთარი დაბადების მიბმა საოცრად დაშორებულ მოვლენებთან:

“მე რომ დავიბადე, მაშინ პრინცესა დიანა ავარიაში მოყვა.”

“მე რომ დავიბადე, იმ დღეს ამერიკამ ჰიროშიმა და - ნაგასაკი დაბომბა”

“თუფაქი რო დაბრიდეს, იმ საღამოს გავჩნდი”

თითქოს ეს მოვლენები ადამიანის ხასიათსა და ბედზე მოქმედებს. მაგრამ, ვინ იცის? იქნებ ასეც არის. იქნებ ასე სამყარო გვეუბნება, ვისთან გვაქვს საქმე, იქნებ ეს ადამიანის დაბადების მისებური აღნიშვნებია. იმის მიხედვით, თუ როგორი ადამიანი დაიბადა, ხდება ესა თუ ის მოვლენა – ასე ფიქრობდა შოთა და ხვდებოდა, რომ თუ ასეა – მისი მოვლინება სამყაროს ან გამორჩა ან ამ ფაქტს საერთოდ არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში შოთა მიხვდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საპირისპიროს გვასწავლიან – ჩვენ არანაირად არ ვიბადებით თანაბრები. სამყარო თავიდანვე გვაჯილდოვებს გარკვეული რაოდენობის უნარებით და ესაა, რაც გვაქვს. შოთა მათ გასროლებს ანუ “Shot-ებს” ეძახდა.

შოთა ბავშვობიდან იმასაც მიხვდა, რომ პირადად მას მხოლოდ ერთი გასროლა აჩუქა განგებამ. ერთადერთი შანსი, რომელიც თუ სწორად გამოიყენა, არანაკლები სიმძლავრის იქნება, ვიდრე ნაპოლეონის ლაშქრობები ან იესოს გადაწყვეტილება, სუიციდის ისეთი ფორმა აერჩია, როგორიცაა ჯვარზე გაკვრა.

სხვათაშორის ამ აზრმა დიდი გავლენა მოახდინა შოთას ცხოვრებაზე. ყველა დაბრკოლებას, მცირესა თუ დიდს, შოთა ისე უდგებოდა, თითქოს ეს ყოფილიყო ის შანსი, როცა მას თავისი გასროლა უნდა გამოეყენებინა; ყველა დაბრკოლება მის ტვინში აღიქმებოდა როგორც უკანასკნელი რამ, რაც ცხოვრებაში ხდება და ასეთ დროს დასაკარგი არაფერი გაქვს, ყველაფერზე ხარ წამსვლელი.

როცა იცი, რომ კიდევ დიდხანს იცხოვრებ, რალაციით ინუგეშებ თავს, იმართლებ, ამბობ: არაუშავს, ახლა არ

გამომივიდა, მერე ვიბამ. შოთას არ ჰქონდა ეს ფუფუნება – მისთვის ყოველი დღე ბოლო იყო.

ასეთმა დამოკიდებულებამ ის ძალიან მალე გახადა ჯერ უბნის საპატივცემულო ფიგურა, შემდეგ ნახევარი ქალაქის. ყველამ იცოდა: შოთას ჯობია არ დაეტაკო, შოთა გულუხვია, შოთა ისეთია, შოთა ასეთია, შოთას თუ დაპირდები, აუცილებლად უნდა შეასრულო, შოთა თუ დაგპირდა, არასდროს გადაგაგდებს და ა.შ.

მაგრამ ეს არასდროს ყოფილა შოთას მიზანი, მას მხოლოდ საკუთარი ერთადერთი გასროლის კარგად გამოყენება უნდოდა, ასე რომ, როცა ერთ საღამოს მოვლენები და ვარსკვლავები ისე განლაგდნენ, როგორც მაშინ ხდება, როცა მთელი არსით გრძნობ რომ: დროა! – შოთამაც იგრძნო, რომ დადგა მისი გასროლის მომენტი – მოულოდნელად გაზს დააჭირა და გარეგანათების ბოძს დაეტაკა. ბოძი გადაყირავდა და მტკვარში ჩაქრა, წყალში ჩავარდნილი სანთელივით. ასე გადაუხადა სამაგიერო გოგოს, რომელმაც უარყო, გახდა უბნის უკვდავი მოგონება, ახალი ამბების სიუჟეტის გმირი და ასე შეიძინა ახალი სახელი – ვანშოთა (One Shot-ა) – საკუთარი გასროლის ოსტატი.

როცა ის მოკვდა, კორპუსში ლიფტით სარგებლობა მთელი ორი დღე უფასო იყო და კორპუსის ბებოებს პატარა კოგნიტური დისონანსი დაემართათ – ერთი მხრივ, ვერ ხვდებოდნენ მისი გასროლის სიღიადესა და სიზუსტეს და ვანშოთა ეცოდებოდათ, მაგრამ მეორე მხრივ სადღაც, ლიფტის სიღრმეში, ლიფტის ამბავიც გაუხარდათ, თორემ ყველას მოგეხსენებათ, ამ ლიფტის ხურდების და 5 თეთრიანების მოგროვება რამხელა ტვინისტყვნა და ჯოჯობეთია.

ახლა უბანში პატარა ფანტანი დგას და როცა ბავშვები  
ზაფხულის ცხელ დღეებში წყურვილს იკლავენ ან წყალს  
აგროვებენ ერთმანეთის გასაწუნად, მათ უწევთ მისი  
სახელის ამოკითხვა ფანტანის ძირზე. უკვე არავის ახსოვს,  
ვისი სახელი წერია აქ, რამდენიმე ადამიანის გარდა,  
კიდევ რამდენიმე წელიც და იმათაც არ ემახსოვრებათ,  
მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, რომ ექსტაზი, რომელსაც ის  
გრძნობდა ბოლო წამებში – მთელ შემდეგ დროს უფრო  
აუქმებს, ვიდრე მოგონებას მასზე.

## 4. კრიტიკა

ლევან ბრეგაძე

## გრამატიკულად არასწორი ზოგიერთი ფორმის სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციისათვის

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ:

„**ნერვიულ**-ი (ნერვიულისა) იგივეა, რაც **ნ ე რ ვ უ ლ ი**.  
„[შოკი] გამოწვეულია საერთო ნერვიული ფუნქციების,  
სუნთქვისა და გულის-ცემის დაზიანებით“ (დ. სულ.).  
„ნესტიანი და ბნელი ოთახი ნერვიული კისკისით გაავსო  
[მარგომ]“ (მ. ჯავახი). **ნერვიულად** ბმნს. იგივეა, რაც **ნ ე რ ვ  
უ ლ ა დ**. „ბავშვები ატირდნენ, მამაკაცები უღვაშებს  
ნერვიულად იგრეხდნენ“ (რ. გვეტ.)“ (ქეგლ 1958: 1475).

ასეთივე ვითარებაა 1986 წელს გამოცემულ განმარტებითი  
ლექსიკონის ერთტომეულში (ერთტომეული 1986: 358).

1968 წელს გამოსული „ქართული ენის ორთოგრაფიული  
ლექსიკონი“ არ ცნობდა „ნერვიულს“ და მასში სწორ  
ფორმებად მიჩნეული იყო „ნერვული“, „ნერვულობა“ და  
„ნერვულობს“ (ორთოგრაფიული... 1968: 605), ვინაიდან  
გრამატიკულად სწორი წარმოებაა **ნერვ-ულ-ი**, ხოლო  
გრამატიკულად არასწორი **ნერვ-ი-ულ-ი** -ივ- და -ია  
სუფიქსიანი სიტყვების ანალოგიით არის მიღებული: აქტ-  
ი(ვ)-ურ-ი, პას-ი(ვ)-ურ-ი, რეაქცი-ულ-ი...

მაგრამ **ნერვიული** და **ნერვული** რომ ერთი და იგივე არ  
არის, კარგად ჩანს ქეგლ-ში დამოწმებული საილუსტრაციო  
მაგალითებიდანაც. კერძოდ, **ნერვული** ანატომიურ-  
ფიზიოლოგიური ტერმინია და ასეა განმარტებული:  
„ნერვებისაგან შემდგარი; ნერვებთან დაკავშირებული“  
(ქეგლ 1958: 1475).

იქვე დამოწმებულია ეს მაგალითები: „*ნერვული ქსოვილი*  
*შედგება ე. წ. ნეირონებისაგან*“ („პლასტიკ. ანატ.“).

„*ნერვული პროცესი ორგანოა: აგზნება და შეკავება, რომელნიც ურთიერთის სანინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებენ*“ (დ. უზნ.).

აქ სადავო არაფერია.

მაგრამ **ნერვულის** მე-2 და მე-3 მნიშვნელობები ამავე სიტყვა-სტატიაში ასეა ახსნილი: „2. ნერვების გაღიზიანებით გამოწვეული. 3. ნერვებაშლილის დამახასიათებელი. *ნერვული ხმა. – ნერვული სიარული*“.

მივაქციოთ ყურადღება, რომ აქ საილუსტრაციო მაგალითები ლიტერატურიდან კი არ არის მოხმობილი, არამედ „ხელოვნურადაა“ კონსტრუირებული, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან არც იმ დროს, როდესაც ეს ლექსიკონი მზადდებოდა და არც ამჟამად არავინ იტყვის – „*ნერვული ხმა, ნერვული სიარული*“, ამბობენ – „*ნერვიული ხმა, ნერვიული სიარული*“.

რეალური ვითარება ასეთია:

**ნერვ-ულ-ი** (რაც სწორი წარმოებაა) ანატომიურ *ნერვთან* დაკავშირებულს ნიშნავს (მაგ., ნერვული სისტემა), ხოლო **ნერვ-ი-ულ-ი** (რაც არასწორი წარმოებაა) იგივეა, რაც *ნერვებაშლილი*; ეს კი მეტაფორაა და განერვიულებულ, გაღიზიანებულ ადამიანს ნიშნავს, აგრეთვე – ასეთი ადამიანისთვის დამახასიათებელ ქმედებასაც (მაგ., ნერვიული სიცილი).

არც ადრე და არც ამჟამად არავინ დაამშვიდებს ასე მეგობარს: „*ნუ ნერვულობ*“, „*არაფერია სანერვულო*“, ყველა ასე იტყვის: „*ნუ ნერვიულობ*“, „*არაფერია სანერვიულო*“. მსგავს მაგალითებს თვითონ გვთავაზობს ლექსიკონი: „*დორა სუსტად არის და ნერვიულობს*“ (ქ. ბაქრ. თარგმ.). „*ორივე გუნდი ნერვიულობს*,



კუიბიშველები უხეშობენ“ („კომუნისტი“) (ქეგლ 1958: 1475) და სხვ.<sup>[19]</sup>

ასე რომ, **ნერვიული** სხვა რამეა და **ნერვული** სხვა, რაც ბოლოს და ბოლოს აისახა კიდევაც 1998 წელს გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონში (ორთოგრაფიული... 1998: 403) და ალბათ ახალი განმარტებითი ლექსიკონიც (რომლის მხოლოდ სამი ტომია ჯერჯერობით გამოცემული და ნარამდე ჯერ კიდევ შორია) გაიზიარებს ამ თვალსაზრისს.

ამრიგად, ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ გრამატიკულად არასწორმა წარმოებამ სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია იკისრა და აგვარიდა პოლისემია.

\* \* \*

მსგავსი ვითარებაა სიტყვა „ფაქტი“-დან ნაწარმოებ ზედსართავებშიც – **ფაქტ-ობრ-ივ-ი** (სწორი ფორმა) და **ფაქტ-ი-ურ-ი** (არასწორი ფორმა, როგორც ზემოთ ვთქვით, ივ- და -ია სუფიქსიანი სიტყვების ანალოგიით მიღებული) და ზმნისართებშიც: **ფაქტ-ობრ-ივ-ად** (სწორი ფორმა) და **ფაქტ-ი-ურ-ად** (არასწორი ფორმა).

ორთოგრაფიული ლექსიკონიდან **ფაქტიური** განდევნილია. იქ ვკითხულობთ: „ფაქტობრივი [და არა ფაქტიური]; ფაქტობრივად“ (ორთოგრაფიული... 1998: 490; შდრ. ორთოგრაფიული... 1998: 742).

ქეგლ-ში ფაქტობრივიც არის და ფაქტიურიც, მაგრამ ისინი გაიგივებულია. კერძოდ, იქ ვკითხულობთ: „**ფაქტიურ-ი** იგივეა, რაც ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ი. „სოციალისტურ სახელმწიფოში... დამყარებულია ეროვნებათა სრული იურიდიული და ფაქტიური თანასწორობა“ („კომუნისტი“). **ფაქტიურად** ზმნს. იგივეა, რაც ფ ა ქ ტ ო ბ რ ი ვ ა დ.

„საარჩევნო პუნქტებში არჩევნებისათვის მზადებას ფაქტიურად ამ დღეებში შეუდგნენ“ („კომუნისტი“).

არადა, ენამ ამ ორ ზედსართავს და მათგან ნაწარმოებ ზმნისართებსაც (**ფაქტობრივად, ფაქტიურად**) განსხვავებული მნიშვნელობები მიანიჭა: **ფაქტობრივი** ფაქტებზე დამყარებულს ან ფაქტებთან დაკავშირებულს ნიშნავს. მაგ., *ფაქტობრივი მონაცემები* (ანუ: რამე საკითხთან დაკავშირებული ფაქტების ჩამონათვალი, ნუსხა), *ფაქტობრივი შეცდომა* (ანუ: შეცდომა, რომელიც ფაქტის არასწორი ცოდნის შედეგია), ხოლო **ფაქტიური** კი რეალურის, ნამდვილის სინონიმია. მაგ., *ფაქტიური ვითარება* (რეალურად არსებული ვითარებაა, იმისგან განსხვავებული, როგორც გვეგონა ან როგორადაც მას წარმოგვიდგენდნენ), *ფაქტიური მისამართი* (ის მისამართი, სადაც ადამიანი რეალურად ცხოვრობს, თუმცა ოფიციალურად სხვაგან არის დარეგისტრირებული. მიაქციეთ ყურადღება: ოფიციალური მისამართიც ფაქტია, ანუ პირი იქ **ფაქტობრივად**, ანუ საბუთების მიხედვით, ცხოვრობს, მაგრამ **ფაქტიურად**, ანუ რეალურად – არა).

ჩვენი აზრით, აქაც გრამატიკულად არასწორ ფორმას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია დაეკისრა.

(რატომ არ გვაქვს გრამატიკულად სწორი **ფაქტ-ურ-ი**? [შდრ. **ტიპ-ურ-ი**, რამაც ჩაანაცვლა უმართებულო **ტიპ-ი-ურ-ი**] ცდაც კი არ ყოფილა მისი დამკვიდრებისა! შესაძლოა იმიტომ, რომ მისგან ნაწარმოები ზმნისართი – **ფაქტ-ურ-ად** – ემთხვევა **ფაქტურა** სიტყვის ვითარებით ბრუნვას, რაც გაუგებრობებს გამოიწვევდა).<sup>[20]</sup>

\* \* \*

არის თუ არა ენაში/ენებში ამის მსგავსი სხვა შემთხვევები, ანუ პრეცედენტები იმისა, რომ არასწორ გრამატიკულ ფორმას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია ეკისრებოდეს?

დიახ, არის.

რამდენიმე მაგალითი:

### 1. ინდოელი და ინდიელი.

**ინდო-ეთ-ი**-დან ნაწარმოები **ინდო-ელ-ი** სწორი ფორმაა (ისევე, როგორც **ჩინ-ეთ-ი**-დან ნაწარმოები **ჩინ-ელ-ი**) და ნიშნავს ინდოეთის მკვიდრს; ხოლო იმავე **ინდო-ეთ-ი**-დან არასწორად ნაწარმოები **ინდ-ი-ელ-ი** ამერიკის აბორიგენ მოსახლეს ეწოდება. იგი ისეთივე მცდარი ფორმაა, როგორც **ჩინ-ი-ელ-ი** იქნებოდა ნაცვლად **ჩინ-ელ-ი**-სა. ქეგლ-ში ამერიკელი ინდიელების თაობაზე ვკითხულობთ:

„ასე დაერქვათ მათ ევროპიდან მისული პირველი კოლონიზატორებისაგან, რომლებსაც ეგონათ, რომ ინდოეთში მოხვდნენ“ (ქეგლ 1955: 726).

მცდარი ფორმა აქ იმ შეცდომას „ინახავს“, რაც ამერიკის პირველ კოლონიზატორებს მოუვიდათ. ეს მცდარი ფორმა, გარდა იმისა, რომ მას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აკისრია, თითქოსდა კოლუმბის ისტორიულ შეცდომასაც შეგვახსენებს!

ასეთივე ვითარებაა სხვა ენებშიც:

რუსულში: Индия > индиец / индеец;

გერმანულში: Indien > Inder / Indianer.

(ინგლისურსა და ფრანგულში პოლისემიაა: პირველში Indian და მეორეში Indien *ინდოელიც* არის, *ინდიელიც* და

ინდურიც).

2. ამავე შეცდომასთან არის დაკავშირებული ევროპაში ამერიკიდან ჩამოყვანილი ფრინველის **ინდაურის** სახელწოდებაც, რომელიც **ინდოურიდან** მომდინარეობს. [21] სწორი ფორმაა **ინდ-ურ-ი** (ისევე როგორც **ჩინ-ურ-ი**), რაც ინდოეთიდან მომდინარეს, ინდოეთში წარმოშობილს აღნიშნავს. ამჯერად არასწორი ფორმა **ინდაური** (ისეთივე არასწორი, როგორიც იქნებოდა **ჩინ-ა-ურ-ი** ნაცვლად **ჩინ-ურ-ი-სა**) განესხვავა სწორ **ინდურს**, რის შედეგადაც ზედსართავი სახელი ისე იქცა არსებით სახელად, რომ პოლისემია თავიდან იქნა აცილებული.

3. ასეთივე მიმართებაა ამ სიტყვებს შორისაც: **კვამლი** და **კომლი**.

**კვამლი** იგივე ბოლია, ხოლო მისი დიალექტური სახესხვაობა, ანუ ლიტერატურული ქართულის თვალსაზრისით უმართებულო ფორმა **კომლი** სალიტერატურო ქართულში ცალკე ოჯახს ნიშნავს და მეტონიმიად აღარ აღიქმება (დიალექტებში ის მეტონიმიას წარმოადგენდა). ამრიგად, აქაც ლიტერატურულად არასწორი ფორმა პოლისემიის თავიდან ასაცილებლად იქნა გამოყენებული შდრ. ჯორბენაძე 1985: 41).

4. ძველ ქართულში **მოწამე** *მარტვილსაც* ანუ *წამებულსაც* ნიშნავდა და *დამსწრეს*, *შემსწრეს*, *მნახველს* და *დამმოწმებელსაც*: „**მოწამე** – პიროვნება, რომელიც საკუთარი სარწმუნოებისათვის განიცდის დევნას, ტანჯვას და იღებს სიკვდილს. ეკლესია დასაბამიდანვე მიაგებდა პატივს მათ, ვინც რწმენას საკუთარი სისხლით **ამოწმებდა**“ (პეტრობილო... 2011. ხაზგასმა ჩვენია. ლ. ბ.). პოლისემიის თავიდან ასაცილებლად ენამ უმართებულო შეკუმშვას მიმართა და გაჩნდა **მოწმე**. [22]

5. სწორი ფორმაა **სა-წუთ-ო** (რაც ძლიერ ხანმოკლეს ნიშნავს), მას შინაარსობრივად განესხვა **სა-წუთ-რ-ო** (ანუ სააქაო) **რ-ს** არასწორი ჩამატებით, რაც პოლისემიის თავიდან აცილებას ემსახურება. (ქეგლ-ში „საწუთოს“ საილუსტრაციოდ დამონშებულია სტრიქონები აკაკი წერეთლის ლექსიდან „ძმობა, ერთობა და სიყვარული“: „საერთშორისო მტკიცე კავშირი, / ეს არის ქრისტეს სწავლა და მცნება, / საყოველთაო, სამარადისო, / და არ **საწუთო** სიზმარ-ოცნება“. – ქეგლ 1960: 932-933).

6. როგორც ძველი რომის სახელმწიფოში, ასევე ახლანდელი იტალიის დედაქალაქში მცხოვრები ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა წესით უნდა იყოს **რომ-ელ-ი** (შდრ. **გერმან-ელ-ი, პარიზ-ელ-ი...**). მაგრამ მაშინ ის ფორმით დაემთხვეოდა კითხვით ნაცვალსახელს **რომელი**, რაც გაუგებრობების წყარო იქნებოდა. ამიტომ დამკვიდრდა **რომ-ა-ელ-ი** – ისეთივე არასწორი ფორმა, როგორიც იქნებოდა **გერმან-ა-ელ-ი, პარიზ-ა-ელ-ი**.

\* \* \*

განხილული მაგალითები კერძო შემთხვევებია ლიგვისტიკის იმ დარგისა, რომელსაც ბესარიონ ჯორბენაძე **ფაკულტატურ გრამატიკას** უწოდებს (ჯორბენაძე 1985).<sup>[23]</sup>

საზოგადოდ, ამა თუ იმ ენობრივი ფორმისთვის *სწორის* თუ *არასწორის* სტატუსის მინიჭება ერთობ პირობითი რამ არის. შესაძლოა გრამატიკულად არასწორი ფორმა ამა თუ იმ მიზეზის გამო ნორმად დამკვიდრდეს ენაში. გრამატიკულად სწორი ფორმებია *გერმანიული, იაპონიური* (შდრ. *ავსტრიული, იტალიური...*), მაგრამ დამკვიდრდა *გერმანული, იაპონური* (ბერძნულის, სომხურის ანალოგიით) და სხვ.

მით უფრო არ უნდა ჩამოერთვას არასწორ ფორმას მოქალაქეობის უფლება მაშინ, როდესაც იგი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით გამოიყენება და თავიდან გვაცილებს პოლისემიას. ამგვარ შემთხვევებშიც მართებულია ბესარიონ ჯორბენაძის დებულება შესახებ იმისა, რომ ენას მოეპოვება პოტენცია „რაციონალურად გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა მნიშვნელობათა თვით უმცირესი ნიუანსების გამოხატვის მიზნით, თან ისე, რომ ეს გამოხატვა თავიდან იცილებს ორაზროვნებას“ (ჯორბენაძე 1985: 46).

### **ლიტერატურა:**

ერთტომეული 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული. თბილისი: ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგია, 1986.

ორთოგრაფიული... 1968: ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“, 1968.

ორთოგრაფიული... 1998: ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი: „განათლება“, 1998.

პეტრობილო... 2011: პიერო პეტრობილო. ქრისტიანობის ლექსიკონი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემა, 2011;  
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=16&t=4161>

ქეგლ 1958: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 5. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.

შანიძე 1973: აკაკი შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის

გამომცემლობა, 1973.

ჯორბენაძე 1985: ბესარიონ ჯორბენაძე. ქართული ენის  
ფაკულტატური გრამატიკის საკითხები. თბილისი:  
თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1985.

## 5. ახალი თარგმანები



**ვლადიმირ სოროკინი**

## სნაიპერი



დილიდან, სანამ სნაიპერი ჩაის სვამდა, ბლომად თოვლი მოვიდა. განენილმა ფანტელებმა უცებ დაფარეს ნაცრისფერი გარემო. სნაიპერმა ჩაის სმა დაასრულა, ფინჯანს წყალი გამოავლო, მერე ფანჯარა გამოაღო და ქუჩას გახედა. სახურავებს, კარნიზებს და ხეებს გადათეთრება მოესწროთ. სველი ასფალტი კი მაინც ჯიუტად ჩანდა თოვლქვეშ.

სნაიპერმა გადააფურთხა. ფანჯარა მიხურა და მომზადება დაიწყო. ჯერ წითელი სვიტერი ჩამოიცვა, მერე ბამბის მძიმე შარვალში ჩაყო ფეხები, თეთრი ნიღაბ-ხალათი მოირგო, ტილოს ზურგჩანთა გადაიკიდა. ხელი დაავლო კარაბინს, კარაბინის ბუდეს და კარი გამოაღო. ჰაერი ნესტიანი იყო. თოვდა. ნაგვის კონტეინერებთან ძაღლების თანხლებით მისეირნობდნენ ორნი. მაღაზიასთან სატვირთო მანქანა უხვევდა.

სნაიპერმა ბუდე მხარზე გადაიკიდა, თეთრი ხელთათმანები მტევნებიდან მაჯებამდე კარგად დაჭიმა და ასფალტზე გატყაპუნდა. მეძაღლეებს რომ გაუარა, ერთ-ერთს მიესალმა. იმანაც გულთბილად უპასუხა.

კვირა დღის მიუხედავად, ტრამვაი სავსე იყო. სნაიპერმა ძლივს გაიკვლია გზა სალარომდე, სამკაპიკიანი ჩააგდო და

ბილეთი მოხია. სალონისკენ რომ შებრუნდა, ზურგჩანთით ვიღაც კაცს გამოედო.

– ტრამვაიში მაინც რომ მოიხსნა ეგ შენი კუზი, ცუდი არ იქნება... – გაბრაზებით ჩაიბურტყუნა იმან და გვერდზე მოქცეული ქუდი გაისწორა.

სნაიპერმა მდუმარედ გაიკაფა გზა და გათავისუფებულ სკამზე დაეშვა.

ექვსი გაჩერების შემდეგ, უნივერსამთან, თითქმის ყველა ჩავიდა და სნაიპერმა კმაყოფილი ღიმილით მოათვალიერა მოცარიელებული სალონი. უფრო მოხერხებულად მოკალათდა. სამი გაჩერების მერე კი თვითონაც ჩავიდა.

– მალენკოვის მესამე გასასვლელი, კორპუსი 8... – ქალაქის ნაგლეჯს დახედა და ჩაიბურტყუნა. – სადღაც აქვია...

სნაიპერმა მხარზე გადაკიდებული ტვირთი გაისწორა და ქუჩაში გააბიჯა. გარშემო ბლოკით აშენებული სახლები იდგა.

– რვა ნომერი? – კითხვა შეუბრუნა ბებომ და სკამიდან წამოდგა. – აგერ, აქვია! – ნიკაპი გაიქნია შორიახლოს მდგარი სახლებისკენ.

– და ზუსტად რომელია, იქნებ მითხრათ? – თვალები მოჭუტა სნაიპერმა.

– აგერ, ის, მარცხნივ რო დგას, ეგაა მერვე.

– გმადლობთ.

– არაფრის.

სნაიპერი არხს გადაახტა და მინიშნებული სახლისკენ წავიდა.

სახლმმართველის ბინა მალე იპოვა. ზარის ხმაზე პატარა, შემელოტებული კაცი გამოვიდა, ლუკმა გადაყლაპა და თავი დაუქნია:

– ჩემთან ხართ? შემოდით, ბატონო.

– არა, გმადლობთ. – უპასუხა სნაიპერმა. – სხვენი მაინტერესებს. აი, ჩემი მოწმობა. – ხელი ჩაიყო ხალათში.

– შემოდით, შემოდით, – გაიღიმა სახლმმართველმა, – კართან ხო არ ვიდგებით.

სნაიპერი ძალაუნებურად დაემორჩილა მის თხოვნას და ხელში განვდილი მოწმობით შეაბიჯა.

სახლმმართველმა სწრაფად გადაავლო თვალი საბუთს.

– გასაგებია. დამელოდეთ ერთი წუთით...

წამით გაუჩინარდა და გასაღებების აცმით დაბრუნდა.

– როცა გადაატრიალებთ, ზემოთ მიაწექით, კარი დამჯდარია. – თქვა და ერთი გასაღები ამოაძრო. – და ფრთხილად იყავით, ქვეყნის შუშები ყრია, დამსხვრეული.

სნაიპერმა თავი დაუქნია და გასაღები ხელთათმანში დამალა. სხვენის კარმა კაი ხანს აწვალა. სნაიპერი აწვებოდა, გასაღებს ატრიალებდა. ბოლოს მუხლი მოიშველია, მთელი ძალით მიაწვა და, როგორც იქნა, გააღო. სხვენზე ციოდა. სინესტის, ცემენტის და კატების შარდის სუნი იდგა.

სნაიპერმა გადააფურთხა. კარი დახურა და ფრთხილად მიუახლოვდა ფანჯარას. ფეხებქვეშ ნახშირის ნარჩენები ხრაშუნობდა. ფანჯრის მინამაც გაიწკარუნა, როცა

სნაიპერმა ფანჯარა გააღო. ბურგჩანთა მოიხსნა და ფეხებთან დადო. მერე ბუდიდან კარაბინი ამოიღო და ფრთხილად გადაიტანა სახურავზე.

თოვლით დაფარული შიფერიდან მტრედი აფრინდა, ფრთები დაატყლაშუნა და გაქრა.

სნაიპერმა ბურგჩანთა გახსნა. აღრიცხვის წიგნაკი და ტყვიებით სავსე ტილოს ტომსიკა ამოიღო.

ტომსიკა კარაბინთან ახლოს დადო, წიგნაკი კი ჩანიშნულ გვერდზე გადაშალა:

– ესეც ასე. – მალენკოვის მესამე გასასვლელი. კორპუსი 8, 9, 9”ა”... ოცდაათი.

ბურგჩანთიდან კალამი ამოიღო, წიგნაკში ჩადო და სახურავის წვერზე ავიდა.

ისევ თოვდა, მაგრამ უფრო მეჩხერად და წვრილად. დათოვლილი შიფერი გულგრილად ჭრიალებდა ფეხქვეშ. სნაიპერმა კარაბინი მარცხენა მხარზე გადაიტანა და წიგნაკით და ტომსიკით ხელში ფრთხილად დაეშვა ქვემოთ – სახურავის კიდისკენ, სადაც წყალსაწრეტს თუნუქის პარაპეტი გასდევდა დაჟანგული მავთულის კიდეებით.

სნაიპერი წყალსაწრეტთან წამოწვა, ტომსიკიდან ზეთით გაპოხილი მჭიდი ამოიღო და კარაბინში ჩასვა. მერე ზამშის ნაჭრით გულმოდგინედ განმინდა ოპტიკური სამიზნის ლინზა.

– 8, 9, 9”ა”... – მერვე, მეცხრე”ა” და მეცხრე კორპუსებს შორის ღია ებოს გახედა, ტუჩები დაამრგვალა და ნელა ამოისუნთქა.

უშველებელი ეზო იყო. შუაში ხის მოაჯირით შემოღობილი სასრილო მოეწყოთ ბავშვებისთვის, იქვე გრანიტის სოკოები იდგა, ისეთი, საბავშვო მოედნებსა და სკვერებში რომ დგამენ ხოლმე.

სნაიპერმა წიგნაკი გადაშალა.

მალენკოვის მესამე გასასვლელი. კორპუსი N8, 9, 9”ა” – ამ წარწერის ქვემოთ, ფურცლის ბადეზე ოცდაათი კვადრათი იყო შემოხაზული.

სნაიპერმა ლულა დაუშვა, კონდახი მკერდზე მიიღო. ეზოში უკვე ჩანდა ხალხი – სასრილოზე, მოედანზე და გარაჟებთან. ის ოპტიკური სამიზნედან უყურებდა მათ. აი, ერთი დგას. სიღრმეში კი მეორე გამოჩნდა, რომელიც მანქანის ქვეშ შეძვრა, მის უკან კიდევ სამნი დგანან.

სნაიპერმა მზერა ამ სამზე შეაჩერა. მაგრამ სამიზნეში ქალი მოექცა. მსუქანი იყო, მწვანე პალტო ეცვა და მიდიოდა, ხელში ბიდონი და პროდუქტებით სავსე ბადურა ეჭირა. სნაიპერმა ლულა მის ყავისფერ კაშნებზე შეაჩერა. სუნთქვა შეიკრა და გამოკრა.

გაისმა ნაცნობი ყრუ ხმა: პდუმ! კარაბინმა მხარზე უბიძგა.

ქალი შექანდა, მერე თითქოს ფეხები მოემტვრაო, ერთბაშად დაეცა. ცარიელი ბიდონი ასფალტზე გაგორდა, წამის დაგვიანებით მისწვდა სნაიპერის ყურს მისი რაკარუკი. იმ სამმა კაცმა ქალთან მიირბინა.

სნაიპერმა დაიცადა, სანამ ისინი გვამთან ჩაიჩოქებდნენ და მერე ერთ-ერთს კეფაში ესროლა. იმ ორმა ხელი დაავლო მას და გარაჟისკენ გათრევა დაუპირა, მაგრამ ორიოდ ნაბიჯში კიდევ ერთი დაეცა, მეორემ კი მუცელზე იტაცა ხელი.

ვინც გარაჟთან, მანქანის ქვეშ იყო შემძვრალი, გამოფორთხდა და წაქცეულებისკენ გავარდა. მაღალი და ქერათმიანი კაცი იყო. სნაიპერმა მას თავში დაუმიზნა და გამოკრა. ქერა დაეცა, თითქოს უხილავი ჩაქუჩი ჩაარტყესო. მაგრამ უცებ წამოხტა, ორივე ხელი მკერდზე იტაცა, რამდენიმე მეტრი გაირობინა, სკამს დაემხო და მერე თავით ჩაერჭო მიწას.

სნაიპერმა მჭიდი გამოცვალა. შემოხაზულ კუბიკებში ხუთი აკურატული პლუსი დასვა. ამასობაში თოვა თითქმის შეწყდა. მეჩხერი ფიფქები წიგნაკს ეცემოდნენ, სნაიპერის ახლოს ტრიალებდნენ ან სახურავის მიღმა უჩინარდებოდნენ.

მოპირდაპირე სახლის სადარბაზოდან ქალი და კაცი გამოვიდნენ. სნაიპერმა დაუმიზნა. კაცი მოკლე ქურქში და ფუმფულა თეთრ ქუდში იყო გამოწყობილი. ქალისთვის ხელი ჩაეკიდა და რალაცაზე გამალებული ესაუბრებოდა, თან იღიმებოდა და მეორე ხელით ჟესტიკულირებდა. ქალიც ღიმილით უსმენდა და სახეს ბენვის საყელოში მალავდა.

სნაიპერმა კაცის თეთრ ქუდს დაუმიზნა და გაისროლა.

პდუმ!

ის შეირხა და დაეცა. ქალი უცებ შედგა, ჩანთა გაუვარდა. მისი ყვირილი დაგვიანებით მოვიდა სნაიპერამდე. ტყვია ბურგში მოხვდა.

პდუმ! გზაზე ჩამოჯდა და ნელა გადაგორდა გვერდზე.

ორი მოხუცი ქალი გამოჩნდა. გაოგნებულნი მიაჩერდნენ მწოლიარეებს. ლულა ერთ-ერთის ნაცრისფერ ყელსახვევზე შეჩერდა.

პდუმ!

მოხუცი ხელებგაშლილი დაეცა. მეორემ დაიყვირა და რალაცნაირად, მოუხერხებლად გაიქცა სახლისკენ.

პდუმ!

მოხუცი გვერდულად წავიდა, თითქოს ფეხები გადაემტვრა და დაეცა.

ეზოში წითელი “მოსკვიჩი” შემოვიდა. გარაჟებისკენ გაუხვია. მოკლულებთან გაჩერდა. გაიღო კარი და ლურჯსვიტერიანი მსუქანი კაცი გადმოვიდა, დახოცილებთან მიირბინა. სისხლის გუბე რომ დაინახა, გაფითრებულ სახეზე ხელისგული მიიღო. პდუმ!

მსუქანმა პირი დააღო, თავი გადაუვარდა. მკერდზე გაჩენილი პანია ნახვრეტიდან სისხლმა ამოასხა. ნელა გადაიხარა უკან. თითქოს “ხიდის” გაკეთება უნდაო, მერე უცებ გაშეშდა და გადავარდა. ფეხები უმწეოდ გააქნია, გახელილი თვალებით კი უაზროდ მიაჩერდა ცას.

სნაიპერმა მჭიდი გამოცვალა და ხუთი ახალი პლუსი დასვა.

სადღაც ახლოს რალაც ყრუ ბგერა გაიგონა. სავარაუდოდ, სარკმელი გააღო ვილაცამ. იმავე წამს რადიოს ხმა გაისმა. მკვეთრი, დამცინავი ხმის ტემბრით და ხშირი ერთობლივი სიცილით თუ ვიმსჯელებთ, რაიკინის<sup>[24]</sup> გამოსვლას გადმოსცემდნენ.

სნაიპერმა მუჭით ცოტა თოვლი აიღო და პირში ჩაიტენა.

დახოცილ წყვილთან ორმა მიირბინა: მოხუცმა კაცმა – მაისურ-პიჟამაში და ხანშიშესულმა ქალმა – გახსნილი ხალათით.



კაცი პირველი მივარდა. მოკლულ ქალს ეცა, გაშეშებული სახე თავისკენ მიიბრუნა და შეჰყვირა:

– საშა! საშა! საშენკა!

მისი ჩახლეჩილი ხმა სნაიპერს მისწვდა.

ქალმაც მიირბინა, კაცი გასწია და მოკლულს ქურქზე ისტერიულად დაუნყო ხელების სმა. მოხუცი მუხლებზე დაეცა. ხელისგულები თავზე იტაცა.

პდუმ!

შეირხა. კეფაზე მუქი წითელი ლაქა გამოჩნდა, თავი არ აუნევია, ისე გადავარდა გვერდზე.

პდუმ!

რამდენიმე წამში მისმა თანხმლებმა ქალმა სახეზე წაივლო ხელები. დანაოჭებულ მტევნებში მალე გამოჟონა სისხლმა. ის პირდაპირ მოკლულ ქალს დაეცა.

სნაიპერმა ახლა ფანჯრები ამოიღო მიზანში. ერთ-ერთ სარკმელში ფარდა გაწიეს. ახალგაზრდა გოგონამ შეშფოთებულმა გაიხედა ეზოსკენ.

პდუმ!

ის დაეცა. მინაზე პატარა ხვრელი დარჩა.

მეორე ქალმა სარკმელი გახსნა. გადმოეყუდა და რალაც დაუყვირა ქვემოთ მყოფთ. ხელისგულები შეღებულ ტუჩებთან მიეტანა.

პდუმ!

ყვირილი ტუჩებთან შეეყინა. წინ გადმოიხარა, თითქოს გადმოხტომა უნდაო. თვალები დამრგვალებოდა. პირიდან სისხლი გამოუვიდა და ხელებზე ჩამოეღვარა. ბურგიდან

მაღალმა მამაკაცმა მოირბინა, მხრებში ხელი ჩაავლო ქალს. პდუმ! მამაკაცი გაქრა.

რაიკინმა რაღაც გრძელი ფრაზა წარმოთქვა და სიცილი დაიწყო. დიდხანს იცინოდა. მერე უცებ, ჩუმად, რაღაც შეკითხვა დასვა. დარბაზი ახმაურდა. მან ისევ დასვა შეკითხვა – უფრო ხმამაღლა. დარბაზი კიდევ უფრო ახმაურდა. მერე ისევ ალაპარაკდა. სნაიპერმა ისევ დასვა პლუსები.

მოხუცი ქალი სამმა ადამიანმა ხელში აიყვანა და სადარბაზოსკენ წაიღო. სხვა ოთხმა მეორე მოხუცი აიყვანა. სნაიპერმა ამ ოთხიდან ერთი – მაღალი, მხარბეჭიანი ბიჭი ამოარჩია და კეფაში მიუშვა. ბიჭი თოვლში ჩაჯდა. წამით ხელები მოაფათურა, უცებ წამოდგა და წინ გაიჭრა. მაგრამ ფეხები აღარ დაემორჩილა და დაეცა.

რაიკინი ლაპარაკობდა სწრაფად. ხალხი სიცილს ვერ ასწრებდა.

სნაიპერმა კიდევ ერთი ბიჭი ამოარჩია. ესროლა. ტყვიამ თავთან გაიარა და მეორეს ფეხში მოხვდა.

– ფუ, შენი!... – ჩაიბურტყუნა სნაიპერმა და დაჭრილს ბოლო მოუღო. რაიკინმა ისევ დაიწყო სიცილი. დაასლოკინა და ბოლო სიტყვა წარმოთქვა. დარბაზის ემოციები სიმღერამ, “დილა მშვიდობისა” ჩაახშო. შემდეგ კი დიქტორი მხნე და საზეიმო ხმით დაემშვიდობა რადიომსმენელებს.

მოხუცი ქალი უკვე შეაფარეს სადარბაზოს. ლურჯპალტოიან ქალს კარი ეჭირა. ორ კაცს კი რწევარწევით მიჰყავდა მოკლული ბებო. პდუმ!

უკანა მამაკაცი დაეცა.

პდუმ! მეორე მოკლულ ბებოს დაემხო. ლურჯპალტოიანი ქალი სადარბაზოში დაიმალა, მაგრამ იმავე წამს გამოიხედა, ხელი წაავლო მომაკვდავს. პდუმ! ის შეირყა და მამაკაცს დაეცა. სნაიპერმა პლუსები დასვა. ხუთილა დარჩა შესავსები. ხელი ტომსიკაში ჩაყო. მჭიდი ამოიღო, მაგრამ გაუსხლტა, წყალსანრეტზე დაეცა და სახურავს იქით გადავარდა.

– ესლა მაკლდა!..

მჭიდი ქვემოთ ეგდო და პანანინა შავ წერტილად მოჩანდა. სნაიპერმა სამიზნეში გაიხედა. დააკვირდა. კი, ეგაა. ამოიღო ახალი მჭიდი და ისევ ჩაიხედა ეზოში. არავინ იყო. ოციოდე გვამი მუქად ეტყობოდა თოვლს. გარაჟებთან ძალლი დარბოდა. ჰაერს ყნოსავდა და იყეფებოდა, თუმცა გვამებთან მიახლოებას ვერ ბედავდა.

სნაიპერმა ფანჯრების თვალიერება დაიწყო.

თითქმის ყველა სარკმელი ყრუდ იყო დაკეტილი. ერთ-ერთში ფარდა შეირხა. სნაიპერი გაირინდა. ფარდა ცოტათი გაწიეს და სიბნელიდან ხანშიშესული, სათვალისანი სახე გამოჩნდა. პდუმ!

ფარდა შეირხა. სახე გაქრა.

სნაიპერი ისევ დააკვირდა ფანჯრებს. ქვემოთ გუგუნი გაისმა. გვერდითი სახლიდან ეზოში რუხი “ვოლგა” შემოვიდა. მოკლულ ბიჭთან გაჩერდა. ორი კარი ერთდროულად გაიღო და იქიდან წითელქურთუკიანი კაცი და ქურქიანი ქალი გადმოხტნენ. კაცი შეეცადა, გადმოებრუნებინა მკვდარი ბიჭი. ქალი შიშით მიუახლოვდა, ხელები პირზე აიფარა და უცებ თავი შეერხა. პდუმ! მსუბუქად შეჰკვივლა და გზაზე ჩაიკეცა. პდუმ! კაცი იქვე გადავარდა. ფეხები მუცლისკენ მიიზიდა და ზურგზე

გადავარდა. სნაიპერმა ისევ აიღო მუჭით თოვლი და პირში ჩაიტენა.

ზემოდან ფრთების ფართხუნის ხმა მოისმა. მტრედი იქვე ახლოს ჩამოჯდა და სულელი თვალებით მიაშტერდა სნაიპერს. სნაიპერმა თოვლის გუნდა ესროლა. მტრედი გაფრინდა.

შორს, სადღაც ქვემოთ კარი მიჯახუნდა. რამდენიმე ხანში გზაზე ადამიანის ფიგურა გამოჩნდა. სნაიპერმა დაუმიზნა. ტროტუარზე სახლმმართველი მიაბიჯებდა. ის ჯერ სამ გვამს გადააწყდა. ამოიოხრა და ფანჯრებს ახედა. სპორტულქურთუკიანი კაცი ისევ ბურგზე იწვა. “ვოლგის” კარი ისევ გახსნილი იყო და მოტორიც გუგუნებდა. სახლმმართველმა გვამთან ჩაიმუხლა. მერე წამოდგა. გასწორდა და თავი გადააქნია. სნაიპერმა მიზანში აიყვანა, ის-ის იყო, უნდა გამოეკრა, რომ გასაღები გაახსენდა და არ გაისროლა.

სახლმმართველმა გზა გააგრძელა. შენობის კუთხესთან საშუალო სიმაღლის მოხუცს დაეჯახა, რომელსაც ჩანთა ეჭირა და რომელმაც მხნედ გადმოუხვია კუთხიდან ეზოსკენ. მოხუცმა სახლმმართველს ხალისიანად გაუწოდა ხელი, მაგრამ მან რაღაც სერიოზული უთხრა და ეზოსკენ გააქნია თავი. მოხუცმა თვალები დაქაჩა. სახლმმართველმა ისევ უთხრა რაღაც. მოხუცი შეძრწუნებული უსმენდა და მის მხარს მიღმა ცდილობდა, დაენახა, რა ხდებოდა ეზოში. სნაიპერმა მისი კეფა მიზანში ამოიღო და სასხლეთს დააწვა. პდუმ!

მოხუცს გაქუცული, ყურებიანი ქუდი მოსძვრა. შეშინებული ჩამოჯდა. მერე უცებ წამოხტა და გაიქცა. პდუმ!

ტყვიამ მხართან გაუარა. მოხუცი შენობის კუთხესთან გაუჩინარდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვა სახლმმართველიც. სნაიპერმა გადააფურთხა. ახალი მჭიდი ჩადო.

ეზო ისევ ცარიელი იყო. ძაღლი მოკლული ბიჭის ფეხებს ყნოსავდა.

სადღაც ქვემოდან ისმოდა, რომ ახალ ამბებს გადმოსცემდნენ.

ეზოში ბიჭუნა და გოგონა შემოვიდნენ. სნაიპერმა ისინი თავისი ოპტიკური სამიზნეთი დააფიქსირა. ისინი სასრიალოდ მოვიდნენ. ფეხები უცურავდათ. გოგონა ბიჭს ეყრდნობოდა. ის რაღაცას უყვებოდა. გოგო იცინოდა. ბერეტიდან კიკინები უქანავებდა. ისინი ხის მოაჯირზე გადაძვრნენ და ჩასრიალდნენ. ბიჭი – თავდაჯერებულად. გოგონა – სიფრთხილით.

სნაიპერმა ბიჭი ამოიღო მიზანში. პდუმ!

ბიჭი დაეცა. ფეხები გაასწორა. პირიდან სისხლი გადმოუვიდა. შეირხა და გვერდულად გადავარდა. გოგონამ მიირბინა.

პდუმ!

მან ხელები გაარხია და ყინულზე დაეცა. ბერეტი მოსძვრა და იქვე დავარდა.

სნაიპერმა ორი უკანასკნელი პლუსი მონიშნა. რიცხვი მიაწერა, ხელი მოაწერა და წიგნაკი დახურა. მერე კარაბინი დაშალა. ცარიელი ჰილბები შეაგროვა და ტომსიკაში ჩაყარა.

რადიოში რაღაც მუსიკას გადმოსცემდნენ. სნაიპერი ფანჯრიდან გადაძვრა, ტომსიკა და წიგნაკი ზურგჩანთაში ჩადო, კარაბინი თავის ბუდეში, მკერდიდან მინაბამბის

პატარა ნაჭერი მოიცილა და კართან მივიდა. გასაღები სახლმმართველის ცოლს გადასცა. თვითონ არ იყო სახლში.

ეზოში ვიღაცებს გადააწყდა, ისინი მოკლულ წყვილთან იდგნენ.

“ვოლგის” კარი ისევ გაღებული იყო, ძრავა მუშაობდა და რადიოს ხმაც დაბალზე მოისმოდა.

– კოშმარი! – ჩაიბურტყუნა მაღალმა, ფერმკრთალმა კაცმა და მშვიდად შეხედა მოახლოებულ სნაიპერს. რას ჰგავს ეს. ჰა? სადაა ჩვენი ნაქები მილიცია?! თხას კოდავს თუ რაშია საქმე?!

სნაიპერმა თანაგრძნობით დაუქნია თავი და გზა გააგრძელა.

შენობის ახლოს დაიხარა, აიღო თავისი მჭიდი და ჯიბეში ჩაიღო. გვერდით სახლის პირველ სართულზე მაღაზია იყო. პირდაპირ შესასვლელში ყიდდნენ სოსისებს. სნაიპერი რიგში ჩადგა. დაინახა, რომ პირდაპირ იმ მოხუცის უკან იდგა, ვისაც წელან ააცილა. ნახევარ საათში მოვიდა იმის რიგი. მან პირთამდე გაავსო ჩანთა სოსისებით. გამყიდველს სამი მანეთი და ექვსი კაპიკი მიაწოდა. გამყიდველმა ხურდა ძველ ჯამში ჩააგდო და სნაიპერისკენ შემობრუნდა.

– რამდენი?

– ერთი კილო. – უთხრა და წინასწარ მომზადებული ზურგჩანთა მოუმარჯვა.

რუსულიდან თარგმნა ლელა კოდალაშვილმა

ოფიციალური დოკუმენტი

## არიადნე ნაქსოსზე



ჩაიძი  
ნებდ  
ნენ  
თუ  
არა  
ტყუპ  
ები,  
მაშინ  
ვე  
აკეცა  
ვდა  
ხალი  
ჩას  
და

იატაკს დააყურადებდა. ხმა, მართალია, ოდნავ მოგუდულად, მაგრამ მაინც ატანდა საცხოვრებელი კორპუსის სართულებს შორის დატანებულ თბოსაიზოლაციო შრეებში. მაღალი ბგერები ბოლომდე სწვდებოდა სმენას, აი, დაბლები კი, სასიამოვნო ჟრუანტელს რომ ჰგვრიდა, ზოგჯერ საერთოდ იკარგებოდა. თვალებს მილულავდა და გაირინდებოდა ხოლმე, სანამ ტყუპების პატარა, შიშველი ტერფების ტყაპატყუპი არ გამოარკვევდა ამ ბურანიდან. ზღურბლზე იდგნენ ახალგამოდვიძებულები, შეშუპებული თვალებით, პირიდან გადმოსული ნერწყვის ძაფებითა და დაბრანული ლოყებით. ბავშვების გამჭოლი, ცინცხალი მზერა. დედის დარაჯები! მაშინვე დგებოდა, მუდამ ოდნავ დარცხვენილი, ცხვირებს მოხოცავდა, შარვლებს გაუსწორებდა ან ლამის ქოთნებზე დასვამდა. ამასობაში ქურაზე ბოსტნეულის სუპი



თუხთუხებდა. მანონი დედდებოდა. წყვილი ნამცეცა პირი მონდომებით უსინჯავდა გემოს გარემომცველ სამყაროს.

დღემდე ვერაფრით გადაეწყვიტა, სასეირნოდ წასვლის წინ ჯერ ბავშვებისთვის ჩაეცმია და მერე თვითონ ჩაეცვა, თუ პირიქით. ბავშვებისთვის რომ ჩაეცმია, იცოდა, მის მოლოდინში ქუდებს მოიძრობდნენ და ფეხსაცმელების ზონრებიც უმაღვე გაეხსნებოდათ. თვითონ ჩაეცვა და, სანამ პატარებს ქურთუკებს შეუკრავდა, ოფლში გაღვითქულს, ის მსუბუქი მაკიაჟიც უმოწყალოდ ჩამოადნებოდა სახეზე. ჩანდა, ამ საქმიდან გამოსავალი ჯერ ვერავის მოეძებნა. ამიტომ იქცეოდა ხოლმე სასეირნოდ წასვლა დღის ყველაზე სტრატეგიულ მომენტად – გამოცდად სისწრაფესა და გონებამახვილობაში, მსოფლიოს ტაქტიკურად დაპყრობის მცდელობად, მისი მართვის მანიფესტად.

ცხადია, ერჩივნა, ლიფტით ესარგებლა, მაგრამ მაშინ იმ კართან გავლაზე უნდა ეთქვა უარი. თუმცა იქ სასეირო არაფერი ხდებოდა, ერთი ჩვეულებრივი რუხი ფერის კარი იყო, სადარბაზოსკენ მომართული სათვალთვალო ხვრელით. იმ შუშის თვალის წინ საგანგებოდ შეანელებდა ხოლმე ნაბიჯს, სმენას დაძაბავდა, ელოდა, შემოესმებოდა თუ არა ალმასივით გამჭვირვალე, კრიალა მელოდიის მსუბუქ ძაფად გაბმული ნაცნობი ბგერები. არა, სეირნობის დრო არ ემთხვეოდა სიმღერისას. შესაძლოა, სწორედ მაშინ იღებდა ქალი აბაზანას, ან მეგობრებთან საუბარში გართული ტელეფონზე ეკიდა, ან სულაც ჭურჭელს რეცხავდა.

მის სართულზე იძახებდა ლიფტს. დაბლა ჩასული ბიჭუნებს საბავშვო ეტლში ტენიდა და გზას აგროძელებდა. ჯერ ქუჩას გაუყვებოდა ნაპირ-ნაპირ სკვერამდე, იქ შადრევანს ორ

წრეს დაარტყამდა და მერე პარკისკენ გასწევდა ქვიშაში სათამაშოდ ან, უბრალოდ, სასეირნოდ. ყვავილნარების ირგვილივ ბაჭბაჭი, წაბლის შეგროვება, ჩამოცვენილი ფოთლების აკრეფა და დიდ თაიგულად შეკვრა, ბავშვებთან საუბარი – წყვეტილი, დუნე, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული. მერე კი, პატარები კალთიდან რომ ჩამოაფორთხდებოდნენ და ცოტა ხნით თავისით ერთობოდნენ – სასიამოვნო დუმილი. შინ დასაბრუნებელი გზა მაღაზიების გასწვრივ გადის. მათი თანმიმდევრობა უკვე ზეპირად იცის: ჯერ ფეხსაცმლის, მერე საყოფაცხოვრებო ნივთებისა, მერე ბარი „კოლორი“, დელიკატესები. თვითონ საყიდლებზე ყველანაირი საქონლით სავსე მაღაზიაში დადის, დელიკატესებმა რომ არ აცდუნონ და მხოლოდ აუცილებელი შეიძინოს, თან სულ ერთსა და იმავეში. საბავშვო ეტლის სახელურებზე ჩამოკონწიალებული სავსე ცელოფნის პარკები ეტლის წონასწორობას არღვევს. ასეთ დროს ბორდიურებზე უნდა იფრთხილოს ხოლმე. მერე ტყუპების საბავშვო ეტლი და სანოვაგით სავსე პარკები როგორმე ლიფტში უნდა შეატიოს და მეცხრე სართულზე ავიდეს. კარში გასაღების გადატრიალება და ბავშვების, სარეცხი ფხვნილის, მოხარშული ბოსტნეულის მიძინებული ნაცნობი სუნები ისევ იღვიძებს.

ერთი სართულით ქვემოთ ამ დროსაც სინყნარე სუფევდა. მთელი კორპუსი ისეთ სიჩუმეს მოეცვა, თითქოს, მათ, ვინც დილით ბინიდან არ გამოდიოდა, ნაშუადღევს ჯერ კიდევ ეძინათ. ცდილობდა, ეს ადამიანები წარმოედგინა. ერთიმეორეს ზემოთ და გასწვრივ, გიგანტურ რუბიკის კუბიკში გამომწყვდეულები, პანანინა სამზარეულოებში შეკეტილები, გასაშლელ მაგიდებს იდაყვებით დაყრდნობილები, ცხელი სუპის ღრმა თეფშებს

ჩაშტერებულები, სადილის შემდეგ მისი მონელებით დაკავებულები, ან შუადღის ძილს მინებებულები, რომელიც მათ ფიქრებს ერთმანეთთან შეუთავსებელ, მოუხეშავ ფრაგმენტებად ანაწევრებდა. რა თქმა უნდა, კორპუსში ცარიელი ბინაც ბევრი იყო – მათი წარმოდგენა უფრო უჭირდა – დილაადრიან ნაჩქარევად მიტოვებული, მოუწესრიგებელი, ჩართული რადიატორებით გადახურებული ბინები, სადაც მხოლოდ მტვრის ნაწილაკები და ფარფატებდნენ.

ჯერ ჭამდნენ ტყუპები. მერე ღამის ქოთნებზე ისხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათთან ერთად დივანზე იჯდა და უძალო, დაღლილი ხმით უკითხავდა უკვე კარგად ნაცნობ ზღაპარს. პატარები უსმენდნენ და ჭერში იყურებოდნენ, მთლიანად ზღაპარში ჩაფლულები. ჯერ დუნედ ათვალიერებდნენ აქა-იქ შრეებად დაბზარულ საღებავს, მერე თვალები ეხუჭებოდათ, თუმცა ბოლომდე არა. ნახევრად მილულული ქუთუთოებიდან შიგადაშიგ მოუსვენრად კრთებოდნენ გუგები.

მეზობელი სწორედ ამ დროს იწყებდა სიმღერას.

ასე სინქრონულად თანაარსებობდნენ. მათი ცხოვრების რიტმი იდუმალი ძალით ემთხვეოდა ერთმანეთს, ემორჩილებოდა დროის უხილავ ქარგას. ქალი ფრთხილად ჩამოდგამდა ფეხებს დივანიდან, თითის წვერებით გაირბენდა მეორე ოთახამდე, ხალიჩას გადასწევდა და იატაკზე განწვებოდა სიმღერის მოსასმენად.

მეზობელი გამებით იწყებდა. ზოგჯერ ხანგრძლივად ვარჯიშობდა ასე, ზოგჯერ ცოტა ხანს – სანამ ყელს გაითბობდა. მისი ხმა თითქოს უხილავი კიბის საფეხურებზე ადი-ჩადიოდა, მსუბუქად, მრგვალად გადადიოდა ბგერიდან ბგერაზე, თითქოს მეტალის ჯაჭვის

რგოლებს მარცვლავდა. ქალს ეჩვენებოდა, რომ იქ, იატაკის ქვეშ, ჟელატინის რბილი, ფერადი ბურთები ჩნდებოდნენ, მერე კი, მეორე ისე ნარნარად იწყებდა ახალ მელოდიას, თითქოს აბრეშუმის, ხავერდის, ნაზი, გამჭვირვალე შიფონის და მოელვარე ფარჩის ქსოვილების ფერად გრაგნილებს შლიდა. მელოდია ძალდაუტანებლად მოიწვევდა ზემოთ, უხილავი აჩრდილივით დალივლივებდა რამდენიმე ბინაში. იატაკზე მიყურადებული ამას უფრო გრძნობით აღიქვამდა, ვიდრე სმენით. ყური მისი სხეულის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო. მკერდი, მუცელი, კიდურები სულაც არ იყვნენ ნაკლები მსმენელები. კანქვეშ მძიმედ თრთოდნენ ნერვები. სხეული სულ უფრო და უფრო რბილი და დამყოლი ხდებოდა.

ყველა ნაწარმოების ამოცნობა შეეძლო უკვე, პირველივე ნოტებიდანვე ხვდებოდა, რას მოისმენდა, თორემ არიების ნამდვილი სახელწოდებებისა არაფერი გაეგებოდა. „ეს ძალიან ლამაზია“, „ეს ის არის, ძალიან სევდიანი“, „ეს...ეს რაღაც უცნაურია“, – ახსენებდა საკუთარ თავს. მეზობელი ხანდახან მოულოდნელად ჩერდებოდა და ერთსა და იმავე ფრაზას მომაბეზრებელი სიბეჯითითა და სიჭიუტით მრავალჯერ იმეორებდა. ზედა სართულის იატაკზე განოლილი ამ განმეორებებს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მომღერალი ფირფიტასავით ერთ ადგილზე გაიჭედა, თითქოს ისიც მექანიკური მოწყობილობა იყო. იქნებ არც ცდებოდა, იქნებ ეს ანგელოზებრივი ხმა მართლაც თოჯინას ამოსდიოდა, რომელსაც კაბის ქვეშ მოსამართი მექანიზმი ჰქონდა ჩადგმული?

თანდათან გახშირდა ლიფტების ზევით-ქვევით სიარულის ხმები. კორპუსი ნელ-ნელა იღვიძებდა შუადღის ძილიდან. ისმოდა კარების ჯახუნი და ნაგავსაყრელი მიწებიდან

გამოსული ხრიალის ხმები. კიბეებზე ჟრიამულობდნენ სკოლიდან დაბრუნებული მეზობლის ბავშვები. კორპუსის წინ მდგარ მანქანაში თავისით ირთვებოდა სიგნალიზაცია. ვიღაცასთან განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. ჩხაკუნებდნენ გასაღებები. ტყუპები ისევ იღვიძებდნენ. ამჯერად გახეხილი ვაშლისა და ორცხობილას დრო იყო, ან სტაფილოსი, ან ატმის მუსის, ან ომლეტისა. საჭირო იყო სინათლის ანთებაც. ჯერ სამზარეულოში, მერე ოთახებში. სარეცხი მანქანა ბავშვის საფენების დღიურ ულუფას ითხოვდა. მხოლოდ მეზობელს აჩუმებდა გამოცოცხლებული საღამო. დღე თავის ლიანდაგზე იდგა. ახლა საღამოს უნდა ერბინა დიდი მეტრონომის თანხლებით, თანაბრად, რიტმულად, წუთიდან წუთში, საათიდან საათში.

ამასობაში ქმარიც ბრუნდებოდა სახლში – გრძელ, მუქ ლურჯ ლაბადას შემოსასვლელში კიდებდა, ხელებს იბანდა, ბიჭებს კალთაში ისვამდა, ქალს კი ტუჩებში კოცნიდა. შეუმჩნევლად ირთვებოდა ტელევიზორიც. სამზარეულოს პატარა მაგიდასთან სადილობდნენ. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ახალ ბინაში ლამაზი სასადილო ოთახი გვექნებაო, ჰპირდებოდა კაცი.

კვირაში ერთხელ კინოში დადიოდნენ. ამასაც მეტრონომი კარნახობდათ. ტყუპებისთვის მომვლელ გოგონას იძახებდნენ. ბავშვები არ ჭირვეულობდნენ. არც სახლიდან გასულ მშობლებს ეტირებოდნენ, მათი დაბრუნებისას კი უკვე ღრმად ეძინათ. კინოს შემდეგ სადმე სავახშმოდაც სხდებოდნენ. ამ დროს, როგორც წესი, თითქმის ყველაფერი დაკეტილი იყო, ამიტომ ხშირ შემთხვევაში რომელიმე თურქულ ბარში შედიოდნენ და პლასტმასის თეფშებიდან შაურმას ჭამდნენ.

არა, ამას თვალთვალ არ ერქვა. თვალთვალ  
მეტისმეტად გაზვიადებული სიტყვაა. უბრალოდ, ასე  
მოხდა, რომ კარგად შისწავლა მომღერლის დღის განრიგი.  
იცოდა, რომ დილაობით სახლში იყო, მაგრამ მისი ბინიდან  
ჩამიჩუმი არ ისმოდა. შუადღისკენ სიმღერას იწყებდა, მერე  
კი ისევ სიჩუმე ისადგურებდა. მოგვიანებით, დაახლოებით  
სამისკენ, კიდევ ერთხელ მღეროდა, ხანდახან ერთი, ხანაც  
ორი საათი, და მერეღა გადიოდა სახლიდან. მანამდე  
იატაკზე განოლილი მსმენელი ახლა მეცხრე სართულის  
ფანჯარასთან იდგა და მის გამოჩენას ელოდა. მეზობელი  
ენერგიულად მიაბიჯებდა და მოცეკვავესავით ოდნავ გან-  
გან ადგამდა ტერფებს. სქელი, შავი და ხვეული თმის  
ნაწილი ნაჩქარევად აეკრიფა კეფაზე, ნაწილი კი მხრებზე  
ეყარა. გრძელსა და ფართო ლაბადებს იცვამდა, ქვეშ კი  
რაიმე მოკლესა და ვიწროს, ყოველთვის ცივ ფერს  
ირჩევდა – ჟოლოსფერს, ინდიგოს, იისფერს. ეზოში  
ჩასული, პატარა, შავ მანაქანაში ჯდებოდა და კორპუსებს  
შორის უჩინარდებოდა. შინ დაბრუნებული არასოდეს  
დაუნახავს ტყუპების დედას. ალბათ გვიან ბრუნდებოდა და  
იმიტომ.

როგორღაც შეძლო და ისე შეცვალა დღის განრიგი, რომ  
მეზობლის სახლიდან გასვლის დროს თვითონაც კორპუსის  
წინ გაშენებულ სკვერში გაესირნებინა ბავშვები. ბიჭები  
ქვიშაში თამაშობდნენ, მას კი მზერა ხან ბავშვების  
თავებიდან სადარბაზოს კარზე გადაჰქონდა და ხან –  
პირიქით. ხედავდა, როგორ იღებდა ხოლმე ხმადაბალი  
ღიღინით ჩანთიდან მანქანის გასაღებს, ერთხანს ხელში  
ათამაშებდა, მერე კი საჭირო ღილაკს თითს დააჭერდა და  
მანქანაც მყისვე გაეპასუხებოდა ჩუმი წრიპინით და  
ანთებული ფარებით. ჩანთას უდარდელად უკანა  
სავარძელზე მიაგდებდა და მიდიოდა. ქრებოდა.

ეზოში დარჩენილი ქალი ბავშვებს ხელს დაავლებდა და შინ ბრუნდებოდა.

ცოტა ხანში მეზობლის სახლიდან გასვლის დროც დაადგინა. ზოგჯერ მაინც ასცდებოდა ხოლმე, როგორც ჩანს, ქალი განსაკუთრებული პუნქტუალობით არ გამოირჩეოდა. როდესაც ყველაფერი გეგმის მიხედვით ხდებოდა, ტროტუარზე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯერ სრულიად გულგრილად – დღის განმავლობაში ხომ იმდენ უცხო ადამიანს ვუქცევთ გვერდს, იმდენ სახეს, ლაბადას, ფეხსაცმელს, პორტფელს და ხელჩანთას. გარკვეული ხნის შემდეგ ერთმანეთის შეთვალეობაც დაიწყო. ნელ-ნელა გაჩნდა ერთმანეთისთვის გამეტებული ღიმილის ჩანასახიც. ბოლოს, როგორც იქნა, მეზობელმა, გამარჯობაო, უთხრა. განითლდა და მორცხვად უპასუხა. ქალმა ენერგიულად ჩაუარა გვერდით და ნაზი, ყვავილის სურნელი დატოვა.

ასე განვლო წელიწადის კიდევ ორმა დრომ ოდესღაც თეთრი საღებავით შეფეთებულ, ახლა კი ჭუჭყისფერ კორპუსებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდნენ.

ზაფხულში ქალი შიშმა შეიპყრო, რომ მეზობელი სადმე გაემგზავრებოდა და იატაკზე განოლილი მის სიმღერას ვეღარ მოისმენდა. თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდებოდა. ხომ არ შეიძლება მთელი ცხოვრება ერთ ადგილას გაატარო, მით უმეტეს, როდესაც მომღერალი ხარ. ერთხელ მთელი თვით გაუჩინარდა და მათი კორპუსი, მიუხედავად ლიფტების გაუთავებელი ხრიგინისა, ნაგავსაყრელების ხმამალალი გმინვისა, კიბეზე ასწრებაში ერთმანეთს დაჯიბრებული ბავშვების ნაბიჯების არპეჯიოებისა, საზარლად დაცარიელდა, გამოყრუვდა და

მასში ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. აი, მაშინ კი თვითონ ითხოვდა ქმრისგან დაპირებების ორმაგ ულუფას – სიმწვანეში მდგარი სახლი უნდოდა, დიდი სასადილო ოთახით და ბაღში გამავალი ტერასით. ქმარიც ისევ ჰპირდებოდა, მაგრამ ქალმა რაღაც უცნაური კანონზომიერებით იცოდა, რომ ის ვერასოდეს აუხდენდა ამ გულისნადილს. მხოლოდ მაშინ, როდესაც კაცი ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ რძით სავსე მის ძუძუებში ჩარგავდა სახეს, ქალი უცბად ძალების მოზღვავენას გრძნობდა; ხვდებოდა, რომ თვითონ იყო სხვისი თავშესაფარი, ადიდებულ წყალზე გადებული ხიდი, სულაც “ტრანსატლანტიკი“, რაც მართლაც არ იყო ურიგო შეგრძნება, მაგრამ დაძინებით მაინც იმედგაცრუებული იძინებდა. იმედგაცრუებული იმით, რომ არ შეეძლო თავის თავს თვითონ ჩახუტებოდა, საკუთარი თავი თავისსავე მკლავზე გადაერწია და ამის გამო ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, რომ საკუთარი თავისთვის მხოლოდ ტვირთი იყო, ერთგვარი საპყრობილე, თავისივე ნეკნებისგან აგებული გალია.

შაბათობით, როდესაც ქმარს ბავშვებთან დარჩენა შეეძლო, მარტო მიდიოდა საყიდლებზე. დიდ, გორგოლაჭებიან ჩანთას აიღებდა და მიაგორებდა ტროტუარის ოღროჩოღრო ფილებზე. მიდიოდა და გორგოლაჭების ხმაურს ღიღინს აყოლებდა, მეორე ხმას უძებნიდა მათ მიერ გამოცემულ რიტმულ “მელოდიას“. მოასფალტებული ქუჩის გადაკვეთისას ეს რიტმი იკარგებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მაღაზიების წინ დაგებულ ქვაფენილზე ისევ გაისმოდა. “ეს გორგოლაჭებიანი ჩანთა გრამოფონის ნემსია, რომელიც მდუმარე ზედაპირებში დამალულ მუსიკას წარმოაჩენს“, – ფიქრობდა თავისთვის. გზად ბეტონის ბორდიურებიც



ხვდებოდა, რომლებზე ჩანთის აგორებაც ვიოლინოზე ხემის ჩამოსმას ჰგავდა. იყო ქვაფენილის ნერვიული დაფდაფებიც ძველ ქუჩაზე, ბოსტნეულის მაღაზიის წინ, საყვირების რბილი დუდუნიც მაღაზიების გასასვლელებში, ფაგოტების რბილი ხავერდი მრავალი ფეხის მიერ გატკეპნილ ბილიკებზე, დიდი ჩანთის ქვეშ სხვადასხვა ხმით მღეროდა ქვიშა, ხრეში, ქვა, ასფალტი და ბეტონი და მისგან ხმის აყოლებას ითხოვდა, მაგრამ მას მხოლოდ საწყალი კნავილი ან უხეში ხრიალი ამოსდიოდა პირიდან. “ეჰ, განა ასე არ არის, – ჩაეკითხებოდა ხოლმე თავს, – ადამიანი როგორც შენსავე მკერდს ვერ მიეყრდნობი, ისევე შენ შინაგან ხმას გარედან ვერ მოუსმენ. არა, არავისაც არა აქვს ნიჭი საკუთარი თავის სამყაროს თვალთ დანახვისა, საკუთარი ხმის სამყაროს ყურით გაგონებისა და საკუთარი სხეულის მისი ხელებით შეხებისა.“

– ნახე, – უთხრა ქმარს, – ბადრიჯანი ვიყიდე, კომბოსტო, ვაშლი და ქლიავიც მოვიტანე.

და ეს მუსიკალური ფრაზასავით, მისამღერივით რამდენჯერმე გაიმეორა. ტყუპები ამასობაში მონუსხულებივით ათვალეირებდნენ სიმინდის ტაროს დაკრეჭილ, ყვითელ კბილებს.

ერთ ნაშუადღევს, დიდი ყოყმანის შემდეგ, გაბედა და ერთი სართულით დაბლა მდებარე ბინის კარზე დააკაკუნა. კარი გაიღო. მეზობელს არც გაკვირვება გამოჰხატვია სახეზე, არც არაფერი უთქვამს. ქალმა აუჩქარებლად, გამოკვეთილად წარმოთქვა წინასწარ დაბეპირებული წინადადების თითოეული სიტყვა:

– ბ. მქვია და მესმის ხოლმე როგორ მღერით. თქვენს ზემოთ ვცხოვრობ და...

შინ შეიპატიჟა.

მიუხედავად ერთნაირი ფორმისა და ზომისა, მათი ბინები მაინც საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ოთახსა და სამზარეულოს გამყოფი კედელი არ ჰქონდა და ალბათ ამიტომ, სულ სხვა აკუსტიკა ჰქონდა აქაურობას.

ნათურების ქალაქის აბაჟურები ოთახებს მკრთალ, რძისფერ შუქს ჰფენდნენ. კედელზე ნახატივით ეკიდა უზარმაზარი თეთრი ტილო. ქალს თვალში მოხვდა ხის ძალიან პრიალა იატაკი, ოთახის ყვავილების ვერცხლისფერი ბუსუსებით დაფარული ფოთლები.

მეზობელმა თმა შეისწორა – შავი, სქელი, ხვეული და კეფაზე დაუდევრად აკრეფილი. ბ-ს შეხედა, დააკვირდა. ალბათ ასაკის გამოცნობა უნდოდა, რადგან ბოლოს შენობით მიმართა:

– ანუ, ჩემს ზემოთ ცხოვრობ. ტყუპები გყავს, ხომ? იდენტურები.

– არ არიან იდენტურები, – შეეპასუხა.

– ეს მართო დედებმა იციან ხოლმე.

უხერხულად დუმდნენ. ბ. ავეჯს ათვალიერებდა – მსუბუქსა და სადას. არადა, ხავერდის ფარდებს მოელოდა, მძიმე დივანს, სქელ ხალიჩას და კედელზე გაკრულ რომელიმე ცხოველის ტყავს.

– აბა, რით შემოიძლია დაგეხმარო? ერთი ჭიქა მარილი გჭირდება? შაქარი? იქნებ ორი კვერცხი? – თითქოს სადღაც სხეულის სიღრმიდან ამოხეთქა მეზობლის სიცილმა. შეუძლებელი იყო, ეს სიცილი არ გადაგდებოდა.

ბ.-ც აჰყვა.

– არა, არაფრის სასესხებლად არ მოვსულვარ. უბრალოდ, მინდოდა მეთქვა, რომ გისმენ ხოლმე.

– ასე ამოდის ხმა? – გულწრფელად შეწუხდა მეზობელი.

– არა, რას ამბობ! ულამაზესია. შენი ხმაც და ისიც, რასაც მღერი.

მადლობა გადაუხადა უფასო კონცერტებისთვის. მეზობელმა მოიბოდიშა, ალბათ, ბავშვებს ვაღვიძებო. ბ-მ უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა. რას ამბობ? ისეთი სასიამოვნოა, – თქვა და გასასვლელ კარს მიაშურა.

მეზობელმა ჩაი შესთავაზა. ბ-მ გაიფიქრა, რომ ბავშვებს კიდევ ნახევარი საათი მაინც ეძინებოდათ და დათანხმდა. ბართან, მაღალფეხიან სკამზე ჩამოჯდა. მასპინძელმა ფაიფურის ჩაიდან შემოდგა. შავი, პრიალა პარკიდან გრძელ, თან დახვეულ ფოთლებს ყრიდა შიგ, თან კითხვებს უსვამდა ბავშვებზე, მათ სახელებზე, მოსწონდა თუ არა ამ დასახლებაში ცხოვრება. ბ. მის ყოველ მოძრაობას დაკვირვებით ადევნებდა თვალს. ფინჯნების ხმაური. ცელოფნის ჭრაჭუნი და თეფშზე გადმოყრილი ნამცხვრის მადისაღმძვრელი ხმა. მეზობლის ხელები – დიდი და ძლიერი, გლუვი ვარდისფერი ფრჩხილები რძისფერი დაბოლოებებით. ფრანგული მანიკური. ფაიფურზე მოხვედრილი ფრჩხილის წკაპუნი. ადუღებული წყლის შიშინი.

იმაზე გაცილებით მაღალი და მოხდენილი ტანისა იყო, ვიდრე ბ-ს ეგონა. ლამაზი დეკოლტე. რუხი, რბილი ქსოვლისგან შეკერილი ზედატანი სავსე და ოდნავ ჭორფლიან მკერდს უფარავდა. ფეხზე თეთრი შალის წინდები აემოცვა. ტანსაცმლის ზომა 42, ფეხსაცმლისა,

ალბათ, 40, – გაიფიქრა ბ.-მ. იმ ნაწარმოებზე ჰკითხა, რომელსაც მეზობელი ბოლო დროს ხშირად მღეროდა. უნდოდა წაემღერა კიდევ ყურში ჩარჩენილი მელოდია. ის იყო ჩაისუნთქა, რომ უცბად მოეგო გონს და პირზე ხელი აიფარა.

– მიდი, მიდი, წაიღიღინე! – შეაგულიანა მეზობელმა ბავშვური ღიმილით, – ნუ გერიდება, წაიმღერე, წაიმღერე!

მაგრამ ბ.-ს არ შეეძლო. თითოთ ჩამოაკაკუნა მელოდია მაგიდაზე.

– აჰ, მგონი მივხვდი. ალბინონი.

ბ.-ს ეგონა, რომ მეზობელი ახლა თავად წაიმღერებდა, მაგრამ შეცდა. ჩაის სვამდა. საოცრება იყო, – იმ ყელით, რომლითაც მღეროდა, ახლა ჩაის სვამდა.

– ხო, ალბინონი, – გაიმეორა მეზობელმა.

კომპაქტური დისკების გრძელი მწკრივიდან ორი დისკი გამოძვრინა და გაუნოდა. ერთ-ერთს მისი სახე ეხატა. შუბერტი, მოცარტი, ვივალდი, – ამოიკითხა ბ.-მ. მეორეზე კი ეწერა „არიადნე ნაქსოსზე“, იოზეფ ჰაიდნი. საჩვენებელი თითი ფრთხილად გადაუსვა დისკის ჩასადებ პლასტმასის კეისს.

– აი, ამაზე ვმუშაობ.

მაგრამ ბ.-ს სიმღერები უფრო მოეწონა. შინ დაბრუნებულმა მაშინვე ჩადო დისკი საკრავში. რიკულებანი საწოლებიდან ნამძინარევი ტყუპები შესცქეროდნენ. მანონი ხილით. ნამცხვარი, რომლის ნოტიო ნაფხვენები მოგვიანებით წამოკრიფა ხალჩიდან.

– Sposa son disprezzata – მღეროდა მეზობელი კომპაქტური დისკიდან.

საღამოს ხელიც კი დაუქნიეს ერთმანეთს – ერთი აივანზე იდგა, მეორე – მანქანასთან.

მას შემდეგ ბ. ყოველ ღამე ელოდა მეზობლის დაბრუნებას. კონცერტები გვიან მთავრდებოდა, შემდეგ კი, როგორც მეზობელი ამბობდა, მეგობრებთან ჭიქა ღვინის დასალევად მიდიოდა ხოლმე. ჭამით გვიან აღარაფერს ვჭამო. ანუ ამ „ჭიქა ღვინის“ დაღევა გრძელდებოდა ხოლმე შუალამემდე, ხან კი უფრო გვიანობამდეც. ამ დროს ბ. ჯერ საწოლში, ქმრის გვერდით იწვა, რომელსაც ღრმად ეძინა და, ალბათ, სახლი ესიზმრებოდა, ფართო სასადილო ოთახით, მერე კი ფეხაკრეფით გამოდიოდა შემოსასვლელში, სადარბაზოდან შემომავალი ხმაურისთვის უკეთ რომ მიეყურადებინა. რამდენჯერმე გახდა კიდევ მისი შინ დაბრუნების მოწმე. ლიფტის ხმა, ჭრიალით გაღებული ლიფტის კარი, ჩანთიდან ამოღებული გასაღების ძლივს გასაგონი ჩხარუნი, რომელიც ჯერ ხელს ერგებოდა, მერე კი კარში მისთვის განკუთვნილ ჭუჭრუტანას. გასაღების საკეტში გადაბრუნება, საკეტის ენის განკაპუნება, კარის ჩუმი შეღება და აბსოლუტური სიჩუმის რამდენიმე წამი. ბოლოს კარის მიხურვის ხმა. ხანდახან კი იგივე და ამ ხმებს შერეული მამაკაცის ხმა, კარის დახურვამდე რამდენიმე წამით ადრე მოგუდული ხითხითი. მერე ისევ აბსოლუტური სიჩუმე, ხალიჩის აკეცვის და იატაკზე ყურის დადების ცდუნება.

ნაჩუქარი ფირფიტა თითქმის დაიბეპირა. გულში ხმას აყოლებდა და ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ახლა მისი ხმით თვითონ მღეროდა, თითქოს მისი ხმა ახლა ბ.-ს ყელიდან ამოდიოდა. ზოგჯერ საქმეში გართულს, დაუთოების ან დალაგების დროს, თავი ავიწყდებოდა და სიმღერას საკუთარ ხმასაც უერთებდა, მაგრამ მაშინვე ხვდებოდა, როგორ ამახინჯებდა ბგერებს, როგორ სრესდა და

აზიანებდა მათ, გეგონება ხეხავსო. შეცბუნებული მაშინვე გაიკმენდდა ხოლმე ხმას. მე ვმღეროდი, – ფიქრობდა.

– მიმღერე რამე, გთხოვ, – უთხრა ერთხელ, ფოლგის ქალაქდგადაფარებული თეფშით ღუმელში შემწვარი, სატენიანი ბადრიჯანი რომ ჩაუტანა შესანიშნავით.

მეზობელს, როგორც ჩანს, ესიამოვნა თხოვნა. მაშინვე დაიღვარა მისი ხმა ჰაერში, ჯერ წყნარად, ნაზად, ხავერდოვნად, მერე უფრო და უფრო მძლავრად და თავდაჯერებულად. მაშინ ბ.-მ მის მოშიშვლებულ დეკოლტეს შეავლო თვალი, თხელ, დაჭორფლილ კანს, ძუძუების ღარს შორის გაჩენილ ოდნავ შესამჩნევ ნაოჭებს, ქალაქდივით სიფრიფანა საბღვარს, რომლის ქვემოთაც სულ სხვა ბგერებით ათრთოლებული სიცოცხლე მიედინებოდა სხეულის ბნელსა და ნოტიო ლაბირინთებში. მაგრამ როდესაც მეზობელმა თვალები დახუჭა და თავისივე ბაგეებიდან ამოსულ ბგერებში გაუჩინარდა, ბ.-ს მოეჩვენა, რომ მის გულს ხედავდა, მის ძლიერ და ამავედროულად ძალიან მყიფე კუნთს, რომელიც თავდაუზოგავად ზომავდა დროსა და რიტმს, თითქოსდა მისი თავდაჯერებული კუმშვები, მისი ძალუმი ფეთქვა სხვა არაფერი იყო, გარდა თრთოლვისა, ცახცახისა, რომელსაც სიკვდილი ედო უფრო საფუძვლად, ვიდრე სიცოცხლე.

ბ.-ს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლო ამოხსნა და როგორც კი მეზობელი თვალს გაახელდა, მაშინვე შეიტყობდა ამას. ამიტომაც ერჩივნა, მისთვის მზერა აერიდებინა და რამე უსულო, გლუვი, მარტივი ამოელო სამიზნედ – მაგალითად, მაგიდის ზედაპირი ან რადიატორის იოლად გასაზომი, რიტმული კონკრეტულობა. არა, სულაც არ უნდოდა იმის აღმოჩენა, რომ ეს მისი სხეული, მისი კუნთები, სხეულის სიღრმეში

სამარადისო წესრიგით განლაგებული მისი დაჭიმული, მთრთოლავი ნაწილები, სათანადოდ აგებული ხორხი, გენეტიკურად დაპროექტებული სივრცეები, ხორცშესხმული სტვირები მღეროდნენ. გული – ქსოვილთა მორცხვი, ინტიმური გროვა, რომელიც სისხლს ატარებს. სხეულის სიღრმე – იდუმალების ჯადოსნური ხავერდი, ამაღელვებელი წარმოდგენა შეუხებლის თითის წვერებით შეხებისა – დრეკადი არტერიებისა, სიცოცხლით სავსე ჯიუტი ხრტილებისა, ფარული და მოძრავი ადგილებისა. გაცნობიერება ამ მყიფე სასწაულის არსებობისა. ვერაფრით აეხსნა, რატომ იყო მეზობლის გულის, მისი ხორციელების არსებობის უეჭველი ფაქტი მისთვის ერთდროულად ამაღელვებელიც და აუტანელიც. ნებისმიერი შესაძლო ტკივილის წარმოდგენა, რომელსაც ამ ჭორფლიანი კანის ქვეშ მოთავსებული მეტრონომის მუშაობის შეფერხება შეეძლო, ბ.-ს აუტანელი ტანჯვით ავსებდა. თვალები უნებურად ცრემლით ევსებოდა და მათი ხშირი ხამხამით ამის დამალვას ცდილობდა. მოუფრთხილდება ამ გულს, უცხო თვალს მოარიდებს. ქალაქგარეთ რომელიმე ბაღში ისეთ ადგილას ჩარგავს, რომ არასოდეს არაფერი მიეკაროს. ამ გულის მცველი გახდება. ფიქრობდა და იცოდა, რომ ბოდავდა. მუსიკის ბრალი იყო! როგორ შეიძლებოდა, ადამიანს გულის გარეშე ეცხოვრა!

ამასობაში მეზობელმა დაასრულა სიმღერა. ოდნავ წინ წახრილი დაღლილობას არ მალავდა. წარბი შეიჭმუნა, როდესაც მისი პირიდან ჩუმი, აბრეშუმით ბგერები გადმოდინდა. ხელი პირთან მიიტანა, თითქოს უნდოდა ამ ბგერებისთვის საბოლოო, იდეალური ფორმა მიეცა. მელოდია სრულიად მოულოდნელად იქცა სიჩუმედ. ისიც ადგილზე გაიყინა, თვალები გაახილა და გაიღიმა. მერე

ბადრიჭნის თეფში გარეცხა და უკვე კართან მომლოდინე ბ.-ს მიაწოდა.

კინოს ნაცვლად ბ. ახლა ოპერაში დაატარებდა ქმარს. ორივე რალაცნაირად, დაკარგულად გრძნობდა იქ თავს. მეზობელს შორიდან ხედავდა, მაგრამ ნაოჭაყრილ კაბებსა და მკვეთრ მაკიაჟში, რომელიც მის სახეზე წარბების, თვალებისა და პირის ურთიერთგანლაგებას ნილაბივით იდეალურ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული ლაქებით ცვლიდა, მაინც უფრო დიდი ეჩვენებოდა. მის ხმას უცხო, სმენად ქცეული ადამიანები ინაწილებდნენ. თითქოს გაბეთს ემსგავსებოდა, რომელიც ერთდროულად ბევრს ესაუბრება, მაგრამ პირადად არავის.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ ჩვეულებისამებრ თურქულ ბარში სხდებოდნენ სავახშმოდ, მერე კი მანქანით შინ ბრუნდებოდნენ, ჩაძინებულ დასახლებაში და ბ. ისევ ლიფტის ხმას აყურადებდა.

მომდევნო დღეს ისევ გადასწევდა ხოლმე ხალიჩის კიდეს, იატაკზე განვებოდა და გაირინდებოდა. ეს გაცილებით სჯობდა ოპერის თეატრში ჯდომას. ამასობაში სიტყვების გარჩევაც ისწავლა: „Teseo mio ben! Ove sei? Ove sei tu?“ ანდა შესაბრალის „Ah, di vedetti, o caro, ia mi stringe il desio“. ზღვის პირას მდგარი სასონარკვეთილი ქალის სახება. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ ერთი სართულით დაბლა ბინა კი არა, კლდოვანი ხომალდებით სავსე ზღვის სანაპირო იყო, რომლებიც ფარულად შორდებოდნენ სრუტეს; რომ იქ დამაბრმაველად ბრწყინავდა მზე და თავბრუდამხვევად ხმაურობდა ზღვა. მაგრამ, როდესაც მეზობელი კარს უღებდა, ყველაფერი პირვანდელ სახეს უბრუნდებოდა – ისევ ის მოხდენილი ქალი იყო, რომელსაც ბამბის რუხი



ზედა ეცვა, მის იატაკზე კი ქაღალდები იყო მიყრილ-  
მოყრილი.

– ისპანახიანი ბლინები მოგიტანე, – ამბობდა ბ., მაგრამ  
თვალებში დაუფარავი თხოვნა ედგა: „მიმღერე რამე.  
მიჩვენე, როგორ მღერიხარ. როგორ ახერხებ ასე მღერას.  
შენ რატომ გამოგდის, მე კი – არა! საიდან ამოგდის ეს ხმა?  
მე რატომ არ შემიძლია იგივე გავაკეთო, რატომ ვარ მე  
მკვდარი, შენ კი ცოცხალი?!“

მეზობელი ჭამდა და თან “არიადნეს“ მოახლოებულ  
პრემიერაზე უყვებოდა – რომ უკვე კოსტიუმს უკერავდნენ,  
ქათქათა თეთრ ტუნიკას, წელს ზემოთ, მკერდთან, ოქროს  
სართყლით; რომ თმებიც ბერძნულად ექნებოდა დახვეული  
და კეფაზე აკრეფილი, როგორც ქვისგან გამოკვეთილ  
ქაღალდმერთებს. სპილენძის სამაჯურები. უმაღური თესევსი,  
რომელიც აგერ უკვე მეათედ, მეასედ მიატოვებდა  
მინოტავრის სისხლით მოსვრილი ხმლითა და შებილწული  
ლაბირინთით. მერე კი ისევ ყოველდღიურობას  
დაუბრუნდება. ისე იცხოვრებენ ამ გაჩირალდნებულ  
სცენაზე, თითქოს ყოველ საღამოს ხელახლა კარგავდნენ  
მეხსიერებას. მოსახდენი მოხდება, თავისით, ყოველგვარი  
ცვლილების გარეშე, და მერე ისევ დასაწყისს  
დაუბრუნდებიან. მაგიაა ეს ყველაფერი. ჯადოსნობაა,  
გადაიტანო ამდენი მიტოვება, ფარულად წასვლა, გაპარვა,  
უსიტყვოდ გაუჩინარება. და რომ არიადნე სულ მალე  
ქვეყნის საზღვრებს გასცდება, დიდ ქალაქებს შემოივლის,  
უფრო დიდი სცენებს, რათა ყოველ საღამოს ხელახლა  
გაუტყდეს გული, ხელახლა განიცადოს მიტოვების  
ტკივილი მამაკაცისგან, სისხლში გასვრილი ხმალი რომ  
მოუღერებია.

– რა თქმა უნდა, გიმღერებ!

ჩართო კასეტა აკომპანიმენტით და ჩაის ფინჯნით ხელში დივანზე მჯდარმა წამოიწყო არია, მაგრამ მეორე ფორტეზე უცბად წამოდგა, ოთახში სიარულს მოჰყვა, ხელებს ჰაერში იქნევდა, მისი ხმა კი თრთოდა, ირხეოდა და ყველაფერს, რაც კი გარშემო იყო, პანანინა ქინძისთავებივით ერჭობოდა. თვალები დახუჭა თუ არა, ხმაც შეურბილდა. ამჯერად თითქოს ნივთებს ფაფუკი ფუნჯით უხილავი მტვრისგან ასუფთავებდა. ბ. ხედავდა, როგორ ეჭიმებოდა მეზობელს ყელის კუნთები, როგორ აუდ-ჩაუდიოდა ჭორფლიანი, თხელი კანით დაფარული მკერდი, სუნთქვა კი პედანტურად მართავდა ხმას. აი, მაშინ კი დაასკვნა ბ.-მ, რომ ვერასოდეს შეიტყობდა ამაზე მეტს მისი კანის, გულის, კუნთებისა და ხმის თავბრუდამხვევი ურთიერთკავშირის შესახებ და ამ დასკვნამ სასო წარუკვეთა. რომ ხორციელსა და არახორციელს შორის უზარმაზარი უფსკრულია, რომ ეს ორი სრულიად სხვადასხვა განზომილებაა, რომელიც მხოლოდ ასეთ მომენტებში ერწყმის ერთმანეთს, რომ მათ არასოდეს მიეცემათ ერთმანეთის შეხების, ერთმანეთის საზღვრების გადალახვის, ერთმანეთში შესვლისა და აღრევის საშუალება, რადგან მათ შორის არ არსებობს მსგავსება. მათ ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნება აქვთ. ცეცხლი და წყალი. მატერია და ანტიმატერია. და რომ თუკი ერთხელ მაინც შეესწარი მათი ასეთი უიმედო შეწყვილების სურვილს, მას შემდეგ მისი განმეორებით ხილვის მონატრება გაგანამებს. თითქოსდა, ერთხელ უკვე იყავი მათი შეუძლებელი ერთობის მოწმე. რომ უკან თავგადაწეული, თვალდახუჭული მომღერალიც იმავე მიზეზით იტანჯებოდა – წარბებს შორის პატარა ნაოჭი, ყელზე ორი პარალელური ხაზი. თავისებურად ყველაფერი გამიჯნული ერთმანეთისგან, ისე, როგორც ისინი, სამყაროს საპირისპირო კიდებზე მდგარნი.

მეზობელმა სიმღერა დაასრულა, მაგრამ თვალი არ გაუხელია. გაუნძრევლად იდგა სამზარეულოს ფონზე, თითქოს იმ სიჩუმით გაოცებული, რომლის შემოქმედიც თვითონვე იყო. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა ფეხაკრეფით თითის წვერებზე მდგარი ბ., ჭორფლიან მკერდზე თავი დაადო და გაიგონა, როგორ დადუმდა ბგერა მის კანქვეშ, სუნთქვად დაიშალა, ერთხანს კიდევ იბორიალა სხეულში და აორთქლდა, გაუჩინარდა. მეზობელი არ განძრეულა. მერე ფრთხილად შეეხო ბ.-ს სახეს და მიეფერა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ბ.-მ არიადნე პრემიერაზე ნახა, რამპის შუქზე გაბრწყინებული, არამინიერი. და კიდევ გაბეთებში, რადგან დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. დიდი ტურნეც დაიწყო. მეზობლის ბინაში სიჩუმემ დაისადგურა.

მისი გამგზავრების შემდეგ არა და აღარ დასრულდა შემოდგომა. ქალაქის თავზე ჯერ კიდევ თბილი ჰაერი ჩაგუბებულიყო, ამიტომაც ფოთლები ნელა ყვითლდებოდნენ და არც ცვენას ჩქარობდნენ. მზეც ყოველდღე გამოდიოდა, თითქოს ეს ანომალია მასაც აკვირვებდნენ, თუმცა დღითი დღე სულ უფრო კარგავდა ძალას და სუსტდებოდა. იქნებ, ალბათობის თეორიას თუ მოვიშველიებთ, ეს ის ერთადერთი წელიწადი იყოს ისტორიაში, როდესაც ზამთარი სულაც არ დადგება, უბრალოდ, სადღაც წყვდიადსა და რიჟრაჟს შორის გაიხიდება და ბერელედ მოყინავს ბალახის წვერებს. ყველაფერი ჰაერში გამოეკიდება და გაურკვეველი დარჩება ისიც – მოხდა უკვე რაც მოსახდენი იყო თუ... ჯერ ახლა უნდა დაიწყო ყველაფერი.

პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა



სტან  
ისლავ  
კ  
იგნაცი  
ვიტკ  
ევიჩი  
მამას  
თან  
ერთა  
დ

სტან

ისლავ იგნაცი ვიტკევიჩი 1885 წელს დაიბადა. ძალიან ცნობილი პოლონელი მხატვრის, მწერლის და კრიტიკოსის, სტანისლავ ვიტკევიჩის ოჯახში და 20-იანი წლების კრაკოვული მოდერნის ატმოსფეროში გაიზარდა. ნიჭის და საქმიანობის სფეროთა სიმრავლე მამისგან დაჰყვა. იგი იყო ექსპერიმენტატორი არაერთ დარგში, მათ შორის – ფოტოგრაფიაშიც. ექსპერიმენტირებდა ნარკოტიკებით, მის ნაწერებსა თუ არანაკლებ ცნობილ ნახატებში ეს იგრძნობა. მიიჩნევა 1920-30-იანი წლების პოლონური ავანგარდის “სამი მუშკეტერიდან” (ბრუნო შულცი, გომბროვიჩი) ერთ-ერთად. “სუფთა ფორმის“ კოცენფციის ავტორი. დრამატურგიაში მისმა ნამუშევრებმა საფუძველი შეუქმნა პოლონური ავანგარდული თეატრის გამორჩეულ მიღწევებს. მის გავლენას აღიარებდნენ ტადეუშ კანტორი და ეჟი გროტოვსკი. ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, ვიტკევიჩი უცვლელად ითვლება პოლონური თეატრისა და ლიტერატურის საკულტო ფიგურად.

ფატალიზმი, „კატასტროფიზმი“ – ეს იყო მისი ხედვა ხელოვნებაში, მისი, თუ შეიძლება ასე ითქვას,

გამორჩეული ესთეტიკური პრინციპი. პოლიტიკური ვითარება ისედაც იძლეოდა ამნაირი პერსპექტივის საფუძველს. 1918 წელს ხელახლა დამოუკიდებლობამოპოვებული და გაერთიანებული ქვეყნის მეზობლად ორი მონსტრი იკრებდა ძალას, ბოლშევიკური რუსეთი და ნაცისტური გერმანია. 1939 წელს, თითქმის ერთდროულად, ორივე ტოტალიტარული სახელმწიფო თითქმის ერთდროულად შეიჭრა პოლონეთის ტერიტორიაზე.

ისე მოხდა, რომ ბოლშევიკური რევოლუციის დროს ვიტკევიჩი რუსეთში იმყოფებოდა, საკუთარი თვალით იხილა ნგრევა, სისხლისღვრა, გამორჩეული სისატიკე. ნაცისტებს ცოლთან ერთად პოლონეთის აღმოსავლეთი მიწებისკენ (ახლა – დასავლეთ უკრაინა) გაექცა, პოლონეთში წითელი არმიის შესვლის მეორე დღეს კი ცოლთან ერთად თავი მოიკლა. ვიტკაცი განასახიერებს პოლონეთის ორი ომისშორისი სახელოვნებო თაობის ბედს. ორმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა პოლონეთს ათობით, შესაძლოა, ასობით გამორჩეული და ცნობილი ხელოვანი წაართვა.

**სტანისლავ იგნაცი ვიტკევიჩი**

## შიშველი და მონაზონი

**შეშლილი და მონაზონი ანუ არ არსებობს სიავე, მასზე უარეს ბოროტებად რომ არ იქცევა. (მოკლე პიესა სამ მოქმედებად და ოთხ სურათად)**

ედღვნება ყველა გიჟს ამ სამყაროში  
(ჩვენი სისტემის სხვა პლანეტებზე, ირმის ნახტომის და  
სხვა თანავარსკვლავედის პლანეტებზეც) და იან  
მეჩისლავესკის

### მოქმედი პირნი

მეჩისლავე ვალპურგი, 28 წლის. ძალიან ლამაზი,  
შესანიშნავი აღნაგობის მქონე მუქთმიანი მამაკაცი.  
მოუნესრიგებელი წვერ-ულვაში. გრძელი თმა. აცვია  
დამაწყნარებელი პერანგი (*camisole de force*). შეშლილი.  
პოეტი.

მონაზონი ანა, 22 წლის. ძალიან ქერა და ძალიან ლამაზი,  
ამასთან – ცოტა არ იყოს, „პირობითი“ სულიერების. აცვია  
მონაზვნის სამოსი ფანტასტიკური ელემენტებით. მკერდზე  
დიდი ჯაჭვით ჯვარი ჰკიდია.

მონაზონი ბარბარა, იღუმენია. სამოსი ისეთივე აცვია,  
როგორც მონაზონ ანას. 60 წლის. მათეიკოს<sup>[25]</sup>. ყაიდის  
დარბაისელი ქალი.

დოქ. იან ბურდიგელი, 35 წლისა. ფსიქიატრი, ნორმალური.  
მუქი ქერა წვერი, თეთრი ხალათი.

დოქ. ეფრაიმ გრუენი, 32 წლის. ფსიქოანალიტიკოსი,  
ფროიდის სკოლა. შავთმიანი ქერუბიმი, სემიტური ტიპი.  
თეთრი ხალათი.

*პროფ. ერნესტ ვალდორფი. შებერებული, ჭკუამხიარული ტიპი, 55-60 წლის. ხშირი ჭალარა თმა. მთლიანად გადაპარსული. ოქროს ბინოკლი. მეზღვაურის ტანისამოსი, ინგლისური.*

*ორი მსახური, ორი ველური წვერმოშვებული ბესტია. ალფრედ შავწვერა, უთმო.*

*პაფნუჩი წვერნითელი, თმიანი. აცვიათ დასაწყნარებელი პერანგები.*

*მოქმედება ხდება გიჟების საკანში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში „მკვდარი ყურცქვიტა“*

## **მოქმედება პირველი**

### **ბურდიგელი:**

ეს ჩვენი პაციენტია, ახლა ქლორალის და მორფინის დიდი დოზა აქვს გაკეთებული და სძინავს. უკურნებელ პაციენტებს თანდათანობით ვწამლავთ – ასეთი გასაიდუმლოებული წესი გვაქვს. თუმცა, შესაძლოა, მართალიც იყოს გრუენი. იმ შეუვალ ფსიქიატრებს არ მივეკუთვნები, ვისაც ტვინი სიახლეების მიმართ დახშული აქვს. ექსპერიმენტზე თანახმა ვარ, მითუმეტეს, რომ მხოლოდ მე კი არა, პროფესორმა ვალდორფმაც სრულად ამოწურა ყველა საშუალება. Dementia praecox თუ, დაო ანა, თქვენ მოახერხებთ – მე კი ეჭვი მეპარება – მისი, როგორც ფსიქოანალიტიკოსები იტყვიან, „კომპლექსის“ დაშლას, თუკი დედაო, თქვენ მაინც ჩააღწევთ მისი სულის მიუკვლევ, ბნელ ალაგებამდე, ასე ვთქვათ, „ფსიქოლოგიურ ტრავმამდე“, გრუენის ეს უდავო წარმატება მხოლოდ გამახარებს. ფსიქოანალიზს რაც შეეხება, კვლევის მისეულ მეთოდებს ვაღიარებ, მაგრამ მათ თერაპევტიულ ღირებულებაში მეპარება ეჭვი.



მხოლოდ ისეთებს თუ არგებთ, ვისაც შეუძლია, მთელი ცხოვრება იმკურნალოს. აი, სავარძელი.

### **მონაზონი ანა**

კეთილი, ბატონო ექიმო, მაგრამ კონკრეტულად რა მომეთხოვება? როგორ მივუდგე პრობლემას? ამის კითხვა კი დამავიწყდა: რა არის აქ ყველაზე მნიშვნელოვანი?

### **ბრუდიგელი**

არაფერი განსაკუთრებული, დაო ანა, ზედმეტად ნუ გაირჯებით. ინტუიციას მიენდეთ, თავისუფლად იმოქმედეთ, ისე, როგორც სინდისი გიკარნახებთ. ოღონდ მის სურვილს ნურასდროს დაჰყვებით. გასაგებია, დაო?

### **მონაზონი ანა**

ბატონო ექიმო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ სასულიერო პირს ესაუბრებით.

### **ბურდიგელი**

შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, დაო, ფორმალობაა, სხვა არაფერი. ახლა დაგტოვებთ. კიდევ ერთი რამ, რაც მინდოდა მეთქვა: გახსოვდეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი „კომპლექსის“ მიგნებაა – დავიწყებული შემთხვევის, რომელმაც ეს სულიერი გამოფიტვა გამოიწვია.

### **ვალპურგი**

ეს რა ჰალუცინაციაა? ასეთი რამ ჯერ არასდროს დამმართნია. რა ჯანდაბაა? ხმა ამოიღეთ.

### **მონაზონი ანა**

აჩრდილი არ ვარ. თქვენს მოსავლელად გამომგზავნეს.

### **ვალპურგი**

აჰა. ჩემს კეთილშობილ მეურვეთა ახალი ჩანაფიქრია.

ჯოჯობეთისკენ

მავალი ზრახვა

გონებას ვნებს.

სული ხომ არ ჩანს,

სულზე არავინ

არაფერს გკითხავს.

რა გქვიათ? ორი წელია, ქალი არ მინახავს.

**მონაზონი ანა**

ანა. ამ სახელით ვარ აღკვეცილი.

**ვალპურგი**

რაკი ეგრეა, დაო, გთხოვ, დასავით მაკოცე. მე თვითონ არ შემიძლია. რა ლამაზი ხარ. აჰ! ეს რა წამებაა!

**მონაზონი ანა**

აქ იმისთვის ვარ, დაქანცული სული რომ დაგიამოთ. მე, თავად, ცხოვრებას კარგა ხანია გავერიდე, ნუთუ, ბატონო, ჩემს სამოსს ვერ ხედავთ?

**ვალპურგი**

აჰ, ესე იგი, არ შეიძლება? დაგემორჩილებით, თავს მოვერევი. მოარული გვამი ვარ, დაო, ანა. მოვლა არ მჭირდება, სიკვდილს მოველი მხოლოდ.

**მონაზონი ანა**

მკვდარი ჩემზე უფრო ითქმის, ვიდრე თქვენზე. თქვენ კი გამოჯანმრთელდებით, მთელი ცხოვრება წინ გაქვთ.

## **ვალპურგი**

მონაზვნად რატომ აღიკვეცეთ? ასეთი ნორჩი ხართ ჯერ, ასეთი ლამაზი.

## **მონაზონი ანა**

ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

## **ვალპურგი**

უნდა ვილაპარაკო. იმ ქალს ჰგავხართ, ერთ დროს რომ ჩემთვის ყველაფერი იყო. თუმცა, შესაძლოა, მეჩვენება. ვისზეც ვამბობ, გარდაიცვალა.

## **მონაზონი ანა**

გარდაიცვალა?

## **ვალპურგი**

თქვენც გაქვთ გამოცდილი ცხოვრებაში რაღაც ამგვარი. დაგინახეთ თუ არა, მივხვდი ამას. ისიც მკვდარია? ხომ არ ვცდები?

## **მონაზონი ანა**

აჰ, ღვთის გულისათვის, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. მე უკვე ისედაც იმ ქვეყანას ვარ.

## **ვალპურგი**

მე კი – არ ვარ. როგორ მშურს იმ ქვეყნის, იმ სამყაროსი, თქვენ რომ სათქვენოდ აგირჩევიათ. მე აქ მომიწევს ცხოვრება, ამ საზარელ საპყრობილეში, სამყაროში, რომელიც ჩემმა ჯალათებმა მომისაჯეს და რომელიც მძულს. ჩემი ნამდვილი სამყარო ეს საათია, რომელიც თავში განუწყვეტლივ, ძილშიც კი მიწიკნიკებს. სიკვდილი ალბათ უკვე ათასჯერ მინატრია. მაგრამ ჩემთვის

სიკვდილიც არ შეიძლება. ასეთი კანონი მოქმედებს  
შეშლილების, უდანაშაულოდ ნატანჯი ადამიანების  
წინააღმდეგ. ისე გვანამებენ, როგორც ყველაზე დიდ  
ბოროტმოქმედებს.

ჩვენი სიკვდილი კი არ შეიძლება, იმიტომ რომ  
საზოგადოება კეთილია, მეტისმეტად კეთილი – ზრუნავს,  
რამენაირად ჩვენი უსასრულო ტანჯვა დროზე ადრე არ  
დასრულდეს. ჰაჰ! ეს ჰერანგი გამხადეთ, ეს წყეული!  
მახრჩობს! ხელები ლამის სახსრებში მაქვს  
ამოტრიალებული.

### **მონაზონი ანა**

არ შემიძლია. ექიმის ნებართვა არ მაქვს.

### **ვალპურგი**

მაშ, ჩემი ჯალათების თანაშემწე ყოფილხართ. კეთილი. აქ  
დაბრძანდით. ვისაუბროთ. დრო ბევრი გვაქვს. ოო, იმდენი  
დრო მაქვს! ოლონდ რით შევაგსო, ის არ ვიცი. ამ  
ფიქრებსაც აღარ ვიცი, რა მოვუხერხო.. რა მოვუხერხო..  
მანქანასავით უნდა ვიფიქრო, სხვა გზა არ დამიტოვებს...  
თავში ჯოჯოხეთური მანქანა მიმუშავებს. ოლონდ არც ვიცი,  
რომელი დღის რომელ საათამდეა დაქოქილი მისი  
მექანიზმი. არ ვიცი, როდის გაჩერდება. ველოდები.  
ხანდახან მეჩვენება, რომ წესით დიდხანს ველარ უნდა  
გაგრძელდეს ეს ტანჯვა. მაგრამ არა. გადის დღე, ღამე,  
ახალი დღე, ახალი ღამე, ისევ დღე, მერე ქლორალი,  
მორფიუმი, ძილი, კომმარული სიზმრებით სავსე, და ისევ  
ეს საშინელი გაღვიძება, იმის შეგრძნებით, რომ  
ყველაფერი ახლიდან უნდა განმეორდეს. აი, ასე,  
გამუდმებით, დაუსრულებლად...

### **მონაზონი ანა**

ასე ნუ ლაპარაკობთ. გთხოვთ, გემუდარებით, დამშვიდდით. თუ თქვენი დახმარება ვერ შევძელი, ექიმს ვთხოვ, ამ მოვალეობას ჩამომამშოროს.

### **ვალპურგი**

ო, არა! აქედან ვერსად გახვალთ! ბოდიშს გიხდით, დაო, სრულიად სად ჭკუაზე ვარ. საუბარს გავაგრძელებ, ახლავე დავმშვიდდები. გთხოვთ, გამიგეთ, ორი წელია, ქალი არ მინახავს.. გესმით, რაზე ვლაპარაკობ? თქვენ ვილაც დაკარგეთ. მეც. მომიყევით ეს ამბავი. თქვენის ნებართვით, თავს წარმოგიდგენთ – ვალპურგი. მეჩისლავ ვალპურგი.

### **მონაზონი ანა**

ვალპურგი? მაშ, მე და ჩემი საქმრო თურმე თქვენს ლექსებს ვკითხულობდით ერთად? აჰ, რა საშინელებაა! მადლობელი ვარ, რამდენი ბედნიერი წუთისთვის მქონია მადლობა სათქმელი! მაგრამ ყველაფერი იმდენად საშინლად დამთავრდა...

### **ვალპურგი**

იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ჩემს ლექსებს კითხულობდით. საბოლოოდ კი, არც არაფერი დასრულებულა. სამყარო ისევ ისე არსებობს, თითქოს არაფერი მომხდარა. მესამე ტომი ძალიანაც კარგია. ვიცე ეგ. მესამე ტომის შემდეგ აღმოვჩნდი აქ. სასმელი, მორფიუმი, კოკაინი – ბოლოს ეს ყველაფერი ასე დასრულდა. მანამდე კი ის უბედურება მოხდა.

### **მონაზონი ანა**

რატომ აკეთებდით ამას, ასეთი ნიჭის ადამიანი! თქვენნაირი ხელოვანი რომ ხარ, უდიდესი ბედნიერებაა.

### **ვალპურგი**

ბედნიერება! ტანჯვა! მინდოდა, ეს თასი ბოლომდე დამეცალა, მერე კი მოვმკვდარიყავი. მაგრამ არა. საზოგადოება კეთილია. გადამარჩინეს, რათა აქ წამებაში ამომხდეს სული. ეჰ, ექიმის დაწყევლილი ეთიკისა რა ვთქვი! ყველას ერთად გავჟუჟავდი! ჯალათებს! იცით, სკოლაში არტურ ფონ კლაისტის ბიოგრაფია ვისწავლეთ – “Er fuehrte ein Leben voll Irrtum...”. მაშინ ვერაფერი გავუგე. ახლა კი, ვერ წარმოიდგენთ, რა ზედმინწევნით მესმის.

## **მონაზონი ანა**

ნარკოტიკით თავს რატომ ინამლავდით? მიპასუხეთ, თუ შეიძლება. მე ეგ არ მესმის. როცა ასეთი ხელოვანი ხართ..

## **ვალპურგი**

რატომ? არ გესმით? “Meine Koerperschale konnte nicht meine Geistesglut aushalten.” ეს ვინ თქვა? ცეცხლმა ჩემი სულისამ ჩემი მიწიერი გარსი დაწვა. ახლა გესმით, ქალბატონო? ეს წყეული „რალაც“, რაც მანამდე მანწერინებდა, ჩემი ნერვების დაამებას არ არ ეყოფოდა. საიდანღაც ძალები უნდა შემემატებინა. თავი უნდა მომენამლა, დიახ. არ მინდოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი. ხოლო თუ ეს ძველი მექანიზმი, ძველისძველი, მისუსტებული მექანიზმი გადარეული ძალით ამოქმედდება, მას მერე ველარაფერი შეაჩერებს, მნიშვნელობა აღარ აქვს, ქმნი კიდევ რამეს თუ აღარ. ტვინმა ამოწურა თავი, მანქანა კი მუშაობას აგრძელებს. ამიტომ გიჟდებიან არტისტები. ფაბრიკის უზარმაზარი საამქრო წარმოიდგინეთ, მანქანები, რომლებსაც ადამიანები ველარ მართავენ. წითელი ისარი ცახცახებს თითოეულ მათგანზე, ყველაფერი მოუსავლეთისკენ მიქრის, ყველა მექანიზმი გადარეულივით რახრახებს.

## **მონაზონი ანა**

რატომ მთავრდება ყველაფერი ჩვენს დროში სწორედ ასე, და არა სხვაგვარად? ადრე ასე არ ხდებოდა.

### **ვალპურგი**

ადრე არ არსებობდა „ფორმით გაუმაძღრობის“ ცნება, ხელოვნება არ სცნობდა პერვერსიას. ცხოვრება არ იყო უსულო აპარატების უმიზნო მოძრაობა. საზოგადოება, როგორც მანქანა, არ არსებობდა. იყო ტანჯვისგან გათანგული პირუტყვების მიაზმები, რომლიდანაც დროდადრო დიდ-დიდი სურვილების, ძალისხმევის, შემოქმედებისა და სისასტიკის საოცარმა ყვავილებმა იცოდა ამოზრდა. მაგრამ ამ თემებს ნუ ჩავუღრმავდებით. სიცოცხლეზე ვილაპარაკოთ, ჩვენს ცხოვრებაზე. მეც ისეთივე ძლიერი სიბრაღული მაქვს თქვენდამი, როგორც თქვენ – ჩემ მიმართ.

## **მონაზონი ანა**

ღმერთო. ღმერთო, ღმერთო...

### **ვალპურგი**

თუმცა, კმარა. ხელოვნებაში სიდიადე მხოლოდ პერვერსიიდან და შეშლილობიდან რომ მომდინარეობს, ამას მხოლოდ ერთი მონაზონა აქვს და ახლა, რასაკვირველია, მე ფორმაზე ვსაუბრობ. მაგრამ ხელოვანს, და არა მტაცებელ აფთარს, მათი ფორმა მხოლოდ სიცოცხლესთან კავშირად წარმოუდგენია. ახლა კი – თქვენს თავზე მიაბეთ. [ის] ვინ იყო?

## **მონაზონი ანა**

ინჟინერი.

## **ვალპურგი**

არ გეგონოთ, არ გამცინებია. მხოლოდ მშურს მისი.  
ბორბალი ყოფილა იმ მანქანისა, და არა პატარა კენჭი  
ფოლადის დაკბილული ბორბლების ქვეშ. გააგრძელეთ!

## **მონაზონი ანა**

სიყვარულით მხოლოდ მე ვუყვარდი, მაგრამ ერთ... ერთ  
ქალთან ურთიერთობის დასრულება ვერ შეძლო. ეს კი  
რამენაირად უნდა დასრულებულიყო. და მან საფეთქელში  
იხალა ტყვია. მე მონასტერში წავედი.

## **ვალპურგი**

ბედნიერი! ნუ შეგებრალებათ. გამოდის, დღეს ინჟინერსაც  
კი შეიძლება ჰქონდეს ამნაირი პრობლემები. თქვენ კი  
ამის გამო... გაუგონარია. რატომ ადრე არ შევხვდით  
ერთმანეთს!

## **მონაზონი ანა**

რომც შევხვედროდით, რა მოხდებოდა? მეც ისევე  
შემიწირავდით ბოლოს, როგორც ის...

## **ვალპურგი**

საიდან იცით? ახლავე მითხარი, საიდან იცი? ეგ არავინ  
იცის. ვინ გითხრათ, ქალბატონო?

## **მონაზონი ანა**

მე ქალბატონი არ ვარ, მონაზონი ვარ.

## **ვალპურგი**

საიდან იცით, დაო, ეს ამბავი? მაინტერესებს. სრულიად  
მშვიდად გეკითხებით.



## მონაზონი ანა

ხომ გეუბნებით, თქვენი ლექსები ვიცოდი. ვიცი, ვინც ბრძანდებით და ახლა ვინ ხართ.

## ვალპურგი

აჰ. დიახ. გიჟის პერანგში გამოხვეული შეშლილი ვარ. ისე მარტივადაა ეს ყველაფერი. მაგრამ ასე მარტივად არ ხდება ისეთი რამეები, რაც ჩვენ ორს შორის მოხდა. არც ვიცი, ვინ ვისი მოკლულია. მან შემომწირა თავი. საბოლოოდ, მე არც ვარ დამნაშავე. ტვინის ანთებით გარდაიცვალა. ამიტომ არ ვიცი, მე მოვკალი ის თუ ის მკლავს ახლა ამ ნელი წამებით, დღითიდღე, მეთოდურად. მისი სიკვდილის შემდეგ დღიური ვუპოვე და მაშინ კი მივხვდი ყველაფერს: რა საშინლად, ჯოჯოხეთურად გამიტანჯავს. მაგრამ თავად სურდა ეს. თავიც ასე დაიღუპა. ახლა კი მე მკლავს. აჰ!!!

## მონაზონი ანა

მითხარით, აქ როგორ მოხვდით?

## ვალპურგი

მეტისმეტად სუსტი ნერვული სისტემა. კოკაინი. თავში მონიკნიკე საათი. ვინ ვისი მოკლულია. წამის მეასედში, შეიძლება, ორი იდეა მომივიდეს, ერთმანეთის საპირისპირო, როგორც ღმერთი და სატანა. საბოლოოდ, ცოტათი ლექსებიც. ალბათ, უკვე გამოაქვეყნეს. ჩემი და ამით ცხოვრობს. და მყავს – რომელიც მძულს. ცოტაც მომეტებული მძვინვარება. ჰოდა, აქ ამოვყავი თავი. აქ კი, ეგ ხომ ვიცით, არავინ გამოჯანმრთელებულა. თავადაც ხედავთ. კაცმა რომ თქვას, არაფერი მჭირს, მხოლოდ ეს მონიკნიკე მექანიზმი მაქვს თავში. აქ შემოსული ადამიანი

უკვე სამუდამოდ დაღუპულია, რადგან მკურნალობა მხოლოდ უმძიმებს მდგომარეობას. მათი მოტყუების ყველა მცდელობა ძვირად გიჯდება: მერე ჩაიდენ რამე სისულელეს, სულ პატარა მცდარ ნაბიჯს გადადგამ, და – სამუდამოდ ხარ აქ ჩარჩენილი.

## **მონაზონი ანა**

ახლა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, იმდენად უმნიშვნელო მეჩვენება... მწამდა იმის სიღიადის, უნიკალურობის, რაც მაშინ ჩემს თავს ხდებოდა. ახლა არაფერი აღარ შემომრჩა იმ განცდებიდან, მხოლოდ საზარელი, უიმედო სიცარიელე. მისი სული სამუდამოდ ჩამომშორდა.

## **ვალპურგი**

ჩამოგშორდათ, ოღონდ სირცხვილით. როგორ, თქვენი გულისთვის ვილაც მაიმუნი, რომელიღაც ჯოჯხეთის მაშხალა ვერ მიატოვა? რა გარეწრობაა!!! რაო? ზუსტად ვხვდები. არაფერი დიადი არ არის ამ ამბავში, მისი სიკვდილი გულისამრევი სისუსტე იყო. ვერ გაბედა – მერე და ვისთვის, თქვენთვის!!! გთხოვთ, ჩემს თავს შეეხეთ. იქნებ წუთით მაინც გაჩერდეს ეს საათი. ახლაც მეწერიდება თავში ლექსები, მაგრამ, ასე მგონია, ბევრად უარესები. ვერ ვწერ. თავის მოკვლა ხომ ფანქრითაც შეიძლება. დამუშავებასაც ვერ ვახერხებ, ამ დროს ახალი ლექსები მებადება. ცოტა ხანს გეჭიროთ ჩემი თავი, დაო. აა, ნეტავი მისი მოძრობა და აი მაგ კარადაში შემეძლოს შეგდება, ცოტა რომ დაესვენა. მაშინ მეც დავისვენებდი.

## **მონაზონი ანა**

დაისვენეთ. სულ ცოტათი მაინც. აი, ასე. ინებეთ.

## **ვალპურგი**

იქნებ ხელები გამიხსნათ. ახლა ხომ სრულიად დამშვიდებული ვარ.

## **მონაზონი ანა**

არ შემიძლია. ამას ნუ მთხოვთ, თუ შეიძლება. ექიმი არ...

## **ვალპურგი**

ექიმო? გინდათ, რომ ხელახლა გამოვიდე მდგომარეობიდან? აქ სულ ასე ხდება. თქვენც პირი გაქვთ მათთან შეკრული. ისტერიკამდე მიგიყვანენ, მერე – ამ პერანგში გამოგკოჭავენ. სულ ასე ხდება, ამას ბოლო არ უჩანს.

## **მონაზონი ანა**

ახლავე, ახლავე... ვიცი... ყველაფერს აზრი აქვს დაკარგული. გავაკეთებ, რასაც მთხოვთ.

## **ვალპურგი**

ახლა კი თავისუფალი ვარ.

## **მონაზონი ანა**

ოღონდ პირობა უნდა მომცეთ, რომ მეტს აღარაფერს ჩაიდენთ.

## **ვალპურგი**

არაფერს, მხოლოდ იმას, რაც სულ მცირედით მაინც გაგვაბედნიერებს. თქვენ ერთადერთი ქალი ხართ სამყაროში. იმიტომ კი არა, რომ, სულ შემთხვევით, პირველი ქალი გამოდექით, ვინც მე ამ ორი წლის განმავლობაში მინახავს. მართლა ასეა, ერთადერთი ხართ. როცა თქვენთან ვარ, ჩემთვის სხვა არაფერი არსებობს:

მთელი ჩემი წარსული, ეს საპყრობილე, წამება – ყველაფერი დავინყებას მიეცა. ვგრძნობ, კიდევ დავწერ რამეს, ყველაფერი წინაა თითქოს.

### **მონაზონი ანა**

მეშინია. ეს ყველაფერი შიშისმომგვრელი მეჩვენება. არ მომიახლოვდეთ, გთხოვთ.

### **ვალპურგი**

ნუთუ გგონია, რომ რამეს დაგიშავებ? გგონია, ისე დავეცემი, ძალით გაკოცებ? მიყვარხარ. დამიჯერე. თავი ხელში მიჭრავს, მენდე. ერთადერთი ხარ. და ეს წუთიც ერთადერთია. წუთი, რომელიც არასდროს დაბრუნდება; ისევე, როგორც სხვა დანარჩენი. იგი მხოლოდ ერთხელ არსებობს, და მასში უნდა აღსრულდეს ყველაფერი, რაც ამ ქვეყნიერებაზე უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად დარჩება მხოლოდ დანაშაული, რომელიც თავისი შხამით დაწამლავს თაობებს უსასრულოდ. მაკოცე. რა გქვია?

### **მონაზონი ანა**

ალინა.

### **ვალპურგი**

ალინა, შენც გიყვარვარ. არ გეგონოს, რომ ყოველთვის ასეთი უშნო ვიყავი. ადრე არც წვერი მექონდა, არც უღვაში. მაგრამ მერე მუცელზე სამართებლის დასმა დავაპირე და მას მერე აღარ მპარსავენ.

### **მონაზონი ანა**

გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ. მიყვარხართ. მთელს მსოფლიოში ვერავის ვხედავ, თქვენ გარდა. მარადიული ტანჯვის შიშიც კი ვერ...

## **ვალპურგი**

მარადიული ტანჯვა არ არსებობს, არის მხოლოდ სასრული სასჯელი და ნუგეში. შენ მაკოცე, მე ვერ გავბედავ...

## **მონაზონი ანა**

ოღონდ ეს არა, ოღონდ ეს არა! მეშინია...

## **ვალპურგი**

უნდა გადალახო. ეს წუთი არასოდეს განმეორდება...

## **მოქმედება მეორე**

## **მონაზონი ანა**

ახლა ისევ უნდა შეგბოჭო. რა საშინელებაა! მაგრამ ეს დაიტოვე. მე მისი ტარების უფლება აღარ მაქვს. ავგარობად გქონდეს. ილუმენიის საგანგებო ნებართვით მეკიდა გულზე. დედაჩემისგან მერგო ეს ჯვარი.

## **ვალპურგი**

გმადლობ, ალინა. მადლობა შენ ყველაფრისთვის. ნეტავი აქ ქალაქი და ფანქარი მქონდეს, მაგრამ ვერცერთხელ ვერ მოვიპოვე ამის უფლება. იცი, მხოლოდ ახლა, როცა შენ გიყვარვარ, მივხვდი, რაოდენ დიდი და ღრმა იყო ჩემი უბედურება. წუხელ საოცარ ბედნიერებად მეჩვენა შენი თმის კოცნა. დღეს, როცა ჩემი ხარ, არაფერი მაშინებს. აქედან გასვლა მინდა, ამ წვერ-ულვაშის მოპარსვა, კარგად ჩაცმა, უნინდებურად. სიცოცხლე მინდა, ძველებურად ცხოვრება მინდა. არა, აქედან უნდა გავიდე. შენ მომეცი ძალა ყველაფრის გადალახვის. აქედან ორივე ერთად გავალთ.

## **მონაზონი ანა**

მეც ამას ვგრძნობ. მეც აღარ ვარ გუშინდელი მონაზონი.  
ჩვეულებრივი, მშვიდი ცხოვრება მინდა. იმდენი ვიტანჯე.

### **ვალპურგი**

შენ კი ნამდვილად გახვალ. შენ ხომ არ ხარ  
დატყვევებული. არ მიღალატო, ალინა. ის ექიმი  
ბურდიგელი ჩემი ყველაზე დიდი მტერია. ისევ გრუენი  
მირჩევნია, თუმცა, ეგეც საშინელი პირუტყვია. ხომ არ  
მიღალატებ? მეშინია, რომ შენში ვნება გავალვიძე, და თუ  
ერთხანს არ ვნახეთ ერთმანეთი, სხვა მოგეწონება.

### **მონაზონი ანა**

მიყვარხარ. შენ, ერთადერთი, მთელი ცხოვრება მეყვარები.  
მე თვითონ დავრჩებოდი აქ, ოღონდ კი შენ შეგძლებოდა  
აქედან გასვლა. ჩემს ამ სიყვარულში მთავარი შენ ხარ. შენ  
კი ის უნდა აღასრულო, რისთვისაც ხარ დაბადებული.

### **ვალპურგი**

საბრალო პატარა. შენ გამო შიში მიპყრობს. რაღაც ძალაა  
ჩემში, რომელზეც მე არ მაქვს ძალაუფლება. ჩვეული  
გაგებით, ნება არ მაქვს. ჩემზე, თუ ჩემში, რაღაც უზენაესი  
ძალა მეფობს, რომელიც იმას მიშვრება, რაც მოესურვება.

### **მონაზონი ანა**

ეს შემოქმედება. შეიძლება, ღმერთია. ის შეგვინდობს.  
დედაჩემიც, თუმცა კი წმინდა ქალი იყო.

### **ვალპურგი**

მოიცადე, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს შენთვის.  
მეჩვენება, რომ მე მოვკალი ის. მაგრამ ვერ წარმოიდგენ,  
როგორ...

### **მონაზონი ანა**

ახლა ნუ იტყვი. ნუ ლაპარაკობ. ჩაიცვი მხოლოდ.  
წუთინუთზე შეიძლება მოვიდნენ...

### **ვალპურგი**

არაფერი შეცვლილა შენთვის? ისე უცნაურად ლაპარაკობ,  
თითქოს უცებ წაგერთვა ჩემი სიყვარული.

### **მონაზონი ანა**

არა და არა. მხოლოდ მეშინია. ჩვენი ბედნიერების გამო  
მეშინია. ახლა კი დაწევი და თავი მოიმძინარე. სწრაფად.

### **ვალპურგი**

გახსოვდეს, არ მიღალატო. თვლა ჭირს, ამ ქვეყნად იმდენი  
კარგად ჩაცმული მამაძაღლი დაიარება.

### **მონაზონი ანა**

სისულელეებს ნუ ამბობ. ჩუ! მგონი, მოდიან.

### **ვალპურგი**

ვწვები და თავს ვიმძინარებ.

### **მონაზონი ანა**

სავარძელში ჯდება და ლოცვას იწყებს. კარის რაბა  
იხსნება და შემოდის ბურდიგელი. მას იღუმენია ბარბარა  
და გრუენი მოჰყვებიან.

### **გრუენი**

შეგიძლიათ, დარჩეთ.

### **ბურდიგელი**

აბა, როგორაა საქმეები?

### **მონაზონი ანა**

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. კარგად.

## **ბურდიგელი**

ამდენი ხანია, სძინავს?

## **მონაზონი ანა**

არა, ერთხელ გაიღვიძა. საკმაოდ გამართულად მეტყველებდა. თავისი ცხოვრების ამბებს მიყვებოდა. არ ვიცოდი, თურმე ეს ყოფილა ცნობილი ვალპურგი. შემდეგ მშვიდად დაიძინა. მეორედ აღარ გაუღვიძია.

## **გრუენი**

ხომ გეუბნებოდით! კომპლექსის გახსნა იწყება. მეორეჯერ დაიძინა თავისით, ქლორალის მიუშველებლად. თქვენ შეხვედრით ასეთი რამ პრაქტიკაში, კოლეგა?

## **ბურდიგელი**

მე – არასდროს. ქლორალი არასდროს გამომიყენებია. თუმცა, ეს მართლაც საინტერესო ფაქტია, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ სიშლეგის ფაზა აქვს. ყური მიგდეთ, გრუენ: მე წინასწარი განწყობებისა და მიკერძოებებისაგან თავისუფალი ვარ. თუ თქვენი მეთოდის გამოცდა გსურთ, ინებეთ, ხელს არ შეგიშლით. თანახმა ვარ. მეტსაც გეტყვით, გულწრფელად: ფსიქოანალიზისადმი თანდათანობით ნდობით ვიმსჭვალე. გითმობთ ამ პაციენტს. თქვენს თეორიებში ეროტიზმი ჭარბობს. ეს ერთადერთი რამაა, რაც მე, ცოტა არ იყოს, მეხამუშება.

## **გრუენი**

ეროტიზმი ძალიან მნიშვნელოვანია, კოლეგა(ვ). ყველა კომპლექსი ამ სფეროდან მოდის. ნება მომეცით, პაციენტი



გავაღვიძო.

## **ბურდიგელი**

რასაკვირველია.

## **გრუენი**

ვალპურგ! გესმით ჩემი? მე ვარ, გრუენი.

## **ვალპურგი**

აჰ, თქვენ ხართ, ექიმო? დიდი ხანია, არ მინახავხართ. მიყვარს თქვენთან საუბარი. რატომ არ მიდიოდით? ალბათ, ბურდიგელმა აგიკრძალათ.

## **გრუენი**

სულაც არა. თქვენი თავი მე დამითმო. ახლა კი ნამდვილად განგკურნავთ. როგორ იმოქმედა თქვენზე მონაზონ ანასთან საუბარმა? ეგ ჩემი იდეა იყო.

## **ვალპურგი**

არაჩვეულებრივად. მშვენიერი ადამიანია. ასე საოცრად არასდროს მიგრძვნია თავი, ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებშიც კი. წერის სურვილი გამიჩნდა.

## **გრუენი**

შესანიშნავია. დღესვე მიიღებთ ფანქარს და ქალაქს. წიგნებსაც. რა წიგნები გნებავთ?

## **ვალპურგი**

ტადეუმ მიჩინსკის ყველა ნაწერი და ჰუსერლის “Logische Untersuchungen”-ის მეორე ტომი. თუ შესაძლებელია, მორეასიც მინდა. ჩემი ნაწერების მესამე ტომიც. არაჩვეულებრივად ვგრძნობ თავს. იქნებ იმ წარმოსადეგ

ქალბატონსაც წარუდგინოთ ჩემი თავი, მონაზვნის მოსასხამი რომ აცვია. თავადის ქალი ზავრატინსკაა, თუ არ მეშლება.

### **ილუმენია ბარბარა**

ბატონო ვალპურგ, მე და ბარბარა გახლავართ, ნებაყოფლობით მოწამე დათა ორდენის ილუმენია. გთხოვთ, კარგად დაიხსომოთ ეს.

### **გრუენი**

რაკი ერთმანეთს იცნობთ, ველარც წარდგენის საჭიროებას ვხედავ.

### **ვალპურგი**

გრუენ, იქნებ გამხადოთ ეს პერანგი, ბოლოს და ბოლოს? ძალა სრულიად გამომეცალა, თან სრულიად მშვიდად ვარ. რა სიშლეგებეა საუბარი. ორმოცი მაჩვივით გამოვიძინე.

### **ბურდიგელი**

არა, რას სჩადიხართ, ეგ კი აღარ მითქვამს! შეშლილის პატიოსან სიტყვას ვენდოთ? ვიცით, რას ნიშნავს ეს? ჯერ არავის გამოუცდია. შეკავებულმა სიშლეგემ კი ხანდახან გამორმაგებული ძალით იცის ამოხეთქვა. ამის უფლებას კი ველარ მოგცემთ.

### **ვალპურგი**

კი, მაგრამ, ექიმო, გრუენი თავად აგებს პასუხს ჩემ გამო. არა, გრუენ?

### **გრუენი**

დიახ. მისმინეთ, ბურდიგელ: უნდა გადავწყვიტოთ: ან მითმობთ და ჩემია ეს პაციენტი, ან – არა. სანახევრო

გადაწყვეტილებებს კარგი არაფერი მოაქვს.

## **ბურდიგელი**

კეთილი. რა გაეწყობა. მაგრამ პროფესორი რას იტყვის?

## **გრუენი**

რაკი ასეთი შედეგი გვაქვს, პროფესორის დარწმუნებასაც მე ვიღებ საკუთარ თავზე. ვალპურგ, დასაწყნარებელ პერანგს გხდით და დღეიდან გამოჯანმრთელების გზაზე შემდგარ პაციენტად გთვლით. ჩვენკენ შემოტრიალდით.

## **ილუმენია ბარბარა**

ცოტა ადრე ხომ არ არის, ბატონო გრუენ?

## **გრუენი**

დაო, ბარბარა, ნუ ერევით, ეს თქვენი საქმე არაა. ახლა რომ მოგდგეთ და ჩემი ანალიზის სპექტრში გაგატაროთ, მონასტრიდან წასასვლელად გაგიხდებათ საქმე. თქვენ ქმრის წინაშე ჩადენილი დანაშაულის კომპლექსი გაქვთ და თავის გატანჯვა აქ გადაგიწყვეტიათ. მაგრამ სანამ ცოცხალი იყო, ისე სტანჯავდით, ჯალათს შეშურდებოდა. ყველაფერი ვიცი.

## **ილუმენია ბარბარა**

ბატონო გრუენ, თქვენი ადგილი იცოდეთ. ქალაქის ქვედა ფენებიდან წამოსულ ჭორებს ნუ გაიმეორებთ.

## **გრუენი**

ეს ჭორი არ არის. ეს ჩემთვის სრული სიცხადის მქონე ფაქტია. თავისუფალი ხართ, ვალპურგ. ნახევარ წელიწადში მე და თქვენ აქედან ერთად გავალთ ქალაქში. ოღონდ სულ ნუ მიძალიანდებით ხოლმე. მომენდეთ.

## **ვალპურგი**

მადლობელი ვარ. საბოლოოდ, მაინც აღმოჩნდა აქ ადამიანი, ვინც შეშლილობაში მაინც მაღიარა. როგორც პოეტს, აღიარება არ მაკლდა. ფანქარი და ქალაქი მომეცით, გრუენ. ლექსის პირველი სტრიქონი უნდა ჩავიწერო. დღეს რომ გავიღვიძე, უკვე გონებაში მქონდა. ამისგან საოცარი რამე გამოვა.

## **გრუენი**

ხედავთ, დაო, როგორი მოპყრობაა საჭირო ავადმყოფებთან? ჩვენი საავადმყოფოები შუასაუკუნეების ციხეებზე უარესია. მხოლოდ ფსიქონალიზი გადაარჩენს კაცობრიობას ფსიქიატრიული საავადმყოფოების შემზარავი კომმარისგან. რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ, ყველა ციხე დაცარიელდება, როგორც კი ადამიანებს, სავალდებულო წესით და ბავშვობიდანვე, კომპლექსებისგან გავათავისუფლებთ. თავს დავდებ, ტყუპისცალი დის კომპლექსი აქვს, ემბრიონობის პერიოდიდან გამოყოფილი. ამიტომაც არ შეუძლია ნამდვილი სიყვარულის განცდა. სინამდვილეში თავისი და უყვარს, იმის მიუხედავად, რომ საღ გონებაზე მის მიმართ მხოლოდ სიძულვილს განიცდის. ვალპურგ, თქვენი პირველი ასოციაცია სიტყვა „და“-სთან დაკავშირებით –

## **ვალპურგი**

გამოქვაბული. ორი ობოლი უკაცრიელ კუნძულზე. დე ვერ სტეკპულის „ცისფერი ლაგუნა“.

## **გრუენი**

ხედავთ, დაო? ქვაბული დედის წიაღია,. უკაცრიელი კუნძულიც იგივეა. კომპლექსის გორგალი გავხსენი. ეს

წიგნი თუ იცით, დაო? მისი მეორე პლასტი უკვე გამზადებულ ფსიქიკურ ყალიბში ჩაჯდა. ვალპურგ, ორ კვირაში უკვე ხარივით ჯანმრთელი იქნებით.

### **ვალპურგი**

ბატონო ექიმო, ჩემი აზრით, უხერხულია მონაზონთან ამდენ ხანს კეკლუცობა.

### **მონაზონი ანა**

მხოლოდ თქვენზე ვსაუბრობდით.

### **ვალპურგი**

ჩემი აღიარება მხოლოდ თქვენთვის იყო განკუთვნილი, დაო ანა.

### **გრუენი**

ხედავთ, დაო, რა საღად მსჯელობს? მასში სიცოცხლის ჯანმრთელმა ინსტინქტმა გაიღვიძა. ეჭვიანობს. შეიძლება, შეუყვარდეთ კიდევ.

### **ბურდიგელი**

არა, ხანდახან ეს ფსიქოანალიტიკური ბოდვები ძალიან მართობს, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

### **ვალპურგი**

ესეც შენ! სასულიერო პირებთან ფლირტისათვის! ჩაძალღდი, კაციჭამიავ! ვნანობ, რომ მისი წამება ვერ მოვასწარი. აი, სიცოცხლის ჯანმრთელი ინსტინქტი თუ გაინტერესებდათ. ინებეთ. გრუენ, ჯაყვა მოიტათ. ფანქარი გადამიტყდა. რა ქვასავით თავისქალა ჰქონია ამ კრეტინს. სამაგიეროდ, კონკურენტი აღარ გყავთ.

### **მონაზონი ანა**

ეს რა ჩაიდინეთ? ყველაფერი დამთავრდა.

## **გრუენი**

ვალპურგ, შეიშალებო? სუსტი გულის პატრონი ვარ.  
ღმერთო! საბრალო ბურდიგელი. მკვდარია. პირდაპირ  
საფეთქელში ჩაუცია ფანქარი.

## **ვალპურგი**

ახლა კი სრულიად ჯანმრთელი ვარ. ჩემს დასთან  
გავაიგივე და ხელის ერთი მოქნევით მოვკალი ორთავე.  
დარწმუნებული ვარ, ჩემი დაც მომენტალურად მოკვდა. ჰა,  
ჰა! კომპლექსი გახსნილია. თუ რამე ჩირად ღირს ეს  
ფსიქოანალიზი, მაშინ ახლა გარეთ უნდა მიშვებდეთ. ახლა  
აღარავის არაფერს დავუშავებ.

## **გრუენი**

მისმინეთ, ვალპურგ, ხომ არ დამცინით სულ შემთხვევით?

## **ვალპურგი**

სრულიად სერიოზულად ვლაპარაკობ: ჯანმრთელი ვარ:  
თავისქალისთვის ფანქრის ერთმა მოქნევამ სრულიად  
განმკურნა. ამიტომ პასუხს არ ვაგებ მკვლევლობაზე,  
რომელიც ჩავიდინე, მაგრამ მის მომდევ ყველა წამზე კი  
ვაგებ პასუხს. დაო იღუმენია, თვალი გაახილეთ:  
სასულიერო პირის ღირსება დავიცავი ექიმისხალათიანი  
დონ ჟუანის ბილწი მცდელობებისგან. რამე არასწორს  
ვამბობ? დარწმუნებული ვარ, ქალთა განყოფილებაში X  
რაოდენობის რომანი ექნებოდა გაბმული ამ  
სულთამხუთავს.

## **იღუმენია ბარბარა**

უადგილოდ ხუმრობთ. ნამდვილი შეშლილი ხართ, ან თუ ასე არ არის – ჩვეულებრივი ბოროტმოქმედი.

## **გრუენი**

გაუგონარი ამბავი ხდება! მართლა კარგად გრძნობთ თავს?

## **ვალპურგი**

უკვე მოგახსენეთ. და ყველა, ვინც ამიერიდან ისე დამელაპარაკება, როგორც გიჟს, ჩემი პირადი მტერი იქნება. საუბრე მომიტანონ, მშია. და ძალიან გთხოვთ, და ანას მიხედეთ, ნუთუ ვერ ხედავთ, რა ცუდაა. თავადის ქალს გონზე ვერ მოუყვანია.

## **გრუენი**

ყურებს ვერ ვუჭერებ. თავადვე გახსნა თავისი კომპლექსი. შეიხსნა, როგორც თასმა შეკრულ ფეხსაცმელზე. საოცრებაა, დაუჭერებელია!

## **მონაზონი ანა**

აჰ! ახლა რა მოხდება?

## **იღუმენია ბარბარა**

იგივე, რაც ადრე ხდებოდა. ღმერთმა იცის, რას აკეთებს. შენ ჯვარი სად არის?

## **მონაზონი ანა**

ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ჯვარი სენაკში დამრჩა. ასეთი ამბებისგან დედაჩემის დანატოვარი ავგაროზი მიცავდა.

## **გრუენი**

აღფრედ! პაფნუჩი! საუბრე მოართვით ნომერ ოცდაერთს.

## **ილუმენია ბარბარა**

გრცხვენოდეს, რა ცრუმორწმუნეობაა! ახლავე წადი  
აღსარების სათქმელად.

## **მონაზონი ანა**

იქნებ ხვალ სჯობდეს. დღეს აღარაფრად ვვარგივარ. ჩემს  
სინდისთან მაქვს საქმე გასარკვევი.

## **ილუმენია ბარბარა**

ახლავე! ამნუთას! გესმის?

## **ვალპურგი**

გამოიძინეთ, დაო, და საღამოს ისევ მოდით. ეს აღიარებები  
ჩემზე მშვენივრად მოქმედებს. გრუენისნაირ იდიოტებთან  
ჩემმა მტერმა იმუსაიფა.

## **ილუმენია ბარბარა**

არა, ამას ბოლო მოეღება. ჩემი მონასტრის დებს  
მკვლელებს ვერ შევწირავ.

## **ვალპურგი**

ჯაყვა, გრუენ.

## **გრუენი**

კარგი, რა, დაო ბარბარა, პერანგი ექნება გადაცმული.  
უსაფრთხოებისთვის, თუმცა, თავს დავდებ, რომ აქ  
დანაშაული აღარ მოხდება. რას დაგმრგვალებიათ,  
ბრიყვებო, თვალები? სწრაფად, საუბმე მოუტანეთ.  
თითქმის განკურნებულია. იუნგი აღწერდა ამის მსგავს  
შემთხვევას. მისი პაციენტი სანიმუშო ქმრად იქცა და  
მშვენიერი არქიტექტორიც გახდა მას შემდეგ, რაც მის  
სანახავად მოსული დეიდამისი გაასაღა: დეიდამისის



კომპლექსი ჰქონდა და მოიშორა. ამ მდგომარეობამდე კი ფსიქონალიზმმა მიიყვანა.

### **მონაზონი ანა**

თუ ამისთვის ჩემი შეწირვაა საჭირო, მე მზად ვარ. დაო ბარბარა, გემუდარები, ნება მომეცი, ჩემი ცოდვებისათვის ვევნო.

### **ილუმენია ბარბარა**

კეთილი, ნებას გაძლევ. იქნებ ეს უფალს სწადია. იქნებ მართლაც დევს ამ ყველაფერში რაღაც აზრი, რომელიც ჩვენთვის – სულით უბირთათვის გაუგებარია. ახლა დაიძინე, დაო, არც აღსარების სათქმელად წასვლაა საჭირო. საღამოს, ათზე, სამორიგეოდ მოხვალ.

### **გრუენი**

მიირთვით, ვალპურგ. ამხელა ამბების მერე კარგად მომაგრება გჭირდებათ. როგორც ფსიქონალიტიკოსს, თქვენი მესმის. მე, ჩემდა თავად, ყველაფერი გაპატიეთ. არ არსებობს დანაშაული კომპლექსის გარეშე, კომპლექსი კი ავადმყოფობაა.

### **ვალპურგი**

ახლავე. ხელს ნუ მიშლით. ბოლო ლექსს ვწერ... ამის მხოლოდითი რიცხვის მეორე პირი მჭირდება..

### **გრუენი**

აქ რას დამიდევით, ჩერჩეტებო? მეშვიდე პავილიონში გაიტანეთ ბატონი ექიმის გვამი.

### **ვალპურგი**

დავამთავრე. ახლა ჩემს ტვინში შეშლილობის უკანასკნელი კვალიც წაშლილია. საათის წიკნიკი აღარ ისმის. სინდისიც მიჩუმებულია.

## **გრუენი**

საოცარი გამოცდილება მიიღო დღეს ფსიქოანალიზის სკოლამ. თქვენზე მონოგრაფიებს დაწერენ. მთელს მსოფლიოში გავითქვამ სახელს.

## **ვალპურგი**

ყველაზე კარგი გამოცდილება დღეს ფსიქოანალიზის სკოლამ ბურდიგელის სახით მიიღო. არასდროს არ მიყვარდა ეგ გამოთაყვანებული და არც ქალებთან მისი ქცევა და მანერები მომწონდა. რა ხანია, მაგას ვიცნობ. სულ გრძნობდა, რომ მისი მსხვერპლი შევიქნებოდი, ბარე ხუთი წელი. მაგრამ მას მერე, რაც ჩემს დას შეუერთდა, მისი ატანა სრულიად შეიძლებელი გახდა. ჰა, ჰა, ჰა!

## **გრუენი**

ვალპურგ! უგენიალურესი ტიპი ხართ, თქვენნარი ამ ქვეყანაზე არ დაიარება! მიყვარხართ. მე და თქვენ ერთად რალაც გასაოცარს შევქმნით!

## **ვალპურგი**

კარგი, კმარა ეს ფამილარობები! ნუ მაბოლებთ ერთი! იდიოტი! ისე მოტყაპუნებს ხელებს, თითქოს საშუალო სტატისტიკური ფსიქიატრიული ეგზემპლარი ვიყო. დისტანცია დაიცავი, გეთაყვა.! გასაგებია?

## **გრუენი**

ჯაყვა მომეცი! ჯაყვა მომეცი!

## **ვალპურგი**

აჰა, ქვეშაჯვია! დღეში ერთი მკვლევლობა ძალიანაც მყოფნის. ტარაკნების ზედიზედ ჭყლეტვის ჩვევა არ მაქვს. გაეთრიე.

## **გრუენი**

პაფნუჩი! ალფრედ!!! ნომერი ოცდაერთისთვის პერანგი, სწრაფად!!!

## **ვალპურგი**

ჰა, ჰა, ჰა, ჰა!! გასართობა არ დაგელევა აქ ადამიანს. გიჟები ყველაზე მოქნილი ხალხია. ცხოველებიც კი ვერ მოვლენ ჩვენთან, ჯიბეში ჩავისვამთ, მათი საოცარი ინსტინქტებიანად.

## **გრუენი**

იცინეთ, ვალპურგ. იცინეთ. სულერთია, მაინც გამოჯანმრთელდებით. არც თქვენ მჭირდებით არაფრად და არც თქვენი სულელური ლექსები. მთავარი მაინც ისაა, რომ ე.წ. “dementia praecox”-ის განკურნება მხოლოდ კომპლექსების გახსნის მეშვეობითაა შესაძლებელი. წავედით აქედან.

## **მოქმედება მესამე**

*პირველი სურათი*

## **მონაზონი ანა**

ძალიან დაიღალე? ჩემო საბრალო, ჩემო ძვირფასო.

## **ვალპურგი**

სრულებით არ დავლლილვარ. მკვდარივით მეძინა მთელი დღე. ერთიანად გამოვიძინე, რაც თხუთმეტი წელი ღამეები მიტეხია. თავს შესანიშნავად ვგრძნობ. და იცი რა, მას

შემდეგ, რაც მოხდა, ეს საკანი უკვე ჩემს საკადრის ერთადერთ ადგილად მეჩვენება. აქედან გასვლის სურვილიც კი არ მაქვს. ეს ლექსი წაიკითხე. მე თვითონ არ შემიძლია, ვღელავ.

### **მონაზონი ანა**

აჰ, რა მშვენიერია: (ლექსს კითხულობს) შესანიშნავია! მაგრამ როცა ჩემთან იქნები, ყველაფერი სხვაგვარად იქნება. არანაირი საწამლავი, მე შეგიცვლი ყველაფერს.

### **ვალპურგი**

შეიძლება, ასეც მოხდეს. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, აქედან უნდა გავალწიოთ. მაინცდამაინც ნუ აღფრთოვანდები ჩემი ქმნილებებით. ეს სულ სხვა რამის დასაწყისია, ცალკე აღებული, ეს ლექსები არაფრად ღირან.

### **მონაზონი ანა**

იცი, სინდისი მაწუხებს, რომ ასეთი ბედნიერი ვარ. აჰ, რომ შეიძლებოდა, ცოტა მეტხანს ვიტანჯო. მეც სულ არანაირი ინტერესი არ მაქვს იმ ცხოვრების მიმართ, ამ კედლებს მიღმა რომ არის დარჩენილი. აქ რომ დავეტოვებინეთ სამარადისოდ, ამაზე მეტს არც არაფერს ვინდომებდი. საშინლად კარგად ვარ შენთან. ყველაფერმა ხელახლა შეიძინა აზრი. წარმოიდგინე, რამდენხანს ვცხოვრობდი უსაზრისოდ. უნდა ვაღიარო: როდესაც ბურდიგელი მოჰკალი, გრძნობები ისე მომეძალა... ისე საშინლად მომწონხარ! საშინლად!

### **ვალპურგი**

ჩემი თვალთმაქცი გოგო! ნეტავი წერა მაშინაც შემეძლოს, როცა მარტო ვრჩები! თავის მოთოკვა უნდა ვისწავლო, ამ

ბრიყვმა წამდაუნუმ პერანგით რომ არ აკოჭინოს ჩემი თავი.  
გუშინ თავს ვერ მოვერიე. უნდა მომეკლა ის ბესტია...

### **მონაზონი ანა**

ამაზე ნულა ვილაპარაკებთ, მეჩი. დაისვენე. მომეყრდენი  
და ყველაფერი დაივიწყე. ორი წლის ტანჯვის მერე მინდა,  
ცოტა გაგანებივრო.

### **ვალპურგი**

ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. სადმე  
გავემზავრებით, თუნდაც ტროპიკებში. იქ მასთან ერთად  
ვიყავი. ცეილონზე. მაგრამ ახლა მისი აჩრდილი ხელს არ  
შეგვიშლის. ის ყველაფერი შეცდომა იყო, ისევე, როგორც  
შენი სიყვარული იმ შენი იდიოტიისადმი. ერთმანეთისთვის  
ვართ შექმნილები. იდეალური წყვილი ვართ, ერთმანეთს  
უნდა შევხვედროდით სამყაროს ქაოსში. აჰ, რატომ ადრე  
არ მოხდა ეს, ადრე რად არ შემხვდი!

### **მონაზონი ანა**

იქნებ ასე სჯობს? სხვაგვარად, ხომ შეიძლებოდა,  
ერთმანეთის ფასს ვერ მივმხვდარიყავით.

### **ვალპურგი**

ტუჩები მომე. რაც დღეიდან უნდა დავწერო, იმ ყველაფერს  
ამ ქვეყანაზე მხოლოდ შენ ენათესავები. შენთვის ისეთებს  
შევქმნი, რაც შენი სიყვარულის გარეშე გამოუთქმელი  
დამრჩებოდა.

### **მონაზონი ანა**

ჩემო ერთადერთო...

### **ვალპურგი**

გვიანაა!

## გრუენი

ჰა, ჰა! უფრო სწორად, ჯერ ადრეა! ასე, ხომ, დაო, დაიკუნა!  
მაშ, თქვენი სასიკეთო გავლენა ჩემი პაციენტის  
მდგომარეობაზე თურმე, აი, ამით აიხსნება! მართალი კი  
ყოფილა ცხონებული ბურდიგელი. მაგრამ ფსიქოანალიზი  
ამ განსაცდელსაც გაუმკლავდება.

## ილუმენია ბარბარა

ეს რა საშინელებაა! მონაზონის სამოსში შემალულო  
ბოროტმოქმედო და მემრუშევ! ამას ვერ გადავიტან!

## გრუენი

პერანგი გადააცვით, გაკოჭეთ! ვაჩვენებ ამას სეირს,  
დამაცათ! შეუსწავლელი კომპლექსი დამიმალა. თავს  
იკატუნებდა, ვითომ ტყუპისცალი დის კომპლექსი  
სტანჯავდა! თუმცა, ეს ტყუილიც უნდა მალავდეს რაღაც  
სიმართლეს. ფროიდის თეორიის ქვაკუთხედია ეს  
მოსაზრებაც.

## ვალპურგი

ყველა თავ-თავის ადგილას დარჩეს!!! არ გაინძრეთ! ნაბიჯი  
არ გადმოდგას არცერთმა!!! ახლა რაღაცას ვაჩვენებთ,  
ფსიქიკური მკვლევლებო!!! ჰოპლა!! ახლა ნახეთ, რა  
მოხდება, და დაე ეს ბოროტება თქვენს კისერზე იყოს!

*მეორე სურათი*

*(უანტრაქტოდ)*

მსახიობი სწრაფად იხსნის ყელზე შებმულ პერანგის  
სახელოს და სწრაფად გადის გარდერობში, ხოლო სასცენო  
პერსონალი ასევე სწრაფად უკრავს დასაწყნარებელი

პერანგის სახელოებს მანეკენს, რომელიც ძალიან ჰგავს ვალპურგს, ოლონდ – ჩამომხრჩვალ ადამიანის პოზაში, შემდეგ კი ყველანი კიდევ უფრო სწრაფად გარბიან სცენიდან. ეს ყველაფერ წამები გრძელდება.

## **გრუენი**

ჩამოხსენით!!!

## **მონაზონი ანა**

რა მოხდა?

## **ილუმენია ბარბარა**

შენმა საყვარელმა თავი ჩამოიხრჩო, უსირცხვილოვ!  
ღმერთმა გაპატიოს... მე არ შემიძლია. მთელი დარჩენილი ცხოვრება სენაკში იქნები გამოკეტილი. ჯურღმულში ამოგალპობ... შე...

## **მონაზონი ანა**

აჰ! აჰ! აჰ! აჰ! თქვენ მოკალით! მკვლელებო!

## **გრუენი**

მკვდარია. ხერხემალი გადამტვრეული აქვს. ეპისტროფი – მოგრძო ტვინში შერჭობილი. დავკარგეთ ეგზემპლარი. ახლა საკითხავია, როგორ დაიღუპა – როგორც ავადმყოფი, და ეს მისი ბოლო ქმედება იყო, რომლის წყალობითაც შეიძლებოდა, გამოჯანმრთელებულიყო? იქნებ თავი უკვე განკურნებულმა ჩამოიხრჩო? ეს კი მართლაც საშინელება იქნებოდა!

## **მონაზონი ანა**

გადაარჩინეთ! იმის მაგიერ, რომ ამდენი იყბედოთ! ჯერ თბილია.

## **გრუენი**

გითხარით, მოკვდა-მეთქი. თქვენ სულ არ გცოდნიათ ანატომია, დაო. სუნთქვის ცენტრი დაზიანებულია. ამას ფსიქოანალიზიც კი ველარ უშველის. მოიცათ, ხელში რა უჭირავს? შუშა რით გატეხა? ეს პრობლემა სულ ამომივარდა თავიდან.

## **მონაზონი ანა**

ეს ჩემია! არ მოგცემთ! მას მივეცი, ავგაროზად!

## **გრუენი**

ახლავე მომეცით, დაო. ჯვარია. თქვენ რომ გულზე გეკიდათ.

## **ილუმენია ბარბარა**

ორგზის მკრეხელო! *Quelque chose d'énorme!* ეს რაღაც წარმოუდგენელია! ეს დედამისის ჯვარია, რომლის ტარების უფლებაც მივეცი. უმნიკვლო ქცევისათვის გაღებული მოწყალეობა იყო ჩემი მხრიდან.

## **მონაზონი ანა**

შემიწყალეთ! შემინდეთ! ნაღველისაგან მოვკვდები. ახლა აღარაფერი დამრჩა ამ ქვეყანაზე. ტანჯვის უნარიც კი აღარ მაქვს.

## **ილუმენია ბარბარა**

შენი ადგილი ქუჩაშია! ბინძურო! *Och, quelle salope!* გადი, გამეცალე!

## **გრუენი**

ოჰ. ალფრედ! პაფნუჩი! გაიტანეთ ნომერ ოცდაერთის გვამის პრობექტურაში. ეს იდიოტი პროფესორი



ვალდორფი ახლა ტვინში ანატომიური ცვლილებების აღმოჩენას შეეცდება. ჰა, ჰა! ეძებოს, ბატონო! ახლა, დაო ანა, გამოდით თქვენც ამ გახევებული მდგომარებიდან, გავიდეთ აქედან.

### **ვალპურგი**

აღინკა! ადექი! მე ვარ, მეჩიუ.

### **მონაზონი ანა**

მეჩიუ! მართლა შენ ხარ? აბა, ის რა იყო? აჰ, სულერია, ალბათ, გავგიჟდები ბედნიერებისგან! რა ლამაზი ხარ! ჩემო ერთადერთო!

### **ბურდიგელი**

წავედით, ქალაქისკენ, ჰერი-ჰერი. ეს კაბა თქვენ, პანი აღინა, აი, შლაპაც. მე და მეჩისლავმა ნაჩქარევად შევარჩიეთ. ისე.. თვალის ზომით. უნდა გამოიცვალოთ. ჯერჯერობით ალბათ ესეც საკმარისია.

### **ვალპურგი**

წავედით. ახლა მართლა სრულიად ჯანმრთელი ვარ: ჯანმრთელი და ბედნიერი. მშვენიერ რამეებსაც დავწერ.

### **ბურდიგელი**

თქვენც ჯანმრთელად იყავით, გრუენ. და ამ ამბების მერე ერთი საფუძვლიანი ანალიზი ჩაიტარეთ.

### **ვალდორფი**

აბა, როგორაა საქმე, ბატონებო? ჰი, ჰი, ჰი!!!

### **გრუენი**

პრო-ფე-სო-რო.. არ.. არ ვვვცი... არ ვიცი, რა მოხდა  
ამწუთას. ეს რა ეშმაკი იყო!!!

### **ვალდორფი**

არც არაფერი. ფსიქიატრიას წერტილი დავუსვი. ქირურგიას  
ვუბრუნდები. ოდესაღაც ტვინზე ჩატარებული  
ოპერაციებით გავითქვი სწორედ სახელი. ბურდიგელი  
ასისენტად მიმყავს...

### **გრუენი**

ააააააა!!! ეს რა შანტაჟია!!!

### **ვალდორფი**

ოო, არა! ჰოპ! ჰოოოპ!

### **გრუენი**

ახლა, აი, ამწუთას ახალი კომპლექსი დაიბადა. ოღონდ  
რომელი? არ ვიცი, ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს ყველაფერი!

### **ილუმენია ბარბარა**

ეგეც თქვენი ფსიქიატრია!! დავბერდი, მაგრამ ვერ  
გამირკვევია, ვინ არის აქ გიჟი, მე, თქვენ თუ ისინი.  
ღმერთო, ღმერთო! მოიღე მოწყალება. როგორც ჩანს, უკვე  
გავგიჟდი.

### **ალფრედი**

ახლა ჩვენ ვართ შეშლილები. სამუდამოდ გამოგვკეტეს აქ.  
ის ერთი ისევ წევს, იქიდან კი წვერგაპარსული ნომერი  
ოცდაერთი გავიდა.

### **პაფნუჩი**

აი ეგ, ეგ არის ყველაზე მაგარი გიჟი. მიდი, დაარტყი!  
ფრედ! მიდი! ურტყი, სანამ ძალა გეყოფა!

## **გრუენი**

სდექ! შეჩერდით. ყველაფერს აგვიხსნით. თან იქნებ ჩემ  
თავსაც ავუხსნა თქვენთან ერთად.

## **პაფნუჩი**

შენ რა უნდა აგვიხსნა, საკუთარ თავს აუხსენი, თუ ეგეთი  
ჭკვიანი ხარ. ეგეც შენ!

7 დეკემბერი, 1923 წელი

**პოლონურიდან თარგმნა ქეთი ქანთარია**

## ბენედიქტ ლედებური

გერმანელი პოეტის, მთარგმნელისა და ფილოსოფოსის, ბენედიქტ ლედებურის სახელი უკვე ცნობილია ქართველი მკითხველისთვის. 2011 წელს ქართულ ენაზე გამოიცა მისი ლექსებისა და ესეების წიგნი სახელწოდებით “კუბურები”; იგი „ახალი საუნჯის“ 2015 წლის ივლისის ნომრის თემატური ავტორიც იყო; როგორც მეცნიერი, მონაწილეობდა ილიას უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაშიც. წინამდებარე სონეტების გვირგვინი კი საქართველოსთან ბენედიქტ ლედებურის არა მხოლოდ კულტურული, არამედ პირადული ურთიერთობით ნიშანდებული სევდიანი არტეფაქტია. ეს ლექსები მისი ცხოვრების თანამგზავრის, უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მხატვრის, თამუნა სირბილაძის (1971-2016) ხსოვნას ეძღვნება.

*ბენედიქტ ლედებური და თამუნა სირბილაძე, ნიუ იორკი, 2015*

# ქარის წისქვილი

1

ან გარდასულის ასახვა რომ გავბედო ახლა,  
იფეთქებს ჩემში, ის რაც მისგან არ დარჩენილა,  
ცალად ყოფნისას ჩემს ხილვებში რაც გასენილა,  
ლამობს არ გაქრეს, მის არყოფნას რაც მაინც ახლავს.

რალას ვუცქირო, როცა მისი მაკლია მზერა,  
მოცოცავს ოთხით, სულის წიაღ რაც მეფიქრება,  
როცა ყოველი წარმოსახვა უმაღ მიქრება.  
იმის მაგივრად, მოვიხელთო ნათელში ჯერაც.

ფერთა ლიცლიცი ვიცი ახლავს მიწყვი წრებრუნვას,  
განშორებული მისი სახის ნაკვთი ყოველი  
აძევებს წარსულს – უკვე განცდილ, ჩემეულ ურვას.

ყოველცისმარე ვეზიარო, ვცდილობ, მოველი,  
ბედის წრებრუნვას შეხიზნული, გარინდებული,  
რომ უფრო ცხადად მომეველინოს გარიდებული.

2

უფრო ცხადად რომ მომეველინოს გარიდებული,  
ვარჩიე ვენდო კვლავ წრებრუნვით აღბეჭდილ სახეს,  
ან სითამამით, თუნდ ან გარჯით იხელთებ სახელს?  
თუ მისი მრეში თმების მსგავსად, უწინდებურად

მიაღერსებს და ღამღამობით მელამუნება;  
ცარიელია და ლიტონი სიტყვა ყოველი,  
როცა ვიხსენებ ჩემდა მომართ ნათქვამს, რომელიც  
გაჟღერებული მისი ღრმა ხმით სულ მაცდუნებდა,

როგორც სივრცეში არეკლილი გამოძახილი.  
და როცა სხვები ზარხოშიყვნენ თვისსავ ბუმბულში,

ფრთებს ვშლიდით მაშინ, აქ და ახლას წვდომის ფერხულში.

და რას ამბობდა, ან იტყოდა სხვათა სამხილი, არ დაგიდევდით, ვქმნიდით, ვთხზავდით ჩვენ ხელალებით, თუმც აჯობებდა რომ გვესმინა – ყურადსაღები.

3

თუმც აჯობებდა რომ გვესმინა – ყურადსაღები, მარადი კითხვა, ღრმად მასში რომ ვერ ინთქმებოდა, დაეხსნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა თვრებოდა, და ძლივს, ბორძიკით აივლიდა კიბის საფეხურს,

ენადაბმული და სასმელით გულნაჯერები. რატომ ვერასდროს, თუნდ რაიმე, ან არაფერი, სიმბოლო, აზრი, ან ნახატი ლალი, სხვაფერი, ვერ მიიღწევა, უსასრულო დამახინჯებით.

ვერვის უშველის განჭვრეტილი ფრაზის მწეობა, თუ არ დაბუსტდა მჟღერი ფორმის ნიშან-თვისება, გახსენებული მიხრა-მოხრის მონაცვლეობა.

ფერები გონში როგორ აგნებს მყოვარ სავანეს, თუ არსებები ბჭობენ, ჩემგან არხმობილები, ზანზალაკები ღრუ კიბებზე როგორ ხმიანებს?

4

ზანზალაკები ღრუ კიბებზე მსწრაფლ ხმიანებენ, თითქოს ანაზდად შეშლილები, წონას კარგავენ, რხევით აგებენ საკუთარ მეს და აზრს ხლართავენ, რითაც გულს მგლეჯენ საგულედან, ჩლიქიანები,

ჩემს ვითარებას იყენებენ, ოთხით ნაჭენებს თხზავენ არაკებს, თითქოს მისგან რჩებოდეს რაღაც,

ბავშვების სულში, ნახატებში, ანდა ვწერ რასაც,  
თავისუფალი, ლალი სახით, რადგან ამშვენებს,  
კარგახანია აღსრულებულ ცხოვრების ქარგას,  
სიტყვას კი აბა, როგორ უნდა გამოეხატა,  
ჩვენი ქმედების და ერთობის ფერადი ხატი,  
ის იძულებით გაგვერიდა, დაეშვა ფარდა.  
უხამსობაა, მოისურვონ მისი ადგილი,  
მიმართულების შეცვლა უნინ, იყო ადვილი.

## 5

მიმართულების შეცვლა უნინ, იყო იოლი,  
ფრთათა მოქნევას, რომ მიბრკოლებს ახლა კირთებით,  
დანარცხებასაც კი მიქადის დაფლეთილ ფრთებით,  
მსწრაფლ მობრუნებას თან სდევს ჩემში ფიქრთა რიალი  
და აზავთება წარმავალი მოგონებების.  
ვარდნა აბრკოლებს უკუვარდნას, სწრაფი ცხოვნება  
მიჰმადლოს ჯერაც მტკივან ნაპრალს იმ სტროქონებმა,  
მან რომ წამართვა, დაინთქა და აღარ ეგების,  
და ველარასდროს ვერ ინდომებს მზისაკენ ლტოლვას,  
ვცდილობ ნაკვთები დავივიწყო, მათი შეხება  
ყოვლისმომცველი იყო ჩემთვის, ვეჩვევი გლოვას,  
დავკარგე მისი გამოხედვა, თვალთა ციალი...  
იმის მაგივრად, სიცოცხლისკენ კვლავ გამოვეხმე,  
ბედად მარგუნა უსასოო დღეთა ტრიალი.

## 6

ბედად მარგუნა უსასოო დღეთა ტრიალი,  
ყოველი ჩვენთვის ნაბოძები საათი სრული,  
იმართებოდა მისი ხელით, ნახატს მირქმულით,  
ველური ჟინით დახატულით, სძულდა ტრფიალი

სხეულთა, ჟესტთა, იდუმალი როკვის, რომელიც ლამის ერთმანეთს გვაშორებდა, ვიდრემდის ჩვენი კვლავ მიაგნებდნენ ბაგეები, თვალები, ხელნი ერთმანეთს, რათა მიგვეღწია მიუწვდომელი,

ვიდრე ამ ღამეს ცისკრის ლეგა ნისლი ამხელდა. ღირს კი ყველაფრის აქ ჩამოთვლა, არ ვისურვებდი, რომ შედარებებს დაჰკარგოდა სისავსე ფერთა,

ან რას განკარგავს ჩანახატი დაუდევარი.

შინაგან ნიღაბს მოხსნა უნდა, არად ჩაგდება? ?

უხილავია მოგონების კვლავ დაბადება.

7

თუმც უხილავი მოგონების კვლავ დაბადებამ, სიცოცხლით სავსე დღეთა სიტკბოს მეც მაზიარა, როცა ყოველი კამათი, თუ წყენის იარა მასთან შეხვედრის ნეტარებად იქცა და ბედად.

შემოიარო წისქვილები, ითქმის ადვილად, იმის მაგივრად, რომ არ გნადდეს წარდგინებები, ჩემი განცდებით ნაქებები, და თუ ეცდები გრძნობის გარეშე ჩანვდე, ფორმით რაც შებოჭილა,

მხოლოდღა მაშინ, როცა რითმა, ვერ იტევს საზრისს, ცვდება სურნელი, კანზე ყელთან ძარღვების ნაზი, ხიბლით მომსვრელი მონახაზი, და რჩება აზრი

ან მკვდრადშობილი, რაც მინახავს ჩემთვის ძვირფასი, მკრთალდება ხატი; მზერა, მას რომ ითავისებდა, ვერ ხედავს მერმისს, ან წარმავალ არსებასავით.

8

ვერ ხედავს მერმისს, წარმავალი ყველა არსება თავად აბრკოლებს შედარება-გარდასახვების



არსის შეცნობას, სახოვნებაზე სრულ ხელაღებას  
ფორმის გარეშე მეტყველების მოაქვს გაგება,

ისევე, როგორც იხლართება ხელთა ქმედება  
შავ-თეთრი ფერის ძიებაში, მისი თითები  
ფირის ზედაპირს ძლივს ეხება, ისიც მიგნებით,  
როცა შეიგრძნობს, მუნჯდება და აედევნება

ბრმად მაჯისცემას. რაც ხანს მათებს თავად სიცოცხლეს,  
იმ საგნებს ირჩევს ზუსტად მისი განმარტებები,  
შიშვლად რომ ურტყამს მიზანს – ჯერაც ღია ჭრილობებს,

რითაც გულისხმობს მის გაქრობა-გაცამტვერებას,  
თვალსაწიერი, ჟამთა ცვლისას კანს იცვლის ჩვეულს,  
გაუგებ კია მისი გზების ჩახლართულ ხვეულს?

9

გაუგებ კია მისი გზების ჩახლართულ ხვეულს?  
ვერ მოიხელთებ მისი სახის ჩვეულ მანერებს,  
ტუჩის მოკუმვას, ყვრიმალებთან ღიმილგარევას,  
მძაფრად თქმულ სიტყვას, გულსატკენად ჩემთვის  
არჩეულს,

რომ შეფუთავდა შესაფერი სათაურებით,  
რა საჭიროა განიძარცვოს ხიბლი შიშველი,  
უბრალო ძონძსაც უძვირფასეს ფაიდემინად  
რომ გარდაქმნიდა. სულს მე ჯერაც განსაკუთრებით

მიფორიაქებს, ვგონებ მხოლოდ მომაკვდინები  
მისი სიტყვები. ჩემი მზერა თუკი აჰყვება  
მისეულ ფერთა და ხაზების მიმოდინებას,

კვლავ შეახორცებს იმ იარებს, რაც მომაყენა.  
დანყევლილია, რაც საერთოდ იძვრის, ფრთხიალებს,  
ჩვენზე თავთან ნიადაგ რომ ვაერთიანებთ.

## 10

ჩვენზე თავთან ნიადაგ რომ ვაერთიანებთ,  
მე-ს იმ ნამსხვრევებს, რაც ცხოვრებას აღარც კი ახსოვს,  
ხოლო ძაფებს კი, მე-ს გარშემო ჩვენ მიერ ნაქსოვს,  
დაეტყო ცვეთა, ჩანს – ირღვევა სულ ერთიანად.

რა უკაცრიელ-ცარიელი ჩანს სივრცეები,  
მე რომ ეულად, უიმისოდ მიწევს შემოვლა.  
ნუთუ არ ახსოვს ყოველ კუთხეს? ლამის შემშალოს,  
მას რაც მახსენებს მისხალ-მისხალ მინიშნებებით.

კვლავ მიგრძნობს ბაგე და ბუნება არსებას მისას,  
რა დახვეწილი იყო მისი სახის ნაკვთები,  
თითქოს იავლენსკის სახეები გაითავისა,

ახლა ვიგონებ მის ბაგეებს და თავს ვიტყუებ,  
აქაა თითქოს. ვიცი მელის სიბრმავე ბედკრულს,  
განშორებისას თუ აგნებენ მეტრფენი ერთურთს.

## 11

განშორებისას თუ ერწყმიან ერთურთს მეტრფენი,  
ყველა სიმბოლო, ფიგურები, ბროწეულები,  
ითხოვენ მისგან აბსტრაქციად განსხეულებას  
და ტილო უნდა მოიხვეწოს ისე ზედფენით,

რომ ყველაფერი ამოძრავდეს, შენივთდეს უნჯად,  
რომ ელვარებდეს. ციმციმებდეს, როს ვწნავ გვირგვინად.  
თუმც უფერული რჩება, რასაც ვსახავ მის გვრინად;  
მისგან მოხატულ კედელზე კი, ნაჯაფი ფუნჯით,

კვლავ ჩაახვია სხეულები ხაზების ქარგას,  
თუ არ მოსწონდა ჭრელი ფერით გაცოცხლებული,  
დაუფარავად კამათობდა, რაც არ ივარგა

მყის ყვავილებად გადახატა, ამხედრებული  
სხვა ცინცხალ ფორმას პოულობდა უარყოფაშიც,  
საკუთარ თავზე ვინც დებს, რჩება უიღბლობაში.

12

საკუთარ თავზე ვინც დებს, რჩება უიღბლობაში,  
იგი სახეებს ანებებდა, მას მორგებოდნენ,  
ყოველი ნაკვთი, ღრმად განცდილი, იკარგებოდა  
მისივე ფუნჯის სულ პატარა, მოქნილ მონასმში.

მნახველთა თვალწინ წარადგინა თვისი ფერწერა,  
ამოანთხია შეშლილობა გაშიშვლებული,  
წარმავალობას შეეჭიდა ნერბი ვნებული  
და იავარქმნა აღებეჭდა მას ბედისწერად,

რარიგად თხზავდა, აზავებდა ფერების ტონებს,  
ვინ უწყის რიცხვი, მყის რომ მოაქვს ბედნიერება,  
ყველა მონასმი ნაჭრილობევ იარას ტოვებს,

ტილოზე ფერთა არჩევანი თავისუფალი  
გვაძალებს ცქერას. და თუ მომწონს თავად ფერწერა,  
რას მიმანიშნებს წითელ-ყვითელ, ლურჯ ფერთა ჟღერა?

13

რას მიმანიშნებს, შავი, თეთრი, მწვანე, წითელი,  
როდესაც სფეროს, მორიალეს ანებებს ვარდნას  
რიცხვიდან რიცხვზე. ფორმულა თუ ახერხებს ამას,  
მოაწესრიგოს მოსახდენი რამ აწინდელი,

რომ არასანდო სტატისტიკებად გვაქციოს წამში.  
უკანასკნელად მისი ხელით ნაზი მოხმობა  
გამოცდა იყო, ჩვენი შეყრის, დაინთქა გრძნობა,  
მოსიყვარულე სიცილით რომ გამანდო მაშინ,

მისი თამამი მუხტი შერჩა კედლებს ფრესკებად,  
განწყობილებით და ნიღბებით გამოსახული,  
რელიქტი მისი ახლა თამაშს წყვეტს, იფერფლება.

როგორც იყო, აღჭურვილი – ყველაფრით სრული,  
თუმცა სჩვევიათ ვაჭრობაში, – ცრუ წარმატება,  
და რჩება მხოლოდ არსებობა მკვდარ სურათებად.

#### 14

და რჩება მხოლოდ არსებობა მკვდარ სურათებად,  
მისგან შეფარულ ფიგურებს რომ კვლავ აღვიძებდა,  
როდი მაღავდა მათ საფლავში დასამინებლად,  
არამედ სწადადა ყოველ მრუდზე შეკამათება,

როგორც სჩვეოდა. ხმა ჩემამდე ძლივსლა აღწევდა,  
და მაინც ყველა ნაკვთით ცდიდა ჩემს გაოგნებას,  
თითქოს სრულიად არ უშლიდა გარემოება,  
წამს ყოველს, ფორმას, და საზრიან იერს აძლევდა.

მძინარე იყო, თუ მღვიძარი, უწყოდა ენა  
და ზუსტი ფორმა მოეძებნა მისი ყოფისთვის,  
შუასაყარზე ჩანდა, თუ რად უღირდა ფრენა.

რა სჭირდებოდა ამ ქმნილებას, სიმღერით ხოტბა,  
უსიცოცხლო ქუთუთოებთან სანთლის დანთება,  
რომ ამესახა გარდასული ანმყო არსებად.

#### 15

ბედის ტრიალი ახილვადებს, როგორც სანთელი,  
ვიდრე მისივე წინალობად ქცეული მანა,  
ისინი მაღალ საფეხურებს ელტვიან სანამ  
მიმართულებას შეიცვლიან, და რაც ნათელი

იყო ადრევე, ცხოველმყოფელ დღეებს გიბრუნებს  
ის მოგონება, მხოლოდ ახლა რომ იბადება

და როგორც უნინ, ლაბირინთში ჩაიკარგება,  
მოუსვენარი ფიქრი ჩვენი მარად იზრუნებს

გახსენებაზე. ან თავიდან რად ერთდებიან,  
მეტრფეებს თუკი განშორება აერთიანებს?  
საკუთარ თავზე ფსონი არვის გამართლებია!

რას მიმანიშნებს ლურჯ-ყვითელი, წითელი ფერი?  
და რჩება მხოლოდ არსებობა მკვდარ სურათებად,  
რათა ავსახო გარდასული აწმყო არსებად.

გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა

[1] მადლენი (Madeleine) – საკონდიტრო ნაწარმი, ნამცხვრის სახეობა.

[2] დედნის კალამბური მიემართება საკალათბურთო გუნდის „ჩიკაგო ბულსის“ აქსესუარების მაღაზიას.

[3] მეი-მეი ბერსენრუგე (Mei-mei Berssenbrugge) – ჩინელი პოეტი.

[4] გრიზლი – მურა დათვის ქვესახეობა. ამ შემთხვევაში გრიზლი, დიდი ტანის, ძლიერი დათვი, მოყვანილია, როგორც პატარა, სუსტი კურდღლის ოპოზიცია.

[5] Heckler & Koch – ცეცხლსასროლი იარაღის მარკა.

[6] „შორსქმედება“ და „ახლოქმედება“ – ტერმინები კვანტური ფიზიკიდან. სივრცეში ერთმანეთისგან დაცალკევებული ნაწილაკები, ერთ მათგანზე ზემოქმედების შემთხვევაში, სინქრონულად რეაგირებენ. აინშტაინი ამას „საზარელ შორსქმედებას“ უწოდებდა (spukhafte Fernwirkung).

[7] Michael Kohlhaas, მიჰაელ კოლჰაასი – ჰაინრიჰ ფონ კლაისტის რომანი, რომლის მთავარი მოქმედი პირი, უსამართლოდ დაჩაგრული მიჰაელ კოლჰაასი, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, მთავრობას აუჯანყდება. ბრძოლა უკონტროლო სისხლისღვრაში გადაიზრდება და უდანაშაულო ადამიანების სისხლს შეინირავს.

[8] Burro – ესპ. ვირი.

[9] ჩერნოვიცი – ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ უკრაინაში, ბუკოვინას ისტორიული ცენტრი. მდებარეობს რუმინეთის საზღვართან.

[10] Pampas – ველის სახელწოდება ამერიკის ზომიერ სარტყელში.

[11] Madeleine ფხვიერი ნამცხვარი, რომელიც ნახსენებია მარსელ პრუსტის რომანში „დაკარგული დროის ძიებაში“, რომელზეც მიანიშნებს ავტორი.

[12] რასტაფარი – აფრიკაცენტრული რელიგია. წარმოიშვა იამაიკაში, 30-იან წლებში. მის მიმდევრებს სწამთ, რომ ღმერთი – ჰაილე სალასიე – კოლონიზაციისა და მონებით ვაჭროვის შედეგად გაფანტულ აფრიკელებს აფრიკაში დააბრუნებს.

[13] ესპანური ციტრამონი.

[14] ქალაქი გალისიაში, რომელიც თავადის სახელს ატარებს.

[15] PH - სიმჟავის, ტუტიანობის მაჩვენებელი.

[16] ეგ კი სულაც არ არის სკამი!

[17] ბაია – ზღვისპირა ქალაქი სამხრეთ იტალიაში. პომპეუსის, იულიუს კეისრისა და სხვა წარჩინებულ რომაელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი, რომელიც ცნობილი იყო ფუფუნებითა და გარყვნილებით.

[18] “ვეფ“ (VEF, Valsts Elektrotehniskā Fabrika) – საბჭოთა პერიოდის ელექტროტექნიკის ქარხანა ლატვიაში, უშვებდა პოპულარულ პორტატულ რადიომიმღებებს.

[19] არასწორი ფორმის დამკვიდრებას აქ ხელს უწყობს ისიც, რომ კბილბაგისმიერი ვ-სა და ლაბიალიზებული უ-ს მიჯრით წარმოიქმნა ძნელია (პროფ. ავთანდილ არაბულის შენიშვნა).

[20] ამ შესაძლებლობაზე მიგვითითა ნათია სიხარულიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[21] ამის თაობაზე აკაკი შანიძე წერს: „ინდო-ეთი-საგან უნდა გვეონდეს ინდო-ურ-ი (შდრ. ენდო-ელ-ი); ასეთი ფორმაც გვხვდება (მაგ., გურულში), მაგრამ სალიტერატურო ენაში, აურ-ზე გათავებული სახელების ანალოგიით, „ინდაური“ მკვიდრობს. „ინდაური“ ზედსართავია, მაგრამ არსებით სახელად იქცა მსაზღვრელის ჩავარდნის შემდეგ: ინდოური ფრინველი > ინდოური > ინდაური“ (შანიძე 1973: 128).

[22] შესაძლოა ასეთივე მიმართება იყოს ბერძენსა და ბრძენს შორისაც.

[23] ბესარიონ ჯორბენაძის ამ ნაშრომზე მიგვითითა პროფ. გიორგი გოგოლაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[24] საბჭოთა პერიოდის რუსი კომიკოსი.

[25] პოლონელი მხატვარი, იან მატეიკო.